[illegible] მარქსის სახ. [illegible] საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

[illegible] წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივნის 10—68

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელ. 18—80.

ხუთშაბათი, 28 იანვარი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 21 (1476)

დღიური

— ლონდონში დაამტკიცეს ინგლისელ მრეწველებს მიერ საბჭ. კავშირში აღებული კონცესია.
— გერმანიის კომპარტია და ს.-დ. პარტია მოითხოვენ ყოფილ მეფის გვარეულობის ქონების ჩამორთმევას უსასყიდლოთ.
— გერმანია მონაწილეობას იღებს განიარაღების კონფერენციაში.
— სამხრეთ-სლავიაში გრძელდება კომუნისტების მასიური დაპატიმრება.
— გერმანიის ახალმა მთავრობამ გამოაქვეყნა თავისი პროგრამა.
— დანციგში 15 თებერვალს გაიხსნება საბჭოთა საკონსულო.

კონფლიქტის ლიკვიდაცია

დღევანდელი ცნობების მიხედვით, კონფლიქტს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ბოლო ელება, მისი მშვიდობიანად ლიკვიდაცია უზრუნველყოფილად უნდა ჩაითვალოს. მანჯურიის და ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვით გზაზე აღდგენილი იქნება სრული წესრიგი არსებული ხელშეკრულების მთლიანად და მტკიცედ დაცვის საფუძველზე; განთავისუფლებულია ამხ. ივანოვი, ზოგიერთი სხვა მოსამსახურეებიც, შეუდგენ სხვა დაპატიმრებულთა განთავისუფლებას. პროფორგანიზაციების მუშაობის განახლების, კონფლიქტის დროს მანჯურიის ხელისუფალთა მოქმედებით რკინის გზისა და საბჭოთა მოქალაქეებისათვის მიყენებულ ზარალის ანაზღაურების და დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხები შეადგენენ მხარეთა ცალკე განხილვის საგანს. რკინის გზის მოძრაობა ნაწილობრივ უკვე აღდგენილია და საერთოდ მყარდება ნორმალური მდგომარეობა.

ამგვარად, საბჭოთა მთავრობის მტრების მორიგი პროვოკაციული გამოსვლა მარცხით თავდება. მანჯურიის დიქტატორი, მარშალი ჩან ძო-ლინი იძულებულია უკან დაიხიოს. მისი თავხედური მოქმედების მიზანს შეადგენდა ისეთი შთაბეჭდილების შექმნა, თითქო საბჭოთა კავშირი მისდევდეს იმპერიალისტურ პოლიტიკას შორეულ აღმოსავლეთში, კერძოდ ჩინეთის ხალხის მიმართ, უნდობლობის ჩამოგდება უკანასკნელსა და ჩვენ შორის და თავისი თავი გამოეყვანა ჩინეთის დამოუკიდებლობის დამცველად... „საბჭოთა იმპერიალიზმისაგან", მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ჩინეთის ხალხმა კარგა ხანია მშვენივრად იცის, რომ ჩან-ძო-ლინი დაუძინებელი მტერია მისი განთავისუფლების და იგი ამხედრებულია მის წინააღმდეგ. ეხლანდელმა კონფლიქტმა [illegible] ზღვისპირა ჩინეთის მასებისაგან და უფრო განამტკიცა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა. მისი პროვოკაცია ალაგმულ იქნა პეკინის და საბჭოთა ხელისუფლების შეთანხმებული ღონისძიებებით, რომელთაც ჩინეთის ხალხი აქტიურად თანაუგრძნობს.

ჩან-ძო-ლინს სურდა საბჭოთა კავშირის ავტორიტეტის შერყევა. გამოვიდა სულ წინააღმდეგი: საბჭოთა მთავრობამ თავისი კანონიერი უფლებების და ღირსების მედგარი დაცვით უფრო თვალსაჩინო გახადა თავისი ძლიერება და მუკდენის სატრაპის ავანტიურულ მხარეების უნიადაგობა.

ეს ჩვენი სიძლიერე სჩანს უცხო სახელმწიფოების დამოკიდებულებიდანაც კონფლიქტისადმი. ეჭვი არ არის, რომ ჩან-ძო-ლინის ზურგს უკან მოქმედებდნენ იაპონელი მილიტარისტები, რომლებიც ვერ ურიგდებიან საბჭოთა გავლენის გაძლიერებას შორეულ აღმოსავლეთში, კერძოდ ჩინეთში, მიტომ რომ ეს ამხნევებს ჩინეთის ხალხს განმანთავისუფლებელ ბრძოლისათვის. აგრეთვე იაპონელი კაპიტალისტები ცდილობენ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გაფუჭებას, თუ მთლად არ შეუძლიათ მისი თავიანთ ხელში ჩაგდება; ამას უკარნახებს მათ საკუთარი ეკონომიური ინტერესები, მათ მიერ მანჯურიაში გაყვანილი რკინის გზის ინტერესები, რომელიც ვერ იტანს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის კონკურენციას, მაგრამ იაპონიის მთავრობა, მიუხედავად ამისა, კონფლიქტში არ ჩაერია და თავის ხელქვეით გენერალს, ჩან-ძო-ლინს, გადამწყვეტ მომენტში დახმარების ხელი არ გაუწოდა. პირიქით, იაპონიის მთავრობა აცხადებს, რომ მას სურს მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება საბჭოთა კავშირთან. და ეს, რა თქმა უნდა, არა იმიტომ, რომ იაპონიის ზემძლავრებელი წრეები ჩვენდამი სიყვარულით იწვოდენ. მათ კარგად იციან, რომ ჩვენთან დამოკიდებულების გართულება ხეირს არ დააყრის იაპონიას.

ამერიკა ამ შემთხვევაში ლოიალობას იჩენს ჩვენდამი: მის პრესას სამართლიანად და კანონიერად მიაჩნია საბჭოთა კონფლიქტთან დაკავშირებული საბჭოთა ხელისუფლების მოთხოვნები. აქ სჩანს ის გარდატეხა საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულებაში, რომელიც ამ ბოლო დროს შესამჩნევია ამერიკაში.

ინგლისი ყველაზე უფრო მტრულადაა ჩვენდამი განწყობილი. მაგრამ მისი პრესა, ზოგიერთ უკიდურეს რეაქციონურ გაზეთების გამოკლებით, არც ისე ილაშქრებს ჩვენს წინააღმდეგ. მართალია, ეს აიხსნება ჩინეთში ინგლისის იმპერიალიზმის გამართლების ცდით: თუ საბჭოთა ხელისუფლება იცავს თავის ხელშეკრულებას, ჩვენც არ უნდა დაგვძრახონ, როცა ჩინეთთან დადებულ ხელშეკრულებას ვიცავთო. თავის თავად ცხადია, რომ ამ ხელშეკრულებათა შორის უფსკრული არსებობს: ერთი აგებულია ხალხთა თანასწორობაზე, მეორე კი ერთი მხარის მიერ მეორის დამონებაზე. რაც შეეხება ინგლისის მმართველ წრეებს, ისინი სდუმან კონფლიქტის შესახებ.

აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის გარშემო დატრიალებულ კონფლიქტში ერთხელ კიდევ გამოაშკარავდა იმპერიალისტურ ქვეყნების ინტერესთა ურთიერთი წინააღმდეგობა. ამერიკის პოზიცია და ნაწილობრივ ინგლისის ერთგვარი თავშეკავებაც აიხსნება იაპონიის [illegible] შორეულ აღმოსავლეთში. ეს წინააღმდეგობანი არსებობა ერთერთი საწინდარია იმის, რომ იმპერიალისტები ვერასოდეს ვერ შექმნიან ჩვენს წინააღმდეგ ერთიან ფრონტს.

ყველა ამ მიზეზებმა საბჭოთა ხელისუფლებას გამარჯვება არგუნეს ხსენებულ კონფლიქტში. ეს გამარჯვება ჩვენ უნდა განვამტკიცოთ. კონფლიქტიდან მიღებული გაკვეთილები უნდა იქნას საჭიროდ გამოყენებული. ეს პირველი შემთხვევა არ არის, რომ ჩან-ძო-ლინი ართულებს ჩვენს მდგომარეობას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე. საჭიროა ამას ერთხელ და სამუდამოთ მოეღოს ბოლო. ჩან ძო-ლინს უნდა წაერთვას ხალისი შემდეგში ასეთი თავხედობის, საერთოდ ყოველგვარი პროვოკაციის განმეორების. შემდეგ: როგორც კონფლიქტის დროს გამოირკვა, მასში წილი უდევთ რუს თეთრგვარდიელებსაც, რომელნიც „მანჯურიის მოქალაქეთა" ნიღაბს ამოფარებულნი იქვე განაგრძობენ სამსახურს რკინის გზაზე და თავის „მოღვაწეობას". თავის თავად ცხადია, რომ თეთრგვარდიელნი უნდა იქნენ იქიდან განდევნილნი.

ვიმეორებთ, კონფლიქტის ლიკვიდაცია უეჭველად ჩვენი მორიგი მნიშვნელოვანი გამარჯვებაა. ამით მტკიცდება ჩვენი პოზიციები შორეულ აღმოსავლეთში, კერძოდ ჩვენი კავშირი ჩინეთის ხალხთან, რასაც [illegible] ძო-ლინების და მათი სულისჩამდგმელების პროვოკაცია ვერაფერს დააკლებს. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე კი მუშაობა უფრო გაძლიერდება ორივე ქვეყნის სასარგებლოდ, წინეთ დადებულ ხელშეკრულების ურყევლად დაცვის ნიადაგზე.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონპროექტი

გუშინ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მკითხველი გაეცნობოდა დეპეშათა სააგენტოს ცნობას, რომელიც გადმოგვცემს სას.-სამ. გადასახადის კანონპროექტის ძირითად დებულებებს. საკითხი სოფლის გადასახადის რეორგანიზაციის შესახებ ახალი არაა. კარგა ხანია მასზე მუშაობენ ფინანსთა სახალხო კომისარიატი და სათანადო სამეურნეო ორგანოები.

მიუხედავად იმისა, რომ არსებული გადასახადი თავისთავად არ წარმოადგენს დიდ სიმძიმეს სოფლის მოსახლეობისათვის, მასში არის მთელი რიგი ნაკლულოვანებათა, რომელნიც თავის დაღს აჩენენ ჩვენს საგადასახადო პოლიტიკას საზოგადოთ და აფერხებენ მის ცხოვრებაში უკლებლივ გატარებას.

დღემდი სოფლის მეურნის დაბეგვრა ხდებოდა სახნავ-სათესი მიწის და ოთხფეხ საქონლის რაოდენობის მიხედვით. ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ სოფლის მეურნის შემოსავლის წყაროს მარტო ეს საგნები არ წარმოადგენენ. არიან მეურნეობის ისეთი ტიპები, რომელნიც გარეგნული ნიშნების მიხედვით არ სტოვებენ შეძლებულ სამეურნეო ერთეულის შთაბეჭდილებას, მაგრამ ნამდვილათ კი ბევრათ აჭარბებენ, ან ყოველ შემთხვევაში არ ჩამოუვარდებიან სახნავ სათესის და საქონლის მეპატრონე მეურნეობებს,

ესენი არიან ის მეურნეობანი, რომელნიც იკვებებიან სოფლის მეურნეობის ეგრეთ წოდებულ მეორეხარისხოვან და არა სამიწათმოქმედო ხასიათის წყაროებით. პირველ შემთხვევაში, როცა იბეგრება სახნავსათესი მიწა და ოთხფეხი საქონელი, გადასახადის უმთავრესი სიმძიმე აწვებოდა სწორეთ იმათ, ვინც უშუალოთ მისდევს ამ მეურნეობას და ვისთვისაც მიწა და საქონელი არსებობის მთავარ წყაროს წარმოადგენს; ე. ი. აქ გადასახადის გაღება უხდებოდა უმეტეს ნაწილათ ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხობას. რაც შეეხება სოფლის კულაკობას, რომელიც სხვა წყაროებითაც სარგებლობს, მათი საგადასახადო ქსელში მოქცევა დაბეგვრის კანონის უკვე ხსენებულ ნაკლის გამო მეტად ძნელ საქმეს წარმოადგენდა.

რას ისახავს მიზნათ ახალი კანონპროექტი? პირველყოვლისა აქ გადაჭრითაა ნათქვამი, რომ დაბეგვრას უნდა დაექვემდებაროს მიწათმოქმედების მეორეხარისხოვან დარგების შემოსავალიც. ეს დარგები კი გულისხმობენ უმთავრესად: მეღორეობას, მეცხვარეობას, მებოსტნეობას, მებაღეობას, შინაურ ფრინველების მოშენებას და მეფუტკრეობას. ეს რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ დაიბეგრება ყველა ის გლეხი, რომელიც ყოველივე ამას საკუთარ ოჯახის საჭიროებისათვის მისდევს. კანონპროექტში გარკვევითაა ნათქვამი, რომ მეორეხარისხოვან დარგების შემოსავალი უნდა დაიბეგროს მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც მათ აქვთ მრეწველობის ხასიათი.

ასეთივე წესი უნდა იქნას შემოღებული არამიწათმოქმედებითი შემოსავლის დასაბეგრავათაც. ეს შემოსავალი მეტად სხვადასხვანაირია ყოველ ცალკე შემთხვევაში (მეწისქვილეობა, მუშა-საქონლის და სამეურნეო ინვენტარის გაქირავება, ფულის გასესხება და სხვ.)

კანონპროექტის თანახმად მეორეხარისხოვან დარგების და მიწათმოქმედების გარეშე მიღებულ შემოსავლის გამოანგარიშებას უნდა აწარმოებდენ სათემო საგადასახადო და სოფლის სააღრიცხვო კომისიები.

აღსანიშნავია, რომ სას. სამ. გადასახადის ახალი კანონპროექტი ხაზგასმით ლაპარაკობს, რომ მიწის დამუშავებისაგან მიღებულ შემოსავალში არ შედის მოჯამაგირეთა სამუშაო ხელფასი.

გარდა ამისა ახალი კანონპროექტის თანახმად სას.-სამეურნეო გადასახადის ნახევარი უნდა რჩებოდეს ადგილობრივად, სათემო ბიუჯეტის გასაძლიერებლათ. ვინც იცის ჩვენი თემაღმასკომების ნივთიერი ხელმოკლეობა და აქედან გამომდინარე მთელი რიგი დაბრკოლებანი სოფლის მშენებლობის საქმეში, მისთვის უდავოა რა დიდი მნიშვნელობა აქვს კანონპროექტის ამ დებულებას.

ეს მთავარი პრინციპი, რომელიც საფუძვლათ უდევს ახალ კანონპროექტს, პირდაპირ გამომდინარეობს კომუნისტური პარტიის დღევანდელ პოლიტიკიდან სოფლად მუშაობაში. ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხთა მეურნეობის აღორძინებას და ამავე დროს ერთგვარი საზღვარი დაუდოთ სოფლის ექსპლოატატორულ ელემენტების ზრდას.

როგორც კანონპროექტს, მას ჯერჯერობით არა აქვს სავალდებულო ხასიათი. ის საჭიროებს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოების დასტურს. შეიძლება უმაღლესმა ინსტანციებმა შეიტანონ მასში განხილვის დროს ესა თუ ის შესწორებები ან უფრო ფართე განმარტება მისცენ ცალკე მუხლებს, მაგრამ, როგორც არ უნდა იყვეს, დედააზრი ერთი იქნება: შეღავათი მშრომელ გლეხკაცობას და ამ გლეხკაცობის კულაკურ ელემენტების შევიწროებისაგან დაცვა.

ახალი სას.-სამ. გადასახადის კანონი ფინანსთა სახალხო კომისარიატის დადგენილების თანახმად უნდა გამოქვეყნდეს არა უგვიანეს მიმდინარე წლის 1 მარტისა. ამ კანონის ძირითად დებულებათა წინასწარ შესასწავლათ და მის ცხოვრებაში უკლებლივ გატარებისათვის აქედანვე უნდა ემზადონ ჩვენი საგადასახადო ორგანოები.

[illegible]

კონფლიქტი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მოგვარებულია

ამხ. ივანოვთან ერთად განთავისუფლებული იქნებიან გზის სხვა თანამშრომლებიც

ჯარების გადაყვანაში ჩან-ძო-ლინის სარდლობა დაწესებულ ფასს გადაიხდის

ახლო-ხანში დაიწყება მოლაპარაკება გზისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ

ჩან-ძო-ლინის და სახალხო არმიები დიდი ბრძოლისათვის ემზადებიან

დიდი საპროტესტო მიტინგი ტიან-ცზინში იაპონიის ინტერვენციის წინააღმდეგ

შეთანხმება

მოსკოვი, 27 იანვარი. ოფიციალურ წყაროებიდან მიღებულ ცნობით 24 იანვარს საბჭოთა კავშირის გენერალურმა კონსულმა მუკდენში, კრაკოვეცკიმ, და აღმოსავლეთის სამი პროვინციის ცენტრალურ დიპლომატიურ სამმართველოს უფროსმა, გასმა, ხელი მოაწერეს შემდეგ მოკლე შეთანხმებას:

ივანოვი და გზის ყველა მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც დააპატიმრა მანჯურიის ხელისუფლებამ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ კონფლიქტის გამო, განთავისუფლებულ იქნებიან, მათი განთავისუფლების შემდეგ რკინის-გზაზე ნორმალური მიმოსვლა აღდგენილი იქნება. ჯარების გადაყვანა იწარმოებს აქამდე არსებულ წესებით,—კრედიტის სახით, გზის შემოსავლის იმ ნაწილის ანგარიშში, რომელიც ეკუთვნის ჩინეთის მთავრობას. დამცველი ჯარებიც გადაყვანილი იქნებიან აქამდე არსებულ წესების მიხედვით. მომავალში ჯარების გადაყვანა სავსებით უნდა იქნეს შეთანხმებული იმ წესებთან, რომელიც არსებობს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე. საკითხი მუშათა პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობის აღდგენის და კონფლიქტის დროს მანჯურიის ხელისუფლების წარმომადგენელთა მოქმედებით გამოწვეულ ზარალის ანაზღაურებისა, აგრეთვე ძალადობის და უწესობების ჩამდენთა პასუხისმგებლობის შესახებ შემდეგში ორივე მხარის მიერ იქნება განხილული. ივანოვი განთავისუფლებულია; სხვა დაპატიმრებულებიც თავისუფლდებიან, ნაწილობრივ განთავისუფლებულნიც არიან.

კონფლიქტის მშვიდობიანათ გადაჭრა უზრუნველყოფილია

მოსკოვი, 27 იანვარი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ცნობა მიიღო, რომ ივანოვის განთავისუფლების შემდეგ დაიწყო დანარჩენ დაპატიმრებულთა განთავისუფლება. საბჭოთა მთავრობა ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ სისწორით იქნეს დაცული ხელშეკრულება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის შესახებ და რკინის გზის წესდება, აგრეთვე სავსებით აღდგენილი იქნეს მუშათა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების მუშაობა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე. კონფლიქტთან დაკავშირებული დანარჩენი საკითხები მომავალი მოლაპარაკების დროს უნდა იქნეს მოგვარებული.

ამრიგად, კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე შეიძლება უზრუნველყოფილად ჩაითვალოს.

პროფკავშირები დარბეული არიან

ხარბინი, 26 იანვარი. 26 იანვარს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის უფროსი ივანოვი მუკდენიდან მიღებულ ბრძანებით განთავისუფლებულია. ამჟამად ცენტრალური საკითხია იმ პროფკავშირების მდგომარეობა, რომელნიც განადგურებული და დაბეჭდილი არიან, და აგრეთვე მუშაკების და მუშა ახალგაზრდების მასიური დაპატიმრება. მუშათა კლუბებში ყოველგვარი კულტურული მუშაობა შეწყვეტილია.

ჩინეთის მილიციის მოსამსახურეები და თეთრგვარდიელები კვლავ შეურაცხყოფენ და სცემენ საბჭოთა მოქალაქეებს და პროფკავშირების წევრებს. თავის მხრივ თეთრგვ[illegible] [illegible] უსასტიკესად საბჭოთა ორგანიზაციების წინააღმდეგ. პროფკავშირები დაბეჭდილია და პროფკავშირების მუშაკები კვლავ დაპატიმრებული არიან. რკინისგზელების განთავისუფლების დროს ჩინელები მოითხოვდენ, რომ განთავისუფლებულებს ხელი მოეწერათ განსაკუთრებულ მადლობაზე. მუშები ამ მოთხოვნილების შესრულებაზე გადაჭრით უარს ამბობდენ.

მიმოსვლის განახლება სამხრეთის ხაზზე

ხარბინი, 26 იანვ. სამხრეთის ხაზზე, აგრეთვე ტელეგრაფზე და გზათა სამმართველოში სამხედრო საგუშაგოები მოხსნილია. მიმოსვლა სამხრეთით ნაწილობრივ ახლდება 26 იანვრიდან.

პროტესტი იაპონიის ინტერვენციის წინააღმდეგ

პეკინი, 26 იანვ. კვირას ტიანძინის ჩინურ ნაწილში გაიმართა დიდი საპროტესტო დემონსტრაცია იაპონიის ინტერვენციის წინააღმდეგ მანჯურიაში, რომელიც მოხდა გო სუნ-ლინის და ჩან-ძო-ლინის ბრძოლის პერიოდში. დემონსტრაციაში 10.000 კაცმა მიიღო მონაწილეობა. წამოყენებული იქნა შემდეგი ლოზუნგები: ბრძოლა ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ, ძირს დუან ძი-ჟუი, საბაჟო კონფერენციის შეწყვეტა და ჩინეთის მთავრობის დეკლარაცია საბაჟო ავტონომიის შესახებ, სახალხო მთავრობის შექმნა; სამოქალაქო თავისუფლებათა შემოღება და სხვ.

შანხაი-გუანას ფრონტზე

პეკინი, 26 იანვ. შანხაი-გუანას ფრონტზე საომარი მოქმედება დროებით შეჩერებულია. უკანასკნელ ცნობების თანახმად, ორივე მხარე აგროვებს ძალებს და აშენებს სიმაგრეებს ერთის მხრით ჩან-ლისთან მეორე მხრით—დუან ჯოუსთან.

ცენტრალურ ჩინეთში

პეკინი, 26 იანვარი. ცენტრალურ ჩინეთში ხუბეის და ხონანის პროვინციებს შორის მდგომარეობა თანდათან მწვავდება. იუწყებიან, რომ უ-პეი-ფუს ჯარები მიემართებიან ხუბეის პროვინციიდან ჩრდილოეთით. ჯარები უკვე გადასცდენ ხონანის პროვინციის საზღვრებს. დარაზმულია და მზათ არის საბრძოლოდ ყველა ძალები, რომლებიც დაბანაკებული იყო ხუ-ბეის, ხან-კოუს და ვუჩანის პროვინციების [illegible] ქალაქებში. [illegible] უ-პეი-ფუს [illegible] მოიარეს, სუნ-ჩუან-ფანის პოზიციის შესახებ, ერთი-მეორის საწინააღმდეგოა. ერთი ვერსიით სუნ-ჩუან-ფანი უკმაყოფილოა უ-პეი-ფუს და ჩან-ძო-ლინის შეთანხმებით და სიმპატიით უყურებს სახალხო არმიებს, მეორეთი — სუნ-ჩუან-ფანმა დახმარება აღუთქვა უ-პეი-ფუს იმ მიზნით, რომ თავიდან აეშორებია უ-პეი-ფუს ჯარების მტრული გამოსვლა მის წინააღმდეგ.

ამგვარად, საერთო მდგომარეობა გამოურკვეველი რჩება, რადგან ცნობების უმრავლესობა არ არის სწორი და მიზნად ისახავს საქმის ნამდვილი მდგომარეობის გადამახინჯებას [illegible] ამ მხარის სასარგებლოდ.

ამერიკის პრესა მანჯურიის მდგომარეობის შესახებ

ნიუ-იორკი, 26 იანვ. ამერიკის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს მანჯურიის მდგომარეობას და აქვეყნებს მოსკოვიდან, პეკინიდან და ტოკიოდან მიღებულ დეპეშებს. „ნიუიორკ—ტაიმსის" სპეციალურ დეპეშაში პეკინიდან ნათქვამია, რომ მდგომარეობა უკვე გამორკვეულია; ბოლშევიკების მოთხოვნილებები სამართლიანია და სავსებით ეთანხმება 1924 წლის ხელშეკრულების პირობებს.

კონცესიის დამტკიცება

ლონდონი, 26 იანვ. სააქციონერო საზოგადოების „ლენა-გოლდფილდს"-ის მეპაეთა საერთო კრებაზე საზოგადოების თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ ერთხმად დამტკიცებული იქნა საზოგადოებასა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული საკონცესიო ხელშეკრულება.

ხელშეკრულების დამტკიცებას შედეგად მოჰყვა აქციების კურსის აწევა ლონდონის ბირჟაზე.

„ნადირობის მიზნით"

ვენა, 26 იანვ. ავსტრიის პოლიციამ გრაცში ავსტრიის რკინისგზელების განცხადებით დააკავა ამუნიცია, რომელიც იტალიიდან უნგრეთში იგზავნებოდა.

საკავშირო სამხედრო კომისიის იტალიელ წევრის ჩარევის შემდეგ, ავსტრიის მთავრობამ ნებადართო ამუნიციის გატარება იმ მოსაზრებით, რომ ტრანსპორტი გაიგზავნა ნადირობის მიზნით და არ შეიძლება დაკავებული იქნას.

„დემოკრატიულ" ინგლისში

თვითმკვლელობა ლონდონის ციხეში

ლონდონი, 26 იან. უკანასკნელ ხანებში ლონდონის ციხეში რამდენიმე პატიმარმა თავი მოიკლა. დაპატიმრებულთა აზრით თვითმკვლელობა გამოწვეულია ციხის უფროსის მოქმედებით. ამის გამო 40 დაპატიმრებულმა მოაწყო არეულობა, განაიარაღეს და სცემეს ციხის ზედამხედველებს. ციხეში წესრიგი აღდგენილი იქნა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდენ ციხის მცველ რაზმის სპეციალურად გამოძახებული ჯარისკაცები.

განიარაღების კონფერენცია

ბერლინი, 21 იანვ. გერმანიამ განაცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებს განიარაღების წინასწარ კონფერენციაზე.

საბჭოთა პრესა

ძირითადი გზა

ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ზრდის მთავარ სიძნელეს წარმოადგენს შეუფარდებლობა ერთი მხრივ მრეწველობის განვითარებასა და მეორე მხრივ ქვეყნის მთელ ეკონომიკის, პირველ ყოვლისა სასოფლო-მეურნეობის მოთხოვნილებათა შორის. მიუხედავად თვალსაჩინო მიღწევებისა, ჩვენი მრეწველობა ძველ ტეხნიკურ საფუძველზე და საკმაო კაპიტალებს მოკლებული, მაინც ვერ იზრდება ისეთი ტემპით, რომელსაც მოითხოვენ სოფლის მეურნეობის საწარმოო საჭიროებანი, გლეხობის გადიდებული სყიდვითი უნარი და მეურნეობის დანარჩენი დარგების (ტრანსპორტი, შინა-მრეწველობა და სხ.) განვითარების ინტერესები. აქედან—საქონლის სიმშილი და საბითუმო-საცალო ფასების „მაკრატელი". აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს საგრძნობ დაბრკოლებებს საგარეო ვაჭრობაში, პურის დამზადების ოპერაციებთან დაკავშირებით. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია,—აი უმთავრესი გზა ჩვენი ზრდის სიძნელეების გადასალახავად.

„ქვეყნის უზრუნველსაყოფად საქონლის ხანგრძლივი სიმშილისაგან, სიძნელეების ასაცილებლად, რომლებსაც ამ ჟამად ადგილი აქვთ ჩვენს სახალხო მეურნეობაში,—სწერს „პრავდა",—საჭიროა მთელი საზოგადოებრივი ყურადღების მობილიზაცია მრეწველობის გაშლისათვის აუცილებელ საშუალებათა გამონახვაზე. საშუალებათა განაწილება სახალხო მეურნეობაში უნდა მოხდეს მრეწველობის როლის სწორი გათვალისწინების ნიადაგზე. მთელ სახალხო მეურნეობაში უნდა მივაღწიოთ ხარჯების გადანაწილებას, რომ შევამციროთ არასაწარმოო მოხმარება და განვათავისუფლოთ საშუალებები, რომლებიც აბსოლიუტურად საჭიროა მრეწველობისათვის. ამისათვის აგრეთვე სიძნელენი ნედლეულის და საწარმოო მოწყობილობის შემოზიდვის პოლიტიკაში მოითხოვენ: ა) არა საწარმოო მოხმარების პროდუქტების შემოზიდვის შემცირებას; ბ) ექსპორტის ყველა სახის შესაძლებელი გაფართოებას, თვით ნაკლებ მომგებიანი საგნების გაზიდვის გაძლიერებას, ამასთან ექსპორტის ზარალი უნდა იქნეს დაფარული იმპორტისაგან მიღებული მოგებით; გ) პურის ექსპორტის დაჩქარებას, რამდენადაც პურის დამზადების საქმის გაუმჯობესება (დეკემბრის კონიუნქტურა) ამას ხელს უწყობს".

მეთოთხმეტე პარტყრილობამ მტკიცე დირექტივები მოგვცა მრეწველობის განვითარების, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შესახებ. მრეწველობის გარდაქმნა ახალ ტეხნიკურ საფუძველზე, მისი გაფართოება—ძირითადი გზაა წარმატებითი სოციალისტური მშენებლობის. ამას უნდა მოვახმაროთ ჩვენი საშუალებები, აქეთკენ უნდა იქნეს მიქცეული ჩვენი ყურადღება და საქმიანობა.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

საზ-ბა „საბჭოთა რუსეთი"

მონტევიდეო, 26 იანვ. მუშათა და სტუდენტთა ორგანიზაციებმა ქ. მონტევიდეოში (ურაგვაის რესპუბლიკა, სამხრეთ-ამერიკაში) დაარსეს საზოგადოება „საბჭოთა რუსეთი", რომლის მიზანია ორი ქვეყნის მუშებისა და ინტელიგენციის დაახლოება. საზოგადოება მოითხოვს საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობას.

მოლაპარაკება პოლონეთთან

ვილნო, 26 იანვ. პოლონეთის მთავრობამ გადასწყვიტა დაიჩქაროს სავაჭრო მოლაპარაკება საბჭ. კავშირთან და თანახმაა სავაჭრო კონფერენცია მოწვეული იქნეს მოსკოვში არა უგვიანეს 4—6 თებერვლისა.

სარკინისგზო კონფერენცია

ვილნო, 26 იანვარი. გაიხსნა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სარკინისგზო კონფერენცია. კონფერენციაზე განხილული იქნება საკითხი მინსკ-ვილნო-როდოშკევიჩ-ალეხნოვიჩის ხაზზე პირდაპირი მიმოსვლის განახლების შესახებ.

ამხ. ნაზარენუსი ლოძში

ვარშავა, 26 იანვარი. ლოძში ჩავიდა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი პოლონეთში ნაზარენუსი. მან ინახულა ლოძის ოლქის მმართველი დოროვსკი და ლოძის მსხვილი მრეწველები, რომლებთანაც საუბარი ჰქონდა მანუფაქტურის შესყიდვის შესახებ.

ადგილობრივმა სავაჭრო წრეებმა ნაზარენუსის პატივსაცემად ბანკეტი გამართეს.

21 იანვარი უცხოეთში

ნიუ-იორკი, 26 იანვ. მიტინგები ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად, რომელიც ამერიკის მუშათა პარტიამ მოაწყო მთელ რიგ ქალაქებში, ყველგან დიდის აღფრთოვანებით ჩატარდა.

ვილნო, 26 იანვ. ლენინის გარდაცვალებიდან ორი წლის თავის აღსანიშნავად გაიმართა კომუნისტური დემონსტრაცია. გავრცელდა აჯანყებისაკენ მომწოდებელი პროკლამაციები. მრავალ ადგილებში სამგლოვიარო დროშები გამოჰკიდეს.

საფრანგეთის გლეხობა რევოლიუციონურ გზას ადგება

საფრანგეთის გლეხთა საბჭო შეუერთდა გლეხთა ინტერნაციონალს

მოსკოვი, 26 იანვ. გლეხთა ინტერნაციონალის პრეზიდიუმი იუწყება, რომ საფრანგეთის გლეხთა საბჭოს მიერ მოწვეულმა გლეხთა ეროვნულმა კონგრესმა გამოაქვეყნა საზეიმო დეკლარაცია საფრანგეთის გლეხთა საბჭოს და მის ქვემდებარე მშრომელ გლეხთა ორგანიზაციების შეერთების შესახებ გლეხთა ინტერნაციონალთან.

საფრანგეთის გლეხთა საბჭო დაარსდა 1925 წლის იანვარში საფრანგეთის მშრომელი გლეხობის ფედერაციის უახლოესი მონაწილეობით. საბჭო წარმოადგენს მშრომელი გლეხობის მოძრაობის ხელმძღვანელ ცენტრს. საბჭოს თავმჯდომარეა გლეხობის დეპუტატი რენო ჟანი, რომელსაც პარლამენტში არაერთხელ გაუკრიტიკებია მმართველი კლასების აგრარული პოლიტიკა.

ამიერიდან საფრანგეთის გლეხთა საბჭო წარმოადგენს გლეხთა ინტერნაციონალის სექციას.

გლეხთა ინტერნაციონალის დროშის ქვეშ

მოსკოვი, 26 იანვ. გლეხინტერნის პრეზიდიუმმა საფრანგეთის გლეხობას ნაციონალურ კონგრესს პარიზში გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა, რომელშიაც გამოთქმულია რწმენა, რომ საბჭო შესძლებს საფრანგეთის გლეხობის ფართო მასების სურვილის და მისწრაფების გამოთქმას გლეხის უფლებათა დეკლარაციის სახით. მთლიანი ფრონტის დამყარებით ყველა ქვეყნის მუშათა კლასთან და მთელი ქვეყნის რევოლიუციონურ გლეხობასთან, საფრანგეთის გლეხობა გლეხინტერნის დროშის ქვეშ შესძლებს განმანთავისუფლებელი გზის გამონახვას.

გერმანიაში

ჰოჰენცოლერნების ქონება კულტურული მიზნებისათვის

ბერლინი, 26 იან. „ვოლფის" სააგენტო იუწყება, რომ კომუნისტურმა და სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიტანეს წინადადება ყოფილ მეფის საგვარეულოს ქონების აუნაზღაურებელ კონფისკაციის საკითხისათვის საყოველთაო კენჭის ყრის შესახებ.

შეტანილ წინადადების თანახმად, ჩამორთმეული ქონება უნდა მოხმარდეს ომის მსხვერპლთ, უმუშევრებს და სხვა გაჭირვებულებს. ბანკები უნდა გადაკეთდენ სააღმზრდელო სახლებათ და უნდა ემსახურებოდენ კულტურულ მიზნებს.

ლიუტერის მთავრობის დეკლარაცია

ბერლინი, 27 იანვარი. რეიხსტაგში წაკითხულ დეკლარაციაში ლიუტერმა განაცხადა, რომ გერმანიის საგარეო პოლიტიკა მომავლისათვის გამოიხატება ლოკარნოს ხელშეკრულების გატარებაში იმ ხაზით, რომელიც გამოიმუშავა რეიხსტაგმა ნოემბრის დამლევს.

ერთა ლიგაში გერმანიის შესვლის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ლიუტერმა იმედი გამოსთქვა, რომ მეგობრული მოლაპარაკება სასურველ ნაყოფს გამოიღებს. კანცლერის აზრით საჭიროა დაჩქარებით გადაწყდეს საკითხი ყოფილ მეფის გვარეულობისათვის ზარალის ანაზღაურების შესახებ, რათა თავიდან აცილებულ იქნეს პლებისციტი. დეკლარაცია 8 საათის სამუშაო დღის შესახებ ვაშინგტონში მიღებულ გადაწყვეტილების დამტკიცების საკითხს უკავშირებს კონვენციის ერთდროულად ძალაში შესვლას ინგლისში, საფრანგეთში და ბელგიაში.

ლიუტერმა აღნიშნა, რომ გადასახადის გადამხდელთა ვალდებულებებს განსაზღვრავს გერმანიის გაღატაკება და ეკონომიური კრიზისი, რომელსაც განიცდის გერმანია და რომელიც საერთო პოლიტიკური მდგომარეობის შედეგია. დასასრულ ლიუტერმა ეკონომიურ დაბრკოლებათა მოსაწესრიგებლათ გამოაქვეყნა მთელი რიგი ზომებისა.

გაზეთების აზრი

ბერლინი, 27 იანვ. ბერლინის დილის გაზეთები არჩევენ ლიუტერის დეკლარაციას და ხაზს უსვამენ განცხადებას, რომ გაგრძელებულ იქნება წინანდელი საგარეო პოლიტიკა ლოკარნოსთან დაკავშირებით. უკიდურესი მემარჯვენე და მემარცხენე გაზეთები დეკლარაციას უარყოფითად უცქერიან. რადიკალური პრესა დაჟინებით მოითხოვს ერთა ლიგის საკითხის გადაჭრას. კონსერვატორებმა ტევტონელებმა და კომუნისტებმა გადასწყვიტეს მთავრობისადმი უნდობლობის რეზოლიუცია რეიხსტაგში ცალ-ცალკე შეიტანონ. პარლამენტის წრეებში არ მოელიან რაიმე გართულებას.

ყალბი ფულის მკეთებელთა საქმე

ვენა, 26 იანვ. დაიწყო მუშაობა პარლამენტის კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს უნგრეთის ყალბი ფულის მკეთებელთა აფიორის გამოძიება. მემარცხენე ოპოზიციას გადაწყვეტილი აქვს შეიტანოს კომისიაში ვენის გაზეთ „დერაბენდის" მიერ გამოქვეყნებული უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ბეტლენის ერთ-ერთი წერილი. ამ წერილიდან სჩანს, რომ ბეტლენი გაცნობილი იყო ყალბი ფულის მკეთებელთა საქმესთან.

საფრანგეთის პოლიციის აგენტები, რომელნიც გაგზავნილი არიან ბუდაპეშტში, მოითხოვენ, რომ ყალბი ფულის მკეთებელთა საქმის გამოძიება გაგრძელდეს. უნგრეთის ხელისუფლებამ უარყო საფრანგეთის პოლიციის მოთხოვნილება, რამაც გამოიწვია კონფლიქტის გამწვავება ორივე მხარეთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესია

ამხ. მამია ორახელაშვილის საბოლოო სიტყვა

ერევანი, 26 იანვ. საბოლოო სიტყვაში უპასუხებს რა შეკითხვებზე, თუ რა გაკეთდა აზერბეიჯანში ჰიდროელექტრო მშენებლობის დარგში, ორახელაშვილი ამბობს:

„ეს აღმშენებლობა უნდა შეუთანხმოთ ადგილობრივ პირობებს. დღის წესრიგში სდგას სადგურის აშენება განჯაში და ნუხაში, სადაც რაც შეიძლება ეკონომიურად იქნება გამოყენებული წყლის ენერგია. ახლო მომავალში განზრახულია სხვა სადგურების აშენებაც“.

სოფლის ღარიბი მოსახლეობისათვის კრედიტის მიცემის შესახებ ორახელაშვილი აცხადებს:

„ეხლა ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ იმ თანხით, რომელიც გამოყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან საგლეხო მეურნეობისათვის დახმარების გასაწევად. ათმილიონიან ფონდიდან, რომელიც გადადებულია ღარიბ მეურნეობათათვის დასახმარებლად, ამიერ-კავკასიას ერგება 560.000 მანეთი. ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ გაცემულ ყველა თანხების მესამედს შეადგენენ გრძელვადიანი კრედიტები; ჩვენ ვფიქრობთ გამოვყოთ ჩვენი მცირე საშუალებებიდან, დამატებით, ფულის სათანადო რაოდენობა გლეხობისათვის სესხის მისაცემად 5 წლის ვადით“.

შემდეგ ამხ. ორახელაშვილი ეხება ორატორების სიტყვებს და ამბობს:

„ჩვენი უმთავრესი ნაკლი არის გზების უქონლობა. ამიერ-კავკასიის მცხოვრებთა ცხრა მეათედი არ სარგებლობს რკინის გზებით და ამიტომ შარა-გზების და გზატკეცილების საკითხი მეტად მწვავედ სდგას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩვენ წელს გზების გასაყვანად მივიღეთ 1 მილიონი და 700 ათასი მანეთი. ის მცირე რესურსები, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება და ჩვენი ინიციატივა და ენერგია საშუალებას მოგვცემს თავი დავაღწიოთ გზების კრიზისს.

გარდა ამისა გამოსაქვეყნებლად მზადდება კანონპროექტი მოსახლეობის სავალდებულო მონაწილეობის შესახებ ადგილობრივ მნიშვნელობის გზების მშენებლობაში. ადგილობრივი მუშაკები აუცილებლად სთვლიან ასეთი კანონის გამოცემას“.

შემდეგ ამხ. ორახელაშვილი გადადის საბინაო საკითხზე და აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე 800 რონოდა დაკავებული აქვთ საცხოვრებლად მუშებსა და მათ ოჯახებს. ეს არანორმალური მდგომარეობაა როგორც სახელმწიფოსათვის, ისე რკინის გზებისთვის. განზრახულია სათანადო თანხის გადადება რკინის გზის მუშათა ბინების აღმშენებლობისათვის, საერთოდ ბინების აღმშენებლობისათვის კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩვენ ვერაფერს ვერ გავიღებთ“.

უმუშევრობის საკითხის შესახებ ამხ. ორახელაშვილი აცხადებს:

„ჩვენ ვერ დავივიწყებთ იმ ათასობით უმუშევრებს, რომელნიც აღმშენებლობის გარეშე რჩებიან. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ყოველგვარ შემთხვევით, რომ მათ დახმარება აღმოუჩინოთ. ამასთანავე ერთად ჩვენ სწორად მიგვაჩნია საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღებული კურსი, რომლის მიხედვით ყოველი კაპეიკი უნდა მოხმარდეს ფაბრიკა-ქარხნების და სხვა წარმოებების მშენებლობას, რაც უმუშევრობის წინაამდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. ამჟამად აზერბეიჯანში, განსაკუთრებით კი განჯაში, ლენინაკანში და საქართველოს ზოგიერთ ადგილებში უკვე გაჩაღებულია ინდუსტრიალური მშენებლობა. ფაბრიკა-ქარხნების მთელი რიგი ამუშავებულია, ხოლო დანარჩენთა აშენება უკვე გეგმით გათვალისწინებულია“.

შემდეგ ორახელაშვილი ჩერდება მფლანგველობის საკითხზე კოოპერაციაში და ამბობს, რომ უმთავრესი საშუალება მფლანგველობის წინააღმდეგ არის კოოპერატიული საზოგადოებრიობის განვითარება. სწორედ იქცევა ჩვენი სასამართლო, როცა უსასტიკეს ზომებს ღებულობს მფლანგველობის წინააღმდეგ, მაგრამ თუ ჩვენ არ გამოვაღვიძეთ კოოპერატიული საზოგადოებრიობა, არ დავაინტერესეთ მუშები და გლეხები—ჩვენი კოოპერაციის ბატონპატრონნი, რასაკვირველია, მარტო სასტიკი განაჩენებით საქმეს ვერ უშველით.

ლტოლვილების შესახებ ამხ. ორახელაშვილი აცხადებს:

„იმპერიალისტური ომის მიერ დატოვებულ იარებს ჩვენ ასე მალე ვერ მოვაშუშებთ. ამჟამად საკითხი მდგომარეობს იმაში, თუ საიდან უნდა ავიღოთ ის მილიონები, რომელთა საშუალებით უნდა ვაწარმოოთ წინასწარი მუშაობა, რომ დავასახლოთ და მოვაწყოთ ლტოლვილთა მშრომელი ელემენტები. თავის თავად ცხადია, ჩვენ ვერავის ვერ დავაიმედებთ, რომ შევსძლებთ იმპერიალისტური ომის მიერ დაზარალებულ ყველა ლტოლვილების მოწყობას.

დასასრულ ამხ. ორახელაშვილი, ეხება რა კულაკის გავლენის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებს, ამბობს:

„ჩვენ უარვყოფთ ხელოვნურ, ადმინისტრატიულ ძალდატანებას. ჩვენ კულაკი უნდა დავამარცხოთ პოლიტიკურად და უნდა განვანთავისუფლოთ მისი გავლენისაგან საშუალო გლეხი. ჩვენი მიზანი უნდა იყვეს, რომ საშუალო გლეხი საბჭოთა არჩევნებში სოფლად თავის თავს სთვლიდეს ღარიბ—პროლეტარი გლეხის მონათესავედ“.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ამხ. მამია ორახელაშვილის სიტყვაში იმ ადგილას, სადაც დაშნაკებზეა ლაპარაკი, შემდეგი შეცდომა შეპარა: სწერია—„რაც შეეხება დაშნაკელებს, ნება მომეცით აქ ერევანში, სესიის სხდომაზე განსაკუთრებით ვრცლად შევეხო მათ“, უნდა იყოს კი—„ვრცლად არ შევეხო მათ“.

საბჭოთა სომხეთის მთავრობის ანგარიში

ამხ. ამბარცუმიანის მოხსენება

სამი საკითხი

საბჭოთა სომხეთის მთავრობის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ამბარცუმიანი.

— ამხანაგებო, ორი თვის წინად სომხეთის მუშებმა და გლეხებმა იდღესასწაულეს სომხეთის გასაბჭოების ხუთი წლის თავი, გაუკეთეს დასკვნა ხუთი წლის ნამუშევარს და შეიმუშავეს შემდეგი აღმშენებლობის ძირითადი ხაზები. სომხეთის მთავრობას დღეს პირველად უხდება ანგარიშის მიცემა ამიერ-კავკასიის მშრომელთათვის, რომელთაც უფლება აქვთ სომხეთის მთავრობას დაუსვან მთელი რიგი კარდინალური კითხვებისა ჩვენი მუშაობის შინაარსის შესახებ. სომხეთის მთავრობამ მათ სწორედ ჩამოყალიბებული პასუხი უნდა გასცეს. ეს საკითხები სამ მუხლში გამოიხატება.

პირველი საკითხი—იქმნება თუ არა სომხეთში პროლეტარული სახელმწიფოს ახალი ტიპი; მეორე—იზრდება თუ არა ნამდვილად სომხეთის მეურნეობა და საითკენ არის მიმართული ეს ზრდა; მესამე—რა გაკეთდა და რა კეთდება კულტურული რევოლიუციისათვის, რომელიც აუცილებელ პირობას წარმოადგენს ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობისათვის.

სომხეთის მოსახლეობის შემადგენლობა

ახალი ტიპის სახელმწიფოს აშენების დროს ჩვენ მხედველობაში ვიღებთ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ და ეროვნულ თავისებურებას. ამის გარეშე ძნელია აღმშენებლობის სწორი ხაზის აღება. სომხეთი უმთავრესად გლეხური ქვეყანაა. პროლეტარიატი აქ მეტად მცირერიცხოვანია. ამას მოწმობენ პროფკავშირთა ცნობები და აგრეთვე ცნობები წარმოებასა და დაწესებულებებში ჩაბმულ მუშა-ძალის შესახებ. 24 ათას წევრს შორის საბჭოთა მოსამსახურეები შეადგენენ 12.000 კაცს. საწარმოო მუშების პროცენტი ცოტათი ნაკლებია 50-ზე: ის უდრის 11 ათასს. ჩვენ ვხედავთ, რომ წმინდა პროლეტარული ელემენტი ვიწრო ფენას შეადგენს. ჩვენი სოციალური წყობილება ეყრდნობა ორი კლასის—მუშების და გლეხების თანამშრომლობას. „ნეპმანი“ დაშვებულია, მაგრამ მისი როლი უმნიშვნელოა. გარდა ამისა ჩვენში არის პოლიტიკურად და საზოგადოებრივად აქტიური ფენა, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს—ეს არის ინტელიგენცია, რომელიც იყოფა სამ ჯგუფად: პირველი ჯგუფი—უმაღლესი კვალიფიკაციის ინტელიგენცია, რომელიც მუშაობს ცენტრალურ კულტურულ, სამეურნეო ორგანოებში და თანამშრომლობს ჩვენთან არა შიშის გამო, არამედ სინდისიერად. ამას ხაზი უნდა გავუსვათ. იმათ მხრივ ამჟამად საბოტაჟს არა აქვს ადგილი. ქვეყნის სამეურნეო აღორძინება ამ ჯგუფისათვის ძვირფასი საქმე გახდა; მეორე ჯგუფია—სოფლის კვალიფიციური ინტელიგენცია: აგრონომები, ექიმები, მასწავლებლები. ამათაც სურთ თანამშრომლობა საბჭოთა ხელისუფლებასთან. ისინი თავს ანებებენ წინანდელ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ შეცდომებს. მესამე ჯგუფი—სოფლის ახალი ინტელიგენცია, რომელიც ეხლა იქმნება. ამ ჯგუფის მთავარ კადრს კომკავშირი შეადგენს. ეს ჯგუფი განსაკუთრებულ აქტივობას იჩენს. ის მხურვალე მონაწილეობას იღებს ახალი სოფლის შენებაში. ამ ჯგუფში მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს სასოფლო საბჭოების და სოფლის სხვა ორგანოების ირგვლივ გაერთიანებული უპარტიო აქტივი.

გლეხობის პოლიტიკური განწყობილება

გლეხობის პოლიტიკურ განწყობილების მხრივ უნდა აღვნიშნოთ, რომ გლეხობა ჩაბმულია საბჭოთა მუშაობაში და სარგებლობს ყველა იმ საშუალებებით, რომელიც მას მიანიჭა გასაბჭოებამ. გლეხობამ პირი იბრუნა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ და ზურგი შეაქცია წინანდელ პოლიტიკურ პარტიებს.

უკანასკნელ წლებში ბანდიტიზმი სრულებით გაქრა. ანტისაბჭოთა პარტიები უკვე აღარ ცდილობენ გლეხობასთან მისვლას ანტისაბჭოთა აგიტაციით, რადგან იციან, რომ მათი ცდა უშედეგოთ დამთავრდება. გახრწნის პროცესი ღრმად შეიჭრა ამ პარტიების რაზმებში. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ყოველი წლით მსუბუქდება. ყველაფერი ეს დამახასიათებელია გლეხობის პოლიტიკური განწყობილებისათვის, რომელიც საერთოდ იყო და არის საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. გლეხობის პოლიტიკური განწყობილება აგრეთვე საბჭოთა აპარატის საკითხში გამოიხატება. ახალი ტიპის სახელმწიფომ შექმნა ორგანოები, რომელნიც გამოხატავენ მშრომელთა უმრავლესობის ნებისყოფას და სურვილს. გლეხობა ცხოველ მონაწილეობას იღებს დაბალ საფეხურის ორგანოებში—სასოფლო საბჭოებსა და სათემო აღმასკომებში, მიტომ რომ კარგად ხედავს მათ აქტიურ პოლიტიკას. სომხეთში 1000-ზე მეტი სოფელია. სასოფლო საბჭო 776-ია, რომელშიაც ქალები, ჯერ-ჯერობით, სამწუხაროდ, უმნიშვნელო პროცენტს შეადგენენ, სახელდობრ 6.6.

ეროვნული მომენტი

ეროვნულ მომენტის მხრით უნდა აღვნიშნოთ, რომ სომხეთში 85 პროც. სომეხია, 9,8 პროცენტი თურქი, 2,5 პროც. რუსი, დანარჩენები კი აისორები, ეზიდები და ბერძნები. ეს პროცენტები სათანადო გამოხატულებას პოულობენ დაბალ საფეხურის აპარატებში—სასოფლო საბჭოებსა და სათემო აღმასკომებში. სამაზრო აღმასკომებში თურქების მონაწილეობის პროცენტი ნაკლებია, რაც აიხსნება მათი კულტურული ჩამორჩენილობით, რის გამო შეუძლებელია ჯერ-ჯერობით სამაზრო მასშტაბის მუშაკების წამოყენება. რაც შეეხება სოციალურ შემადგენლობას, ჩვენს საბჭოებს უმრავლესობას [illegible] საშუალო გლეხობა შეადგენს. საბჭოებში მნიშვნელოვან პროცენტს შეადგენს აგრეთვე ღარიბი გლეხობა. „კულაკები“ მხოლოდ 2 პროცენტია, რაც მოწმობს იმას, რომ ჩვენში არ არსებობს „კულაკების“ ძალადობა. მოჯამაგირეები 4 პროცენტს შეადგენენ.

მასების აქტივობა

მასების აქტივობა შესამჩნევად გაიზარდა, მასები მონაწილეობას იღებენ კოოპერაციასა, გლეხთა ურთიერთ დახმარების საზოგადოებებს, სამკითხველო-ქოხებსა და სხვა საზოგადოებრივ და კულტურულ ორგანოებში. თავის თავად ცხადია, მთავრობა ყოველ მხრივ ხელს უწყობს ამ აქტივობას.

ადგილობრივი ბიუჯეტი

ახალი ტიპის სახელმწიფოს განვითარების მტკიცე მატერიალურ ბაზას ადგილობრივი ბიუჯეტი შეადგენს. დაბალ საფეხურის საბჭოთა აპარატის მუშაობა ნაყოფიერი იქნება იმდენად, რამდენადაც რეალური და ხორცშესხმულია ადგილობრივი ბიუჯეტი. შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი სწორ გზაზეა დაყენებული. აღარ არსებობს ის შემცდარი შეხედულება, თითქოს ადგილობრივი ბიუჯეტი ზღუდავდეს ადგილობრივ მუშაკების თვითმოქმედებას. პროვინციის მუშაკებმა შეიგნეს ადგილობრივი ბიუჯეტის უდიდესი მნიშვნელობა და აცხადებენ ადგილობრივ ბიუჯეტის ფარგლებში ცხოვრებისა და მუშაობის სურვილს—ეს განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს. ადგილობრივი ბიუჯეტი საკმაოდ სწრაფად იზრდება. არსებობს ნორმალური დამოკიდებულება შემოსავლის და გასავლის სხვადასხვა ძირითად ჯგუფებს შორის. არა საგადასახადო შემოსავლის ხვედრითი წონა თანდათან იზრდება. ასეთია მიღწევები. სუსტობს მუშაობა ადგილობრივ ბიუჯეტის დიფერენციაციის საქმეში, არ არის გამოყოფილი საუბნო ბიუჯეტი.

როგორ იზრდება სომხეთი

მეორე საკითხია—როგორ იზრდება სომხეთის მრეწველობა-მეურნეობა. საჭიროა სწორად განვსაზღვროთ გლეხური მეურნეობის და მრეწველობის ურთიერთ დამოკიდებულება. აქ ადგილი არ უნდა ექნეს არავითარ გატაცებებსა და ილიუზიებს. მრეწველობის ზრდა სომხეთში შედარებით სუსტია. მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა მიწათმოქმედებას ეწევა. მრეწველობის მთელი პროდუქცია წარსულ წელს 7—8 მილიონ ჩერვ მანეთში გამოიხატება, სასოფლო მეურნეობისა—29 მილ. მანეთში (ომის წინა დროის მანეთებში); გატანილია სამეურნეო პროდუქტები 4 მილიონზე მეტი ღირებულებისა. ყურადღების ცენტრს 4 წლის განმავლობაში სასოფლო მეურნეობა წარმოადგენდა. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. საბჭოების ყრილობამ განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია ინდუსტრიალური კერების დაარსების საჭიროებას და მთავრობის მუშაობის გაძლიერებას ამ მიმართულებით.

მემკვიდრეობით მიღებული მეურნეობა

მემკვიდრეობით გადმოცემული მეურნეობა სრულიად დაცემული იყო. ჩვენ გვაქვს 160 ათასი წვრილი, დაქუცმაცებული მეურნეობა ერთ პაწაწა ნაჭერ ტერიტორიაზე. ომის განმავლობაში მეურნეობა რიცხვობრივად ეცემოდა, გასაბჭოების შემდეგ სასოფლო მეურნეობამ დაჰკარგა ზოგიერთი ძვირფასი კულტურის დარგები. წყლის მეურნეობის სისტემა განადგურდა. მეტად ძნელ პირობებში მოგვიხდა მეურნეობის აღდგენა. საჭიროა აღინიშნოს მიწის ნაკლებობა ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ გვაქვს რაიონები, სადაც თვითეულ სულზე ნახევარი დესეტინა მიწა მოდის. სასოფლო მეურნეობის ტეხნიკა დაბალია.

აღორძინების პერიოდი

მეურნეობის აღდგენას გასაბჭოების შემდეგ ახასიათებს შემდეგი ფაქტები; 1922 წელს პურეულით დათესილი არე უდრიდა ომის წინა დროის ნორმის 30 პროცენტს, 1923 წელს—74 პროცენტს, 1925 წ.—80 პროცენტზე მეტს. ბამბით დათესილი არე 1922 წელს უდრიდა 2[illegible] დესეტინას, 1923 წელს ჩვენ უკვე 141 პროც. მივაღწიეთ, სხვანაირად რომ ვსთქვათ, უკვე გადავაჭარბეთ ომის წინა დროის დონეს; 1925 წელს ეს არე ცოტათოდნად შემცირდა, სახელდობრ, 132 პროცენტამდე. ეს აიხსნება მორწყვის ნაკლებობით. მევენახეობაც ზრდის სტადიაშია: ომის წინადროის არე უდრიდა 10.500 დესეტინას. მოსავალი დაეცა: 1914 წელს დესეტინაზე მოსავალი უდრიდა 300 ფუთს, 1922 წელს—53 ფუთს: 1924 წელს—260 ფუთს. სისტემა ძველებურია, რაც შეუძლებლად ხდის მექანიკურ დამუშავებას. საჭიროა ხანგრძლივი მუშაობა მევენახეობის გასაუმჯობესებლად. მე აღვნიშნავ ვაზების დაზარალებას შარშანდელი ყინვების გამო. [illegible] პროცენტამდე. მოსავალმა იკლო 30 პროცენტით.

მესაქონლეობა დიდ როლს თამაშობს ჩვენს მეურნეობაში. აქაც წარმატებას მივაღწიეთ: 1919 წელს ჩვენ გვქონდა ომის წინა დროის დონის 40 პროც. და იგი 61 პროცენტამდე ავიყვანეთ. პერსპექტივები დიდი გვაქვს. პირობები პროდუქტიულ მესაქონლეობის განვითარებისათვის ხელსაყრელია. ჩვენ გვაქვს 550,000 დესეტინა მშვენიერი ალპიური საძოვარი, ეს 30 პროცენტით აღემატება შვეიცარიის საძოვრებს, ხარისხითაც არ ჩამორჩება მას. გვაქვს საშუალება მოვაშენოთ კულტურული ბალახი. გლეხებში შემჩნეულია ლტოლვა მესაქონლეობის, პროდუქტიულ საქონლის მოშენებისაკენ, განსაკუთრებით ახალ-ბაიაზეთის და დელიჟანის რაიონებში. სასოფლო მეურნეობის უმთავრეს უბედურებას ინვენტარის უქონლობა წარმოადგენს. ომამდე გვქონდა 17.000 გუთანი. 1920 წელს—5000; ამჟამად ჩვენ დაახლოვებით 9000 გუთანი გვაქვს. სომხეთის საბჭოთა მესამე ყრილობამ სერიოზული ყურადღება მიაქცია სასოფლო მეურნეობის ინვენტარიზაციას. გლეხობა ილტვის მექანიზაციისაკენ, მოითხოვს ტრაქტორებს. ჩვენ ანგარიშს უწევთ გლეხობის მოთხოვნილებებს: ამ მიზნისათვის სასოფლო-სამეურნეო კრედიტი დავაწესეთ და გამოვყავით სპეციალური საინვენტარო ფონდი, 300 ათასი მანეთი. გამოირკვა, რომ მთიან ადგილებში შესაძლებელია თამბაქოს კულტურის გაშენება. აქ ჩვენ წარმატებას მივაღწიეთ. მეაბრეშუმეობაც ჩქარის ტემპით განვითარდება. მეფუტკრეობასაც ეტყობა განვითარება.

მიწათმოწყობა

მიწათმოწყობის შესახებ უნდა აღვნიშნო, რომ სოფლებს შორის მოწყობა თითქმის დამთავრდა მთელ რესპუბლიკაში. მიწის დაქუცმაცება დაძლეულია. სომხეთში აღარ დარჩა არც ერთი მემამული. სოფლის შინაურ მოწყობაში კარდინალურია საკითხი მიწათსარგებლობის ფორმის შესახებ. ჩვენში გაბატონებულია სათემო ფორმა. ჩვენი პოლიტიკა ამ დარგში ძალიან ფრთხილია. საკითხის უკეთესად გადასაჭრელად ჩვენ გადავწყვიტეთ ყველა ადგილობრივი ძალები გამოვიყენოთ. გლეხობა მოითხოვს მიწათმოწყობის საკითხის ჩქარა გადაჭრას.

სასოფლო მეურნეობა

თავისი მოხსენების მეორე ნაწილში ამბარცუმიანი არკვევს სომხეთის სასოფლო მეურნეობის განვითარების ხაზს.

მომხსენებლის სიტყვით, საჭიროა მესაქონლეობის განვითარება სახელმწიფოს მთიან ადგილებში, სადაც პურეულის ნათესებს სპობს სტიქიური უბედურება. სომხეთში სასოფლო მეურნეობის რაციონალიზაციის და ინტენსიფიკაციისათვის ამბარცუმიანი აყენებს შემდეგ ზომებს: პირველი—სასოფლო მეურნეობათა დარაიონება იმ მიზნით, რომ ვიქონიოთ უფრო კონკრეტული წარმოდგენა სასოფლო მეურნეობაში არსებულ პროცესების შესახებ; მეორე—სასოფლო მეურნეობის საერთო კულტურული აღორძინება (მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტში სომხეთის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მონაწილეობა გაიზრდება. ამ მონაწილეობის მიზანია აგროდახმარების განვითარება და სოფლად აგროპროპაგანდის სათანადო დონეზე დაყენება); მესამე—სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის განვითარება. უკანასკნელი საკითხის შესახებ ამბარცუმიანი ამბობს, რომ ამჟამად სომხეთში არის 19.000 საგლეხო კოოპერატიული მეურნეობა, თითქმის ყველა მეურნეობათა 25 პროცენტი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში ყველაზე წინ სდგას ყველის და რძის სხვა პროდუქტების დამზადების დარგი. კოოპერაციას საკუთარი საშუალება საკმაო აქვს. საბრუნავ, ძირითად და საპაიო კაპიტალების ზრდა უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში განისაზღვრება რამოდენიმე ასი ათასი პროცენტით. ყველ-ზე ძლიერი კოოპერატიული ქსელი—რძის პროდუქტების დამამზადებელი,—უმეტესად აერთიანებს ღარიბ და საშუალო გლეხობას. ცოტად თუ ბევრად შეძლებული ელემენტები აქ შედარებით ნაკლებად არიან წარმოდგენილი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია უდიდეს მუშაობას ეწევა იმისათვის, რომ ზოგიერთ ოლქებში მოწყობილი იქნეს საკუთარი წარმოება, განსაკუთრებით იმისათვის, რომ დამუშავებული იქნეს საგლეხო მეურნეობის პროდუქცია, მაგალითად, ავიღოთ ღვინის დამზადება, ყველის და ზეთის ქარხნები.

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაცია

სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციამ სასოფლო მეურნეობაში 1924—25 წელს დააბანდა 1,728,000 მანეთი, გასულ წელს კი—თითქმის 3,000,000 მანეთი. კრედიტების მეტი ნაწილი ხმარდება სასოფლო მეურნეობისათვის საწარმოო საშუალებების მიწოდებას. 1924—25 წლის საშუალებების არა [illegible] გაცემული იყო გრძელვადიანი სესხის სახით. ყველაზე ძნელი ამოცანა ამ დარგში არის საკრედიტო ამხანაგობათა ქსელის გაფართოება. საკრედიტო ამხანაგობათა რიცხვი ამჟამად უდრის 28-ს. ზოგიერთ უბნებში ისინი ცუდათ მუშაობენ, ზოგიერთებში კი სწვდებიან მთელი რაიონის სამეურნეო ცხოვრებას, რამდენათაც ეს დამოკიდებულია საშუალებებზე, რომლებიც მათ მოეპოვებათ.

იმ დახმარებასთან ერთად, რომელსაც მთავრობა ამხანაგობათა მოწყობის საქმეს უწევს, დიდი რაოდენობით უნდა იქნეს მიზიდული ის საშუალებები, რომელნიც დაგროვებულია საგლეხო მეურნეობაში.

არა საკმაო ყურადღება ექცევა სარეწაო კოოპერაციას, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს ჩვენს პირობებში, როცა მოსახლეობის ზრდის გამო ადგილი აქვს მიწების სივიწროვეს. იზრდება სამომხმარებლო კოოპერაცია; მისი პირველი საფეხურის ქსელი სავსებით ჯანსაღად ვითარდება.

სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია

მთავარ მომენტად სომხეთის სასოფლო მეურნეობის განვითარებაში ამბარცუმიანი სთვლის მის ინდუსტრიალიზაციას. სასოფლო მეურნეობა არ უნდა ატარებდეს პრიმიტიულ სამომხმარებლო ხასიათს, როგორიც მას აქვს ამჟამად განსაკუთრებით ცალკე მაზრებში. საჭიროა უმთავრესად დასმული იქნეს სასოფლო მეურნეობის ნედლეულის კოოპერატიულად დამუშავების საკითხები. ეს საკითხი დასმულია დაბლობიან რაიონებში მევენახეებს შორის ხილების კონსერვების გაკეთების საქმეში, აგრეთვე ალპის რაიონებში, სადაც შარშან უკვე მოახერხეს ყველის დამამზადებელი 11 ქარხნის მოწყობა. ჩვენ ყველის დამამზადებელ ქარხნებს, რომლებიც სწორად, ტეხნიკურად იქნებიან მოწყობილი, დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ იმისათვის, რომ გავატაროთ ალპის სიმაღლეების მეურნეობაში ძირითადი რევოლიუცია, რომელსაც ჩვენ ამჟამად ვატარებთ.

წყალთა მეურნეობა

მიუთითებს რა ირიგაციის დიდ მნიშვნელობაზე სომხეთის სასოფლო მეურნეობის განვითარების საქმეში, ამბარცუმიანი ლაპარაკობს:

— წყლების რესურსები ჩვენ საკმაო გვაქვს, მაგრამ მათი ექსპლოატაცია საკმაოდ ვერ ხდება. წყალთა სისტემის ენერგია სომხეთში მოგვცემდა 550,000 ცხენის ძალას.

წყლის რესურსები გვეყოფა იმისათვის, რომ მოვრწყოთ სომხეთში 150,000 დესეტინამდე მიწა, რომელიც ამჟამად გამხმარია. მაგრამ მაინც ირიგაციის მხრივ ჩვენ საკმაოდ დიდი მუშაობა გავსწიეთ: გახსნილია შირაქის არხი, დამთავრებულია ეჩმიაძინის არხი, რომელმაც მთელ რიგ წლების განმავლობაში ვერც მეფის, ვერც დაშნაკების მთავრობამ ვერ გაიყვანა. შემუშავებულია ხუთი წლის საირიგაციო მუშაობის გეგმა, წელს ჩვენ უნდა აღვადგინოთ პატარა სარდარაბადის არხი და არზნის სარწყავი სისტემა. საჭიროა მოგვარებული იქნეს წყალით სარგებლობის ფორმები. საჭიროა ელექტროფიკაციასთან იქნეს დაკავშირებული საირიგაციო მუშაობა. მაგალითად, შირაქის არხი, რომელიც რწყავს 4000 დესეტინას, უნდა ემსახურებოდეს აგრეთვე დიდ ჰიდროელექტრო სადგურებს. სომხეთის მთელ რიგ ქალაქებში ეწყობა და ალაგ-ალაგ აგებულიც არის პატარ-პატარა ელექტრონის სადგურები.

ქვეყნის სავაჭრო ბრუნვა

შემდეგ მომხსენებელი გადადის ქვეყნის სავაჭრო ბრუნვაზე და აღნიშნავს, რომ კერძო კაპიტალი ამ ბრუნვაში 1922—23 წ. შეადგენდა 67 პროც., კოოპერაცია—8 პროც., და სახ. ვაჭრობა 25 პროც. 1924—25 წ. კერძო ვაჭრობა 24 პროც. დაეცა.

დამამზადებელ ბაზარზე

მომხსენებელი ხაზს უსვამს სომხეთისთვის თავის დროზე და სრულიად პურის მიწოდების საქმეს, ვინაიდან მას თავისი პური არ ყოფნის. ყველა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ფასები პურის ფასს უსწორდებიან. ეს სომხეთის ყველა დამამზადებელ ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ მხედველობაში.

სახელმწიფო მრეწველობა

გადადის რა მრეწველობაზე, ამხ. ამბარცუმიანი აღნიშნავს, რომ იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომების დროს ის სრულიად განადგურდა. სომხეთის გასაბჭოების შემდეგ მრეწველობა თანდათანობით აღდგენის პროცესს განიცდის. სომხეთის სახელმწიფო მრეწველობის უმთავრეს დარგებს შეადგენენ სპილენძის დამუშავება და ბამბის მრეწველობა. ამ უკანასკნელს ბამბის დამუშავებაში ამჟამად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, ბამბის დამუშავება თვიურად საშუალოდ უდრის 190.000 ფუთს.

ჩვენ ვფიქრობთ არა მარტო გაწმენდას ბამბისას, არამედ საფეიქრო მრეწველობის განვითარებასაც. ერთი საქსოვი ქარხანა მიმდინარე წელში დამთავრდება.

ჩვენი მეურნეობის განვითარებისთვის შემდეგში აუცილებელია დიდი მექანიკური ქარხნის აგება; მიმდინარე წელში ჩვენ ვფიქრობთ დავიწყოთ მისი აგება; მოწყობილობის ნაწილი უკვე მიღებულია. ამავე დროს ზომები უნდა მივიღოთ კვალიფიციურ მუშა-ძალის მოსამზადებლად.

კულტურული რევოლიუცია

თავისი მოხსენების უკანასკნელ ნაწილში ამბარცუმიანი ეხება კულტურულ მუშაობას და აღნიშნავს ამ ფრონტზე მთელ რიგ მიღწევებს მეფის და დაშნაკელების ბატონობის დროსთან შედარებით.

— ერევანში არსებობს სახალხო ბიბლიოთეკა, წიგნთა პალატა და სამეცნიერო ინსტიტუტები, რომლებიც არ ყოფილან დაშნაკელებს დროს. 1914 წელთან შედარებით სკოლების ქსელი გაფართოვდა 173,7 პროცენტით, დაშნაკელების დროს კი ის შეადგენდა ომის წინანდელი ნორმის მხოლოდ 98 პროცენტს, მასწავლებლების რიცხვი ომის წინანდელ დონესთან შედარებით, თუ მას ჩავთვლით 100 პროცენტად, ეხლა უდრის 133 პროც; ერთი სკოლა მოდის 1,279 სომეხზე, 967 თურქზე, 908 რუსზე, 840 ეზიდზე, 749 ქურთზე და 527 აისორზე.

სასამართლო ორგანოები

კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობაში დიდ როლს თამაშობს იუსტიციის სახალხო კომისარიატი და მისი ორგანოები ადგილებზე. მე შემიძლია თამამად განვაცხადო—ამბობს ამბარცუმიანი,—რომ ჩვენი სასამართლოები პატიოსანი სასამართლოებია. როცა პასუხისმგებელი მუშაკები დაგზავნილი იყვნენ სოფლებში, მათთვის გლეხებს არ მიუმართავთ არავითარი საჩივარით სასამართლო აპარატის წინააღმდეგ.

ჯანმრთელობის დაცვა

დიდი მიღწევები გვაქვს ჯანმრთელობის დაცვის საქმეშიც. არასოდეს ერივნის გუბერნიის ტერიტორიაზე არ ყოფილა სამკურნალო და პროფილაქტიურ დაწესებულებათა ასე ფართო ქსელი, როგორც ეხლა არის; ჩვენი უდიდესი მიღწევაა—საექიმო ფაკულტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

საკურორტო აღმშენებლობა

ამბარცუმიანი აღნიშნავს, რომ საჭიროა საკურორტო აღმშენებლობის გაძლიერება.

კურორტები სომხეთში საკმაოდ მოიპოვება, მხოლოდ საჭიროა მათ სერიოზულად მოვეპყრათ და მივხედოთ.

ის, რაც უნდა კეთდებოდეს საბჭოთა ქვეყანაში

მე ვფიქრობ,—ათავებს ორატორი თავის მოხსენებას,—რომ ჩვენ მიერ აღებული კურსი ჩვენი სასოფლო მეურნეობის აღდგენაზე, კურსი სომხეთში სამრეწველო კერების შექმნაზე, კოოპერაციის ქსელის გაფართოებაზე, ირიგაციის, ელექტროფიკაციის და კულტურული რევოლიუციის კურსი,—ყველაფერი ეს არის სწორედ ის, რაც აუცილებლად უნდა კეთდებოდეს საბჭოთა ქვეყანაში. მაგრამ როგორ დავსძლევთ ჩვენ ეს, ამას თქვენ იტყვით, როცა შეაფასებთ ჩვენს მუშაობას (მქუხარე ტაში).

მისალმებანი სესიას

ერევანი, 27 იანვ. სესიის პრეზიდიუმის სახელზე მიღებულია მრავალი მისასალმებელი დეპეშა. წითელი სანაპირო რაზმელები, რომელნიც აღმოსავლეთის საზღვარზე სდგანან, მხურვალე სალამს უძღვნიან ამიერ-კავკასიის ყველა ერების კოლექტიური ნებისყოფის გამომხატველს, ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესიას.

ყირიმის სომხების უპარტიო მუშათა და გლეხთა კონფერენციის მისალმებაში ნათქვამია, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია და ყირიმის [illegible] წარმოადგენენ კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ეროვნული საკითხის სწორად გადაჭრის საუკეთესო გამოხატულებას.

სრულიად სომეხთა უმაღლესი პატრიარქი და კათალიკოსი გევორქი სესიას უსურვებს „სრულ გამარჯვებას ნაყოფიერ მუშაობაში ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური კავშირის განსამტკიცებლად“.

მიღებულია აგრეთვე მისალმებანი სომხეთის მაზრების უპარტიო კონფერენციებისაგან.

სესიის მეორე დღე

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

კრება იწყება დილის 10 საათზე. დელეგატები უფრო ადრე გროვდებიან სახ. თეატრის შენობაში, რომლის დარბაზები საკმაო საყურადღებო მასალას იძლევიან სტუმრებისათვის, რადგან აქ უხვად მოიპოვებიან დიაგრამები ა|კ. მეურნეობიდან, წარმოებიდან, განათლებიდან, კოოპერაციიდან და სხვა მრავალ დარგიდან.

აქვეა სომხ. სახელმწიფო გამომცემლობის გამოფენა.

ამის გვერდში კი გადაშლილია საუცხოვო კოლექცია საქართველოს ყველა კანონებისა, დეკრეტებისა და განკარგულებებისა, რაც კი გამოსულა მისი გასაბჭოების დღიდან.

ეს კუთხე საგანგებოთ მოუწყვია საქ. სახ. გამომცემლობას.

დიდი დარბაზის კედლებს ამშვენებენ სომხეთშივე მოქსოვილი ხალიჩები.

სანამ კრება დაიწყებოდეს, დელეგატები სარგებლიანათ ართობენ გულს ამ სხვადასხვა დარბაზებში.

სხდომა იხსნება დანიშნულ დროზე.

დღეს კამათია ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენების გარშემო.

აქ საყურადღებოა შთაბეჭდილება, რომელსაც სტოვებს მთელი კრება სხდომის მიმდინარეობაში:

აქ არიან დელეგატები; ქართველები, სომხები, რუსები, თურქები, ქურთები და სხვ.

ყველანი თავიანთ თავს გრძნობენ შინაურულად, თავიანთ ოჯახში და ტრიბუნაზეც თავისუფლად გაისმის ხან ქართული, ხან სომხური, ხან [illegible] სიტყვა. მრავალს არ ეტყობა უკან დახევა ან დარიდება აზრის გამოსათქმელად მხოლოდ იმიტომ, რომ არ ეხერხება რუსული.

ასეთი სულიერი [illegible] მართლა მთლიანი ოჯახის შთაბეჭდილებას სტოვებს [illegible].

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება:

დელეგატებს, უმეტეს ნაწილად სულ ჩვეულებრივ მუშებს, ოდნავადაც არ ეტყობათ დარიდება, უკან-დახევა, მხოლოდ იმიტომ—ვაი თუ ლიტერატურულად ვერ გამოვსთქვა ჩემი აზრი და შევრცხვე მოწინავე ამხანაგებთანო. ყველას ეტყობა სრული სითამამე და თანაც დამოუკიდებლობა. ისინი გაბედულად და [illegible] აღნიშნავენ ყველა იმ ნაკლს სახელმწიფო და სამეურნეო აღმშენებლობაში, რომელიც მათ შეუმჩნევიათ თავიანთი დაკვირვებით ან ადგილობრივ ან სახელმწიფოს მასშტაბით.

თუ ეს გამოთქმა ზოგჯერ ვერ იქნება დახვეწილი და კრიალოსანივით კოხტად ასხმული—არა უშავს რა!

თუ კი სწორე აზრის გამოსათქმელად ზოგჯერ სიტყვა გაუბრუნდდება რომელიმე დელეგატს, აქ რაღაც უნებლიე, ფსიქოლოგიური გათვალისწინებით თვითონ კრება ეხმარება საგანგებო გამოხმაურებითა და ტაშის ცემით.

ეს საუცხოვო გამხნევებაა მჭერმეტყველობაში გამოუცდელ მუშა ან გლეხ-დელეგატისთვის და ისიც თავისუფლად განაგრძობს გულისნადების გაზიარებას.

ასეთი განწყობილება, წმინდა დემოკრატიული სულია გამეფებული მთელ კრებაში. იმიტომაც ბევრი ჩვეულებრივი მუშა ასე გაბედვით ეხება მთავრობის მოხსენებას და აღნიშნავს ყველა იმ მხარეს, რომელიც მას ეჩვენება ნაკლათ, სუსტათ ან გვერდის ახვევათ.

ასეთი იყო თელაველი დელეგატის ამხ. ზაუტაშვილის სიტყვაც.

ის რიხიანათ გამოესარჩლა სოფლის მასწავლებლების უმწეო მდგომარეობას.

უფრო უარეს მდგომარეობაშია კიდევ დაბალ საფეხურის მოსამსახურენი.

აგრეთვე აღნიშნავს, რომ საკმაო მომგებიან რკინის გზის გვერდში ერთი სიტყვაც არ იყო თქმული შარა გზებზე, ურომლისოდაც სოფლის მეურნეობა ვერ წავა წინ ო.

ის ეხება კიდევ სხვა საკითხებს, რომლებიც უნდა მოგვარდენ საქართველოს მასშტაბით.

კრებაში მთელი სიხალისე და სიცოცხლე შეაქვს აზერბეიჯანელ დელეგატ მუხტარ-ფატალის გამოსვლას. ეს ერთი აქტიური დელეგატთაგანია მთელ კრებაზე. ის მუდამ წინა სკამზე ზის და ყოველი ტაშის დაკვრის ან ოვაციების დროს ისეთი უდაბური და თავისებური ხმით გაჰკივის, რომ ყველას ხმაურსა ჰფარავს და თავისკენ იპყრობს მრავალის ყურადღებას.

ის ლაპარაკობს თურქულათ. ლაპარაკობს სადათ, ატაცებული კილოთი და თავისუფლად. თითქმის ყოველი მისი წინადადება აღტაცებულ ტაშისცემას იწვევს ყველაში, ვისაც კი ესმის თურქული.

მაგრამ იმისი კილო, მანერები და ცოცხალი გამომეტყველება იმდენათ დამარწმუნებელ და საუცხოვო შთაბეჭდილებასა სტოვებს, რომ ლამის ოვაციები გაუმართონ იმათაც, ვისაც არ ესმით თურქული ენა.

როცა მორჩა ის სიტყვას, კრებამ მოითხოვა თარგმანი, მაგრამ მუხტარ ფატალი სხვას ვერ ენდობა თარგმანის სისწორეში და ისევ თვითონ იღო თავზე ეს შრომა.

ის პირდაპირ არტისტულათ და ორიგინალურათ ამახინჯებს ყოველ რუსულ სიტყვას, მაგრამ ყოველ მის სიტყვაში გაისმის გულწრფელობა და მოსწრებული ჭეშმარიტება. აი თუნდა ერთი იმისი სანიმუშო ფრაზა:

„Крестянин адин буила, ест, адин бик.—гаварит—Кулак! зачем [illegible] эделал“?

ამავე წყობილსიტყვაობით განაგრძობს მთელ თავის სიტყვას ნახევარ საათის განმავლობაში და კრებაც უსმენს ნამდვილ აღტაცებითა და სიამოვნებით.

აგერ თბილისის სახელოსნოების მუშა ნავროზაშვილი. მას ეტყობა თავისი დაკვირვებითა და გამოცდილებით გზის გაკვლევა როგორც ცხოვრებაში, ისე აზროვნებაშიც.

ის სანიმუშოთ და სისტემატიურათ აღნიშნავს მრავალ საჭირბოროტო საკითხის მოგვარებას, შემდეგ განსაკუთრებით ეხება გლეხებში მუშაობას და მათთან მიდგომას.

საღამოს სხდომაზე მეტად საყურადღებო იყო სომეხ მასწავლებელთა წარმომადგენლის იოანისიანის სიტყვა. მისი ლამაზი და მდიდარი ლექსიკონი ერთხელაც არ შელახულა რომელიმე ჩვეულებრივი, გაცვეთილი სიტყვით. ის მწყობრათ, ლამაზათ და ძლიერათ გადადის როგორც სიტყვის, ისე აზრის გასაქანში. ის ასეთი დაფიქრებული მოხდენითა და საგანგებოთ დაწმენდილი მეტყველებით ასწერს განათლების საქმეს, მასწავლებელთა მდგომარეობას და საბჭოთა ხელისუფლებასთან დამოკიდებულებას, რომ ძალა-უნებურად იმსჭვალება კაცი მისი სიტყვით.

აგერ ტრიბუნაზე ორი ქურთი—ეზიდი—სოფლებიდან მოსულნი. ისინი ყველას ყურადღებას იზიდავენ ვერცხლის ჯიბჯაღ-მასრებით უხვად შემკული ჩოხა-არხალუხით და ფერად აბრეშუმებისაგან დაწნილ ქუდებით.

ამათ მოაქვთ [illegible] ქურთი გლეხობის მხურვალე მოლოცვა და კეთილი სურვილი იმ ხელისუფლებისათვის, რომელმაც მრავალ ხალხთა შორის გაამეფა ნამდვილი ძმობა და პატივისცემა.

ამის შემდეგ საბოლოო სიტყვას აძლევენ ა|კ. მთავრობის თავმჯდომარეს ამხ. მამია ორახელაშვილს.

მრავალი დელეგატების თითქმის ყველა შენიშვნებზე მან მისცა სრული განმარტება და ამომწურავი პასუხი.

მამიას სიტყვის შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელიც სავსებით იწონებს და ადასტურებს მთავრობის მოქმედებას და აღებულ გზას.

შემდეგ იწყება საბ. სომხეთის მთავრობის თავმჯდომარის ამხ. ამბარცუმიანის საინტერესო მოხსენება.

ო—ძ.

უკანასკნელი ცნობები

ამხ. კარახანის დეპეშა ივანოვს

პეკინი, 26 იანვ. 26 იანვარს ამხ. კარახანმა დეპეშა გაუგზავნა ივანოვს, რომელშიაც ესალმება მას და მადლობას უძღვნის იმ მაგარი პოზიციის გამო, რომელიც ივანოვმა დაიჭირა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე კონფლიქტის დროს.

ამავე დროს კარახანი სთხოვს ივანოვს გადასცეს მადლობა მუშებს, რომლებიც თავგადადებით ასრულებდენ თავის მოვალეობას მიუხედავად შევიწროებისა, დაპატიმრებებისა და ცემისა.

„მე მოხარული ვარ შევატყობინოთ, ამბობს კარახანი, რომ ჩინეთის ხალხის საუკეთესო ნაწილის თანაგრძნობა ამ უკანასკნელ დღეებში ჩვენსკენ იყო, მრავალ რიცხოვან ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, და აგრეთვე კერძო პირებმა, მინახულეს და თანაგრძნობა გამოცხადეს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ უწესოების გამო და მთხოვეს დავიცვა ეს გზა გაძარცვისაგან".

შიმშილობა იზრდება

ვარშავა, 26 იანვარი. სასწრაფო დახმარებას ყოველ დღე რამდენიმე კაცი აყავს ქუჩიდან, რომელნიც შიმშილისაგან გონებას კარგავენ.

ინგლისის „განიარაღება"

ლონდონი, 26 იანვ. ლონდონში შესდგა დიდი დემონსტრაცია მშვიდობიანობის სასარგებლოდ, რომელზედაც სხვა ორატორებს შორის გამოვიდა მაკდონალდის კაბინეტის ყოფ. მინისტრი პონსონბი; მან განაცხადა, რომ ინგლისი ემზადება ომისთვის, ჩვენი ფაბრიკები ამზადებენ 116 ტონიან ყუმბარებს, აკეთებენ ახალ ნიმუშიან ტანკებს.

პარლამენტის წევრმა ჯონ ბენეტმა აღნიშნა, რომ ომის გათავების შემდეგ პარლამენტმა საზღვაო შეიარაღებისათვის გადასდო არა ნაკლებ 500 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის მოლაპარაკება

პარიზი, 26 იანვ. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის დელეგაციაში, რომელიც მოლაპარაკებას გამართავს საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთ შორის შედიან საზოგადო სამუშაოთა მინისტრი დე-მონზი—დელეგაციის თავმჯდომარე, დონზე, [illegible] და ბახტიდი; პოლიტიკურ სექციაში: გარეშე საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ფილიპე ბერტელო, კორბენი და მასილი; ეკონომიურ სექციაში: სერრიუი, დე-სენ-კანტენი და კულონდრი; იურიდიულ სექციაში: ფრომაჟე, არისტონდი და ბალევან; ფინანსიურში: ხაიდუ, ანფუ, მორო და ნერრუ. დელეგაციის გენერალურ მდივნათ დანიშნულია შალ.

საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობა

პარიზი, 26 იანვ. გაზეთ „ავენირის" თანამშრომელთან საუბარში იტალია-საფრანგეთის დამოკიდებულების შესახებ, მუსოლინიმ განაცხადა:

„საფრანგეთი და იტალია უნდა გაერთიანდენ, რომ წინაღუდგენ იმ ბლოკს, რომელიც ცდილობს შეაკავშიროს ის ხალხები, რომლებსაც ჩვენ ვეზარებით. იტალია არ ფიქრობს თავისი პრეტენზიები განაცხადოს ნიცაზე, სავოიაზე და კორსიკაზე. ჩვენ ადვილათ შევთანხმდებით ყველა საკითხებში, დაწყებული ტუნისიდან გათავებული ახლო აღმოსავლეთით".

ლიუტერის კაბინეტის დეკლარაცია

ბერლინი, 26 იანვ. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ ლიუტერმა გამოაქვეყნა რეიხსტაგში ახალი მთავრობის დეკლარაცია, რომელშიც ის აცხადებს, რომ გერმანიის საგარეო პოლიტიკა მომავალშიც ლოკარნოს ხელშეკრულებით განისაზღვრება. დეკლარაციის საყურადღებო პუნქტათ უნდა ჩაითვალოს მთავრობის გადაწყვეტილება გერმანიის ხალხთა ლიგაში შესვლის შესახებ.

ინგლის-იტალიის მოლაპარაკება

ლონდონი, 26 იანვ. ინგლის-იტალიის მოლაპარაკება ინგლისისთვის იტალიის მიერ ვალის გადახდის შესახებ, შეთანხმებით გათავდა; შეთანხმებას ხელს მოაწერენ 27 იანვარს. იტალია ვალდებულია 62 წლის განმავლობაში 4,5 მილ. გირვ. სტერლინგი უხადოს ინგლისს ყოველ წლიურათ.

მალაროების გაყიდვა

ვარშავა, 26 იანვ. პოლონეთის მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს ჰარრიმანის კომპანიასთან ზემო-სილეზიაში ნახშირისა და ცინკის მალაროების მიყიდვის შესახებ.

ავსტრიის მუშათა დელეგაცია

ვენა, 26 იანვ. 27 იანვარს საბჭოთა კავშირში გაემგზავრა ავსტრიის მუშათა დელეგაცია, რომელშიც შედიან 10 მენშევიკი და 6 კომუნისტი.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

მშენებელთა საკავშირო ყრილობა.

მოსკოვი, 27 იან. 26 იანვარს გაიხსნა მშენებელ მუშების საკავშირო ყრილობა. პროფკავშირთა ცეკას თავმჯდომარემ ბოგდანოვმა ყრილობის გახსნისას ციფრებით დაამტკიცა აღმშენებელთა კავშირის რიცხვობრივი და ხარისხობრივი ზრდა უკანასკნელ 2 წლის განმავლობაში, საკავშირო კომპარტიის ცეკას და საბჭოთა კავშირის ცაკის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა კალინინმა. საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: ტომსკი, სტალინი, კალინინი, რიკოვი და ვოროშილოვი. სხდომის დანარჩენი ნაწილი მოანდომეს სხვადასხვა ორგანიზაციების და წარმოების მისალმებებს.

ყრილობა ადგენს მისალმება გაუგზავნოს საკავშირო კომპარტიის ცეკას, საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს და საბჭოთა კავშირის ცაკს.

მიწა-ტყის მუშაკთა საკავშირო ყრილობა.

მოსკოვი, 27 იან. მიწა-ტყის მუშაკთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე ვრცელი მოხსენება წაიკითხა კალინინმა. შემდეგ საბჭოთა რუსეთის ფინანსთა სახ. კომისარმა მილიუტინმა წაიკითხა მოხსენება საბჭოთა კავშირის ეკონომიურ აღმშენებლობის და სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის როლის შესახებ.

მილიუტინმა აღნიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მუშაკთა კავშირმა გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს სოფლის საწარმოო ძალების ორგანიზაციის საქმეში. ამ კავშირმა უნდა მოაწესრიგოს საბჭოთა მეურნეობები, კოოპერატივები, ამხანაგობანი და სხვა კოლექტიური ორგანიზაციები. საჭიროა, რომ ქალაქის და სოფლის ეკონომიური ურთიერთ დამოკიდებულების მიზანს შეადგენდეს ჩვენი მრეწველობა-მეურნეობის მჭიდრო აღორძინება.

უკრაინა

გემ „ტვერის" მიღება.

ოდესა, 27 იან. სტამბოლიდან მიღებულია ცნობა, რომ დამთავრდა „ლლოიდ ტრიესტინოსაგან" გემ „ტვერ"-ის მიღება. გემი გადაეცემა საბჭოთა სავაჭრო ფლოტს და ივლის ყირიმ-კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის ხაზზე.

პოლონელი მრეწველები მოსკოვში

მოსკოვი, 27 იანვ. ჩამოვიდა პოლონეთის მრეწველთა ჯგუფი, რომელშიაც შედიან პოლონეთის სამრეწველო გაერთიანების „[illegible]" წევრები. ჯგუფი შესდგება სამი კაცისაგან. პოლონეთის მრეწველები ჩამოვიდნენ საბოლოო შეთანხმების მისაღწევად ვაჭრობის სახ. კომისარიატთან პოლონეთის და საბჭოთა კავშირის ვაჭრობის მოწესრიგების და პოლონეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო საზოგადოების „სოვპოლტორგის" ორგანიზაციის შესახებ.

რომედასის ცეკას პლენუმი

მოსკოვი, 27 იანვ. 26 იანვარს გაიხსნა საბჭოთა კავშირის რომედასის ცეკას მეორე გაფართოებული პლენუმი. ცეკას წევრებს გარდა, პლენუმს დაესწრნენ ეროვნულ რესპუბლიკების რომედასის მსხვილ ორგანიზაციების წევრები. პლენუმი გაიხსნა ლეჟავას მოხსენებით პოლიტიკური მომენტის და რომედასის ამოცანების შესახებ. შემდეგ პლენუმმა მოისმინა მოხსენება საბჭოთა კავშირის რომედასის ცეკას მუშაობის შესახებ.

მრეწველობის მდგომარეობა

მოსკოვი, 27 იან. მთავარ სახალხო სამმართველოს კოლეგიის სხდომაზე მოსმენილი იქნა გინზბურგის მოხსენება მრეწველობის მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა შეიტანა წინადადება დაწესებული იქნას ახალი საკონტროლო ციფრები მრეწველობა-მეურნეობისათვის მდგომარეობის შეცვლის გამო და წარმოებების ყურადღება მიექცეს იმას, რომ შეტანილია ცვლილებები მათ რეგისტრაციაში, გადასინჯული იქნას საწარმოო პროგრამა მრეწველობის იმ დარგებში რომელთაც ყველაზე უფრო დაეტყოთ ეს ცვლილებანი, შეთანხმებულ იქნას გზათა სახ. კომისარიატთან საკითხი სამრეწველო ტვირთების შესახებ და ხელახლა აღირიცხოს მრეწველობის ხარჯები მათ შესამცირებლად. დამუშავებული იქნას საკითხი უცხოეთში აღებული კრედიტების გამოყენების შესახებ და პოლიტიკის დარგში ყურადღება მიექცეს საწვრილმანო ფასების დაკლებას.

მოხსენებამ მწვავე კამათი გამოიწვია. თავმჯდომარე კვირინგი მოითხოვს მიღებული იქნეს მომხსენებლის მოსაზრებანი და საბოლოო რედაქცია შეიმუშაოს მთავარ სახალხო სამმართველოს პრეზიდიუმმა.

წინადადებები მიღებული იქნა.

საკავშირო ავიაქიმში

მოსკოვი, 27 იანვ. „ავიაქიმმა" წინადადება მისცა თავის ადგილობრივ განყოფილებებს შეუდგენ მოსამზადებელ მუშაობას გადაფრენების ჩასატარებლად. პირველ რიგში ეს მუშაობა უნდა ჩატარდეს შემდეგ ხაზზე: მოსკოვი—სმოლენსკი, მოსკოვი—ხარკოვი—სევასტოპოლი—შავი ზღვის სანაპიროებამდე და მოსკოვი—ბაქო—[illegible]—[illegible] საზღვრამდე.

„ავიაქიმ"-ში ყოველ დღე მიდიან პილოტები, მექანიკოსები, ჟურნალისტები და სხვა პირები, რომლებსაც სურთ მონაწილეობის მიღება მომავალ გადაფრენებში.

გადაფრენების დროს მოსკოვში და კავშირის დიდ ქალაქების ყველა მოედნებზე გამოკიდებული იქნება რუკები, რომლებზედაც აღნიშნული იქნება გადაფრენების მოძრაობა.

„ავიაქიმის" მაღაზიებში ახლო მომავალში გაიყიდება დასავლეთ ევროპაში და ახლო-აღმოსავლეთში გადასაფრენად გამზადებულ აეროპლანების მოდელები. გარდა ამისა გამოშვებული იქნება პილოტების, მექანიკოსების, კონსტრუქტორ-ინჟინრების ფოტოგრაფიული სურათები და გადაფრენის რუქები.

კავშირის ქალაქებში იკრიბება შემოწირულებანი გადაფრენის ფონდის გასაძლიერებლად. შემოწირულებათა შეკრება გაიმართება ახლო მომავალში მოსკოვსა და მის გუბერნიაში.

საშუალება ათაშანგის წინააღმდეგ

ლენინგრადი, 27 იანვ. აკადემიკოს ზაბოლოტნის ლაბორატორიაში ექიმი [illegible] ამზადებს შრატს ათაშანგის წინააღმდეგ. ცხოველებზე მოხდენილ ცდებს კარგი შედეგები მოჰყვა. ბაჭიები, რომლებსაც შრატი ეცრება, აღარ ავადდებიან ათაშანგით.

ადამიანებზე მოხდენილ წინასწარ ცდებსაც კარგი შედეგები მოჰყვა.

ა/კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

პურის გამოცხობის მექანიზაცია.

ბაქო, 27 იან. ბაქოს კოოპ კავშირმა დაადგინა მოაწყოს პურის ქარხანა, რომელიც 3000 ფუთ პურს უნდა აცხობდეს დღე-ღამეში. შემდეგში გამოსაცხობი პურის რაოდენობა გადიდებული უნდა იქნეს 5000 ფუთამდე.

პურის გამოცხობის მექანიზაცია იძლევა 60 პროც. ეკონომიას. ქარხნის მოწყობისათვის 300,000 მანეთია საჭირო.

„აზლვინოს" საქმე.

ბაქო, 27 იან. დამთავრდა წინასწარი გამოძიება „აზლვინო"-ში მომხდარ ბოროტმოქმედებათა შესახებ. პასუხისგებაში იქნებიან მიცემული „აზლვინო"-ს უფროსი ალიევი და მისი თანაშემწე მამედოვი.

გამოძახებულია 70 მოწმე.

ნავთის პროდუქტების ექსპორტი.

ბაქო, 27 იან. 13-დან 23 იანვრამდე ნავთის სინდიკატმა, უცხოეთის ფირმებთან დადებულ ხელშეკრულებათა თანახმად, გაიტანა ბაქოდან 22,000 ტონა ნავთის პროდუქტი.

ნავთის პროდუქტები გაიგზავნა ეგვიპტესა, ინგლისსა, იტალიასა და სამხრეთ-სლავიაში.

თათბირი ბაზრობის კომიტეტთან.

ბაქო, 27 იან. ბაზრობის კომიტეტთან შესდგა თათბირი, რომელმაც გამოარკვია სპარსელ ვაჭრებისათვის მისაწოდებელ საქონლის რაოდენობა მომავალ ბაზრობაზე.

საჭირო იქნება ლითონი—300,000 მანეთის, შაქარი—400 ვაგონი, ნავთის პროდუქტი—500,000 ფუთი, ცემენტი—10,000 ფუთი და ხე-ტყე—150 ვაგონი.

თათბირმა აღნიშნა, რომ ამ საქონლიდან სპარსეთში ყველაზე მეტი მოთხოვნილებაა შაქარზე.

საარქივო მასალების კრებული

ბაქო, 18 იანვ. სახელმ. არქივი ამზადებს თურქოლოგიურ ყრილობისათვის საარქივო მასალების კრებულს, რომელიც ეხება მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს და მეცხრამეტის დასაწყისს.

გაზ. „კომუნისტის" [illegible] დამატებანი
დაიბეჭდა და ხვალ დაურიგდება ყველა ხელის-მომწერლებს

ჟურნალი „დროშა" № 4

შინაარსი: ა. ჭ.—ჩვენ გავიმარჯვებთ, ლევან მეტრეველი—ხევსური ლეგენდა, სეხმან ერთაწმინდელი—წითელი რაზმი, ნ. ზომლეთელი—სული ამბოხი (პოემა), პეტრე სამსონიძე—მე (ნაწყვეტი პოემიდან), დ. ს—შვილი—რომენ როლლან, მ. ხუცაშვილი—ხევსურეთი, სერგეი ესენინ—საბჭოთა რუსეთი—თარგმ. ვ. გაფრინდაშვილის, ფ. ჯაში—საიდუმლო სტამბები და 1905 წ. რევოლიუცია; იუმორისტული განყოფილება: ნაანგი—ჩემს თანამშრომლებს, მოიგავა-არაკე—კუდა-კუდა არაკები, ფიდი-ლამია—თეთრი კბილი—შავი გული, იური—იურიდიული საკითხები, დოლიძე—„ფორმის" აპოლოგეტს პროლეტარულ პოეზიაში, გოჩმანი—იუბილიარი; ხელოვნების ქრონიკა.

„მეცნიერება და ტექნიკა" № 2
იბეჭდება და შაბათს (30 იანვარს) დაურიგდება ყველა ხელისმომწერლებს

„კომუნისტი"
გრძელდება ხელისმოწერა
თებერვლისათვის

სასოფლო მეურნეობა

სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენად

მიმდინარე წლის განმავლობაში საგეგმო კომისიის გეგმის თანახმად ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის შეძენილი იქნება სასოფლო-სამეურნეო იარაღები როგორც უცხოეთის ფაბრიკა-ქარხნებისა, ისე საკუთარი წარმოების. უცხოეთიდან შემოტანილი იქნება ისეთი სისტემის იარაღები, რომელნიც გამოდგებიან და შეეფერებიან ამიერ-კავკასიის პირობებს.

სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენად ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გადადებულია სულ 3.600.000 მანეთი. ამ თანხიდან 2.600.000 მანეთის იარაღები შეძენილ უნდა იქნეს საზღვარგარეთ, 1 მილიონი მანეთის—საბჭოთა კავშირის შინაურ ბაზარზე.

შაბიამანი

საქართველოს ყველა მაზრების ვენახებს საჭიროებენ ყოველწლიურად 500 ათასს ფუთზე მეტს შაბიამანს. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას და სასოფლო-სამეურნეო ბანკებს მიღებული აქვს სათანადო ღონისძიებანი საქართველოს და ა.-კ. ვენახებისათვის საჭირო შაბიამანის შესაძენათ—იმ მიზნით, რომ ვენახების აყვავების პირველ ხანებისათვის მათ წამლობას არ დააგვიანდეს. შაბიამანი უკვე გამოწერილია უმთავრესად ინგლისის ქარხნებიდან. მისი ნაწილი მიღებული იქნა დეკემბრის განმავლობაში. იანვრის მეორე კვირაში საბჭოთა კავშირის სავაჭრო ფლოტის გემმა, რომელმაც შეასრულა რეისი ბალტიის ზღვით—შავ ზღვაზე, ბათომში ჩამოიტანა შაბიამანის დიდი პარტია.

გემის მიერ ჩამოტანილი შაბიამანი, რომელიც დამზადებულია ინგლისის ქარხნებში, კარგი ღირსების არის და უდრის სულ 80 ათასს ფუთს. შაბიამანი მოსულია ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის სახელზე. ხელშეკრულების ძალით საპაიო ამხანაგობა ვალდებულია შაბიამანის ამ პარტიიდან 50 ათასი ფუთი მისცეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს, რომელიც შაბიამანს გაანაწილებს საკრედიტო ამხანაგობებს შორის გლეხებისათვის დასარიგებლად. დანარჩენი დანიშნულია იმ ორგანიზაციების გადასაცემად, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ვენახების მოვლით.

უმაღ. ეკონ. საბჭოს დადგენილების თანახმად აღძრულია შუამდგომლობა ცენტრის წინაშე შემოტანილ შაბიამანზე საბაჟო გადასახადების მოხსნის შესახებ, შუამდგომლობა გამოწვეული არის მევენახეობის მძიმე მდგომარეობით. გასულ წელს შაბიამანის შემოტანა უბაჟოთ სწარმოებდა.

რა ხდება უცხოეთში

ჩინეთი

ევროპის პოლიტიკის მესვეურებმა ვერ ჰპოვეს პოლიტიკური წონასწორობა ვერც შინაო და ვერც საგარეო პოლიტიკაში. ამდენათვე მათ ვერ მიაღწიეს სახელმწიფოებრივი ცხოვრების სიმტკიცეს და დაუსრულებელ პოლიტიკური კრიზისების ლაბირინთში გაეხვიენ.

აღმოსავლეთის საკითხი, რომელიც არა ერთხელ „გადაჭრა" დასავლეთმა, არა თუ არ კარგავს თავის სიმწვავეს, არამედ იქცევა იმ კოცონად, რომელსაც ხელს შეაწვავენ ევროპიელი პოლიტიკოსები. ჩინეთში ჩვენ დიდი და ღრმა მოვლენების წინაშე ვდგევართ. ჩან-ძო-ლინისა და გო-სუნ-ლინს შორის დანთებული ცეცხლი არ არის მარტო კუთხური ბრძოლა, აღმოცენებული ფეოდალურ კულტურის ნიადაგზე. როცა ჩინეთში გენერლები ერთმანეთს ებრძვიან, [illegible], ამერიკაში და ინგლისში ბანკირები და მრეწველები თავიანთ თამასუქებს თვალიერებენ და ჩინეთის სიმდიდრეს ანგარიშში იღებენ. ჩინეთში წარმოებული ბრძოლა ვიწრო ნაციონალური ბრძოლა არ არის, ამას მოწმობს ჩინეთის უკანასკნელი საუკუნეების ისტორია.

უდიდესი სიმდიდრენი, რომელიც სძევს ჩინეთის მიწა-წყალზე ყოველთვის იყო ახალ ისტორიაში მეტოქეობის საგანი. მე-16, მე-17 და მე-18 საუკუნეში ჰოლანდიის, პორტუგალიის, ინგლისის და საფრანგეთის ფლოტები ებრძოდნენ ერთმანეთს ჩინეთში ვაჭრობის დაპყრობისათვის. ინგლისელების მიერ გონკონგის დაჭერის შემდეგ (1840 წ.) როდესაც მოხდა ოპიუმის ვაჭრობის მონოპოლია ინგლისის სასარგებლოდ, ამ ქვეყანამ აიღო ჩინეთის ექსპლოატაციის სადავე.

ჩინეთის სიმდიდრე—მსოფლიო ნახშირის მარაგის ერთი მეოთხედი, ჯერ კიდევ გამოურკვეველი რაოდენობის რკინა, ნავთი, მსოფლიოს ბამბის მეხამედი და სხვა აუარებელი სიმდიდრენი, დამატებით ადამიანის ცოცხალი და უიაფესი სამუშაო ძალა, რომელსაც თვეში ოჯახი 20 შილინგით, (დაახლოვებით 5 მანეთით) სცხოვრობს, მეტად ძვირი მოვლენაა, რომლისათვისაც არ შეიძლება დაიშურონ იმპერიალისტებმა ტყვიისმფრქვეველი და ზარბაზანი, ცეცხლი და გაზი.

მართლაც გასულ საუკუნის მიწურულში, იმპერიალისტური ქვეყნები თანდათან მიიწევდენ ჩინეთისაკენ. ინგლისმა დაისაკუთრა ზემო ბირმა და დაამკვიდრა თავის პროტექტორატი ტიბეტზე (ამ საუკუნის პირველ წლებში). საფრანგეთმა მიაღწია ინდო-ჩინეთის ანექსიას, რუსეთის იმპერატორი მანჯურიაში შეიჭრა, ამერიკამ დაიპყრო ფილიპინის კუნძულები, როგორც გზა ჩინეთისაკენ. იაპონიამ დაამყარა თავისი პროტექტორატი კორეიაზე, მიიღო დათმობა პესკადორის არხიპელაგსა და ფორმოზაზე, რუსეთთან ომით ხელში ჩაიგდო პორტ-ართური და ამით დაეპატრონა მანჯურიის აღმოსავლეთის კარებს.

დღეს იაპონიისა და ამერიკის ურთიერთობა მწვავდება ჩინეთის საკითხში. იაპონიის მიზანია შორეულ აღმოსავლეთში ჰეგემონიის დამყარება და ჩინეთის ნახშირისა და რკინის გამოყენება. იაპონიის ინდუსტრიალურ განვითარებას არ ჰყოფნის საკუთარი ნახშირი, რომლის მარაგი მცირეა და რკინა, რომლითაც ის ღარიბია. ამერიკა არ განიცდის ამ ლითონით სიღარიბეს, მაგრამ მისი განვითარებაც დიდათ მოითხოვს ჩინეთის ნახშირს. ამერიკის წყნარ ოკეანეს სანაპირო მრეწველობისათვის საჭიროა ჩინეთიდან ზღვით მიტანილი ნახშირი, თუ ამერიკამ ატლანტის ოკეანეს სანაპიროებიდან გამოტანილი ნახშირი პანამის არხის საშუალებით მიაწოდა თავის მრეწველობას წყნარ ოკეანეს სანაპიროებზე, ის მოითხოვს დიდ საფრახტო ხარჯს დიდი სიშორის გამო, რაც მრეწველობას მძიმე ტვირთად დააწვება. კიდევ უფრო აძვირებს და აბრკოლებს საკუთარი ნახშირის მოხმარებას ამერიკისათვის თუ ის ხმელეთის გზით გაიტანს თავის ნახშირს წყნარ ოკეანეს სანაპიროებზე ატლანტის ოკეანეს სანაპიროდან.

ბატონობა ჩინეთში წყნარ ოკეანეზე ბატონობის გზით არის შესაძლებელი. იაპონია ჯერ კიდევ არ არის მზად წყნარ ოკეანეში ბატონობისათვის. აქ შეჯიბრების არენა ამერიკასა და ინგლისს შორის არის დაწყებული. მეტად ძნელია იმის თქმა, თუ რა სახეს მიიღებს ხვალ ჩინეთის დღევანდელი მდგომარეობა. ერთი ცხადია, ჩინეთის ხალხი ახლო მომავალში კიდევ ვერ შეძლებს იმპერიალისტური რკალის დაძლევას და ფაქტიური დამოუკიდებლობის მოპოვებას, თუ ის არ გაერთიანდა და მჭიდროთ არ დაუკავშირდა საბჭოთა კავშირს, რომელიც გაუწევს მას დიდ პოლიტიკურ დახმარებას განმანთავისუფლებელ ბრძოლაში.

სად მარხია ჩინეთის გაერთიანების საფუძვლები? ჩინეთის გაერთიანების საფუძვლები ჩვენ უნდა ვეძებოთ ჩინეთის მრეწველობაში საკუთარი კაპიტალის გაძლიერების ფაქტში, რის ნიადაგზე მძლავრად ვითარდება ნაციონალურ-ბურჟუაზიული მოძრაობა, მიმართული უცხოელ იმპერიალისტების წინააღმდეგ. ჩინეთში დღეს ჩვენ ვდგევართ მრეწველობის აღორძინებისა და მის მექანიზაციის წინაშე. მთელი მრეწველობის განვითარების დასაწყისი ამსხვრევს ჩინეთის ძველ ცივილიზაციის ნაშთებს და ქმნის მტკიცე პირობებს ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური გაერთიანებისათვის. კონსერვატიზმი, რომელსაც ჩინეთის ხალხის გარდუვალ თვისებათ სთვლიდნენ ევროპის პოლიტიკოსები და დიდ იმედებსაც ამყარებდნენ მასზე, თურმე ამ ხალხის სოციალ-ეკონომიური ჩამორჩენილობის შედეგი ყოფილა, რომელიც ჰქონებია საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე. მონური მორჩილება იქცევა რევოლიუციონურ აჯანყებათ.

დღეს ჩინეთის ამოცანაა უცხოეთის იმპერიალისტების განდევნა. გზა ამ ამოცანისაკენ— ნაციონალ-დემოკრატიულ მოძრაობაში მთელი ხალხის ჩაბმა. საშუალებანი ამ გზისათვის—1) ბურჟუაზიულ - ნაციონალური მოძრაობა მრეწველობის აღორძინების ნიადაგზე აღმოცენებული, 2) გომინდანი და ჩინეთის კომპარტია, როგორც რევოლიუციონური ძალები, ხელსშემწყობი ნაციონალური გაერთიანებისა და განთავისუფლების და მებრძოლი ამ პროცესში მუშათა და გლეხთა ინტერესებისაკენ [illegible]სათვის. 3) საბჭოთა კავშირის მეგობრული დახმარება და პოლიტიკური ხელის შეწყობა იმპერიალისტების საწინააღმდეგო და პროლეტარულ რევოლიუციისათვის.

ვინ არის მტერი და როგორია მისი ძალა? ჩინეთის მტერია მთელი იმპერიალისტური ქვეყნები, მაგრამ მათი ძალა არ უდრის მათი ძალების შენაერთის ჯამს, ეს ქვეყნები აბათილებენ ერთმანეთის ძალებს დაპირისპირების პროცესში. იმპერიალისტური ფრონტი არ არის მთლიანი და ერთი. იგი დაქსაქსულია და მრავალ ნაწილებად დაყოფილი ერთმანეთის წინააღმდეგ. იაპონიას აქვს კარგი სტრატეგიული მდგომარეობა, მაგრამ არ შესწევს ძალა წყნარ ოკეანეზე ბატონობის დასამყარებლად ჩინეთში სთარეშოთ, არ შეუძლიან გაუმკლავდეს ინგლისს ზღვაზე, ხოლო ამერიკას ეკონომიურ მეტოქეობაში. ინგლისი უპირატესობით სარგებლობს საზღვაო ფლოტის მხრით, მაგრამ ხელები შეკრული აქვს ამერიკის კაპიტალის ბატონობით. ამერიკა ძლიერია თავის ეკონომიკით, მაგრამ საზღვაო ბრძოლას ვერ გაუმართავს ინგლისს.

ასეთია ის რკალი, რომელშიაც ვითარდება ჩინეთის მოძრაობა. როგორადაც არ უნდა წავიდეს საქმის ვითარება, ერთი აშკარაა—ჩინეთის ხალხი, რომელიც უდიდესი სიმდიდრის პატრონია, რომლის მრეწველობა შედის კაპიტალისტურ მეურნეობის ფარგლებში, რომლის ტერიტორია მანჯურიის, მონღოლეთისა და ტიბეტის გამოკლებით 10 ჯერ მეტია იაპონიის სახელმწიფოს ძირითად მიწა-წყალზე, რომლის მოსახლეობა ცოტათი ჩამორჩება ბრეტანეთის იმპერიას კოლონიებისა და დომინიონების ჩათვლით და აღწევს, უკანასკნელ ცნობებით, 420 მილიონამდე. ასეთი ხალხი არ შეიძლება დარჩეს დიდი ხნობით იმპერიალისტური მონობის უღელის ქვეშ.

ჩინეთის საკითხის გადაჭრა კი შეცვლის არა მარტო შორეულ აღმოსავლეთის პოლიტიკურ ფიზიონომიას, არამედ ის დიდ გავლენას მოახდენს მთელ აზიისა და ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ს. ამალლობელი.

ეკონომიური ცხოვრება

მდგომარეობა საბითუმო ბაზარზე

თბილისის ბირჟამ გამოიკვლია საბითუმო ბაზრები იანვრის თვის მეორე ნახევარში.

ლითონის ბაზარზე

თანახმად ამ გამოკვლევისა, მდგომარეობა ლითონის მრეწველობის ნაწარმოებთა ბაზარზე ასეთია: დახარისხებული რკინის დიდი ნაკლებობაა, იგი თითქმის არ იშოვება. ლითონის ტრესტმა ეხლა მიიღო 10 ვაგონი რკინა, რომელიც ჯერ არ გადმოუტვირთავთ. მისი ბაზარზე გამოტანის შემდეგ კრიზისი შენელდება.

აღსანიშნავია აგრეთვე ხელსაწყო იარაღების (სადურგლო, საკალატოზო, კლიბები და სხვა) დიდი ნაკლებობა, რის გამო მათზე ფასები დიდია.

საგრძნობი ნაკლებობა ეტყობა აგრეთვე მავთულს, რომელმაც ფასში აიწია.

რაც შეეხება ფერად ლითონებს, უნდა ითქვას, რომ დიდია მოთხოვნილება კალაზე, მოთხოვნილება სუსტად კმაყოფილდება. ამ უკანასკნელ ხანებში გაიზარდა მოთხოვნილება თუთიაზე, რომელიც ბაზარზე თითქმის არ მოიპოვება. დიდია აგრეთვე მოთხოვნილება ტყვიაზე რომელიც მცირე რაოდენობით მოიპოვება.

პურის ბაზარზე

საქონლის შემოტანა სახელმწიფო ბანკის და „ხლებოპროდუქტი"-ს მიერ გაიზარდა. სახელმწიფო ბანკმა გააძლიერა შემოზიდვა მე-3 ხარისხის ფქვილის, რომელზედაც დიდია მოთხოვნილება პროვინციიდან. „ხლებოპროდუქტ"-ს საკმაო რაოდენობით დაუგროვდა ფქვილი, რომელსაც იგი აწვდის თბილისის კოოპერატივებს თანხმად ხელშეკრულებისა.

კერძო ბაზარი დამოუკიდებლივ სრულიად არ ღებულობს საქონელს და იგი მას იღებს ბანკის და „ხლებოპროდუქტ"-საგან. ამის გამო იგი განიცდის ნაკლებობას პირველი ხარისხის ფქვილზე, ხოლო მე-2 და მე-3 ხარისხის ფქვილის მარაგი მოიპოვება.

სამშენებლო მასალების ბაზარზე

მოთხოვნილება დახერხილ ხე-ტყის მასალაზე დიდია, ბაზარზე იგი დიდი რაოდენობით არ მოიპოვება და ამის გამო მათზე ფასები დიდია, მით უმეტეს, რომ იანვრის დამდეგიდან ხეტყეს ტრესტმა მისი ფასები გაადიდა 5 პროცენტით. თვალსაჩინოა მოთხოვნილება გაპატან ხე-ტყეზე. ამ მოკლე ხანში განზრახულია ასეთი მასალის დიდი პარტიის გატანა.

ნოვოროსიისკის ცემენტი ბაზარზე სრულიად არ მოიპოვება. ტაუზის ცემენტი კი განუწყვეტლივ შემოდის. მასზე მოთხოვნილება მცირეა.

ბაზარზე ფანჯრის მინა ცოტაა, იგი მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს: მიუხედავად ამისა, მწვავე კრიზისი უკვე განვლილია და ამ კრიზისს უფრო მოსპობს ის, რომ მომავალ თვიდან მოელიან 6 ვაგონ საქონელს.

ღვინის ბაზარზე

მოთხოვნილება ღვინოზე დიდია როგორც რუსეთიდან, ისე თურქესტანიდან. მიწოდება საქონლისა ძალიან მცირეა. ამის გამო ღვინო გაძვირდა კახეთში 5 მანეთამდე ვედრო და იმერეთში 3—4 მანეთამდე.

სპირტის წარმოება

გასულ წელს აჭარისტანის ვაჭრობა მრეწველობის სამმართველოს ხელში გადავიდა სპირტის დასამზადებელი ქარხანა, რომელიც კერძო პირს ეკუთვნოდა.

ამჟამად ქარხნის ნაყოფიერება უდრის ყოველდღიურად 80-100 ვედროს სპირტეულს. განზრახულია წელს ნაყოფიერება აყვანილ იქნეს 200 ვედრომდე. ქარხანა უმთავრესად სპირტს ამზადებს ყურძნის ჭაჭისა და ხილისაგან. ამ ქარხნის დასახმარებლად გასული წლის შემოდგომაზე ქობულეთში გაიხსნა სპირტის სახდელი ქარხანა, რომელიც ადგილობრივი გლეხობისაგან იძენს ყურძენს და ხილს. ელექტროფიკაციის და სპირტეულის განსაკუთრებული აპარატით სამჯერ გაწმენდის გამო, სპირტი კარგი ხარისხის გამოდის.

გარდა ადგილობრივი ნედლი მასალისა, ქარხანამ შეიძინა ამერიკული სპირტი 300 ათასი გრადუსი, რამაც წარმოებას საშუალება მისცა გამოეშვა უმაღლესი მარკის არაყი.

ქარხანა არაყს გარდა ამზადებს და ამუშავებს აგრეთვე კონიაკს და ლიქიორს. გასული წლის დასასრულს—დეკემბერში ქარხანაში შეუდგენ გილომის სისტემის ახლად შეძენილი რექტიფიკატორის დადგმას. განზრახულია რომ წარმოების ხარისხი არსებულზე მეტად იქნეს გაუმჯობესებული.

მიუხედავათ იმისა, რომ ბათომში არსებობს მრავალი კერძო ფირმა არაყის სახდელი ქარხნებისა, აჭარისტანის ვაჭრობის და მრეწველობის სამმართველო, თავისი ქარხნის ნაწარმოებით, არა თუ წარმატებით უწევს მათ კონკურენციას, არამედ ასწრებს. დააკმაყოფილა შავი ზღვის პირად მდებარე ყველა ადგილების მოთხოვნილება სპირტზე. ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი დიდი არ არის. სულ ქარხანაში მუშაობს 11 კაცი. საშუალო ხელფასი მუშისა თვიურად 45 მანეთს უდრის. მუშებს ქარხნის შენობაში დათმობილი აქვთ ოთახები დასაბინავებლად.

ხორცის ბაზრის მოწესრიგება

გასულ წელთან შედარებით ხორცის ბაზრის კონიუნქტურა ამიერ-კავკასიაში საგრძნობლად შეიცვალა იმ მხრივ, რომ გაუარესდა საქონლის ღირსება და გაიზარდა ფასები საკლავ პირუტყვზე. ხორცის ღირსების გაუარესება და ნიხრის გადიდება აიხსნება იმ გარემოებით, რომ იმ რაიონებს, სადაც სწარმოებდა საკლავი პირუტყვის მომარაგება,—ახალქალაქის და ლენინაკანის რაიონებში,—ძალიან გავრცელდა საქონლის ავადმყოფობა, უმთავრესად საქონლის ჭირი. 1924 წლის ნოემბერსა და დეკემბერში „მიასოტორგი" ცოცხალ საქონლის თითოეულ ფუთში აძლევდა საშუალოდ 4 მანეთს. ხოლო ამჟამად ფუთი ცოცხალი საქონელი ფასობს 5,5 მანეთი, ზოგჯერ—6 მანეთიც, მიუხედავათ ამისა—„მიასოტორგის" საყასბოებში გირვანქა ხორცი იყიდება 28 კაპიკათ, მაშინ როცა კერძო მეყასბეებთან გირვანქა ხორცი იყიდება 35 კაპეიკიდან 40 კაპეიკამდე. ჭირის გავრცელების გამო ახალქალაქის და ლენინაკანის რაიონებიდან საქონლის გარეკა სრულიად შეწყვეტილია. ამჟამად საკლავ პირუტყვს თბილისს აწვდის მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასია, აქედან საქონლის ჩამოყვანა დიდ დაბრკოლებებს ხვდება და ამიტომ დიდ ხარჯებსაც მოითხოვს რკინისგზის დიდი ტარიფის, ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ აპარატის შენახვის გამო.

გარდა ამისა მგზავრობის დროს საქონელი საგრძნობლად კლებულობს წონაში.

ამჟამად მიასოტორგი ამზადებს საკლავ ცხვრების დიდ პარტიას.

მოკლე ხანში მიასოტორგს განზრახვა აქვს საკლავი პუნქტები მოაწყოს სამტრედიაში, გურჯაანში, ხაშურში, ნავთლუღში, შაუმიანში, მუღანში, აქსტაფაში და ხანტახტში.

უკანასკნელ ხანებში თბილისში მოწყობილი იქნა ხორცის გასანაწილებლად 6 ახალი პუნქტი იმ მიზნით, რომ საყასბოები მისაწვდომი გახდეს მოსახლეობის ფართე მასებისათვის.

მოთხოვნილება ტრაქტორებზე

მოთხოვნილება ტრაქტორებზე თანდათან იზრდება, ტრაქტორების შეძენის სურვილი აქვთ არა მარტო სახელმწიფო, სამეურნეო ორგანიზაციებს და კოოპერატიულ კავშირებს, არამედ ამხანაგობათა არტელებს და ცალკე სოფლის საზოგადოებებს.

ა/კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის მიერ მიღებული 150 ცალი ტრაქტორი ფორძონის სისტემისა შემდეგნაირათ იქნა განაწილებული: საქართველოს — 35, აზერბეიჯანს—84, სომხეთს—30. მიღებული ტრაქტორები ფარავენ საერთო მოთხოვნილების მხოლოდ 15—20 პროცენტს. ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ა/კ. სახელმწიფო ვაჭრობა მოლაპარაკებას აწარმოებს საბჭოთა რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობასთან იმის შესახებ, რომ ა/კავკასიას მიეცეს 400 ტრაქტორი უცხოეთიდან გამოწერილ 10.000 ტრაქტორიდან.

მეურნეობათა გამოკვლევა თბ. მაზრაში

გამოკვლეულია 368 მეურნეობა

თბ. აღმასკომის სტატისტიკურმა განყოფილებამ დაასრულა თბილისის და მისი მაზრის მოსახლეობის მეურნეობათა საშემოდგომო გამოკვლევა. ქალაქში გამოკვლევა შეეხო მეურნეობას პროფესიონალურ და შემოსავლიანობის მხრივ. სულ თბ. მაზრაში გამოკვლეულია 368 მეურნეობა. აქედან 308 თბილისში და 60 მაზრაში. გამოკვლევისათვის მაზრა დანაწილებული იყო სხვადასხვა რაიონებად და თვითეულ რაიონში გამოკვლეულ იქნა უმთავრესად ყველაზე უფრო დამახასიათებელი პუნქტები; ამგვარათ გამოკვლეული იქნა 10 ტიპიური მეურნეობა, რომლებიც ახასიათებენ წვრილ, საშუალო და მსხვილ მეურნეობებს.

სტატისტიკური განყოფილება უკვე შეუდგა დაგროვილ მასალების დამუშავებას.

სოფლის მეურნეობის მდგომარეობა

1925 წ. დეკემბერში.

(საქ. საგეგმო კომისიის კონიუნქტურულ მიმოხილვიდან).

ნათესების სივრცე

საანგარიშო თვეში შინდი ხელსაყრელი იყო სოფლის მეურნეობისათვის მთელს საქართველოში. შემოდგომის თესვა საყოველთაოდ დამთავრდა. შემოდგომის ნათესებს ეტყობა გაფართოება, რომელიც ნავარაუდევია 226,7 ათ. დესეტინით, ე. ი. 8.4%-ით მეტი ვიდრე გასულ 1924 წელში იყო. ნათესების დასახელებულ სივრციდან შემოდგომის ხორბალს უჭირავს 206 ათ. დეს. შემოდგომის ქერს—17,4 ათ. დეს. და ჭვავს 3,3 ათ. დეს.. ამნაირად შარშანდელთან შედარებით მხოლოდ ჭვავის ნათესების სივრცე შემცირდა, რომლის მნიშვნელობა საერთოდ მცირეა ჩვენში, ქერისა და ხორბლის სივრცე კი გადიდდა. ნათესების სივრცის შემცირება გვაქვს შემდეგ ერთეულებში: სამ.-ოსეთში, ახალქალაქის მაზრაში, ლეჩხუმში და სამეგრელოში ე. ი. ისეთ რაიონებში, სადაც შემოდგომის ნათესების მნიშვნელობა საერთოდ მცირეა. ნათესების შემცირების მთავარ მიზეზათ ასახელებენ ნოემბრის გვალვებს, მუშა საქონლის სიმცირეს (ახალქალაქის, გორის მაზრებში და სამ.-ოსეთში) და სამუშაო ინვენტარის ნაკლებობას (ბორჩალო). 1-ლ იანვრისათვის შემოდგომის ნათესების მდგომარეობა შემდეგნაირად ხასიათდება: ახალქალაქის მაზრა—3 ნიშანი, ახალციხის—3,8, გორის—4 და შორაპნის—3,5 ნიშ.

საქონლის ჭირი.

საანგარიშო თვეში საქონლის ჭირი ვრცელდება. აღმოს. საქართველოში და აჭარაში ნოემბერში დაჭირიანებული პუნქტების რიცხვი უდრიდა 63, ხოლო დეკემბერში 99. მთელ ამ პუნქტებში საქონლის რიცხვი უდრის 82.000. წინა თვესთან შედარებით დაავადმყოფებულ საქონლის რიცხვი შემცირდა 37%-ით. საანგარიშო თვეში აცრილია 13,4 ათ. სული, ნოემბერში კი 12,4 ათ. მიწ. სახ. კომისარიატის ცნობით დაზარალდა 872 სული საქონელი, ხოლო სტატისტიკურ სამმართველოს ცნობით 1,4 ათასი.

ღვინის დამზადება

ნოემბერთან შედარებით ღვინის დამზადება 82%-ით დაეცა. საანგარიშო თვეში სულ დამზადდა 27,4 ათ. ვედრო ღვინო, ხოლო 1-ლ ოქტომბრიდან—293.000 ვედრო, ე. ი. წლიური დამზადების გეგმა 14,7%-ით არის შესრულებული. შარშან ამ დროს კი დამზადებული იყო 337,5 ათ.ვ. საკავშირო ბაზარზე ჩვენი ღვინის დიდი მოთხოვნილება, რაც გამოწვეულია მოსახლეობის სყიდვითი უნარის აწევით და სხვა რაიონებში მოუსავლიანობის მიზეზით, ღვინის ფასი, როგორც ადგილობრივ, ისე სხვა რესპუბლიკებში მაღლა იწევს.

სპირტეულის დამზადება

სპირტეულის დამზადება 2 მილ. გრადუსიდან 12 მილ. გრადუსამდის გადიდდა. ამ რაოდენობიდან 8 მილ. გრადუსი არის ჭაჭის სპირტეული და 4 მილ. კი პურეულის. სულ ოქტომბრიდან დამზადებულია 880,9 ათ. გრადუსი, რაც შეადგენს წლიური გეგმის 11%-ს. შარშან ამ დროს კი დამზადებული იყო სულ 1.1 მილ. გრად.

დაფნის დამზადება

დაფნის ფოთოლის დამზადება სეზონური პირობების გამო მატულობს (4,9%). პირველ ოქტომბრიდან სულ დამზადებულია 1,6 ათ. ფუთი, რაც წლიური დამზადების გეგმის მხოლოდ 3,9%-ს შეადგენს.

ვაშლის დამზადება

ვაშლის დამზადების საქმე დეკემბერში მცირდება. დეკემბერში დამზადებულ იქნა 12,8 ათ. ფ. სულ 1-ლ ოქტომბრიდან დამზადებულია 85,6 ათ. ფ., რაც წლიური დამზადების გეგმის 14,3%-ს შეადგენს. შარშან ამ დროს დამზადებული იყო 310 ათ. ფ. ამრიგად წლიური გეგმა შეუსრულებელი რჩება.

საგრძნობლად გაიზარდა მანდარინის დამზადება, (81,8%) სულ 1-ლ ოქტომბრიდან დამზადებულია 281,8 ათ. ცალი.

თხილის დამზადება

თხილის დამზადება სეზონური პირობების გამო თითქმის სულ შეჩერებულია. დამზადდა მხოლოდ 1,6 ათასი ფ. ოქტომბრიდან დამზადებულია 42,2 ათ. ფ. რაც წლიური გეგმის 30,1 პროც.-ს შეადგენს. შარშან ამ დროს დამზადებული იყო 9,9 ათ. ფ.

თამბაქოს დამზადება

საანგარიშო თვეში დამზადდა 5,4 ათ. ფ. თამბაქო. 1-ლ ოქტომბრიდან დამზადებულია 22,1 ათ. ფ. შარშან ამ დროს კი დამზადებული იყო 59,4 ათ. ფ. თამბაქოს დამზადების გეგმა ჯერჯერობით 15,8 პროც-ით არის შესრულებული თამბაქოს დამზადების ერთერთ შემაფერხებელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს მისი ფასების გამოურკვევლობა.

ბამბის დამზადება

ნოემბერთან შედარებით, სეზონური პირობების გამო, ბამბის დამზადების საქმე საგრძნობლად შემცირდა. სეზონის განმავლობაში დამზადებულია 2382 ტონი ანუ 147.000 ფ. რაც წლიური დამზადების 69,4 პროცენტს შეადგენს. მებამბეთათვის გაცემული ავანსების მხოლოდ 79,2 პროცენტია განაღდებული.

მსხვილი ტყავის დამზადება

მსხვილი ტყავის დამზადება 20,1 პროცენტით შემცირდა, ხოლო წვრილი ტყავის 122 პროცენტით გაიზარდა 1-ლ ოქტომბრიდან დამზადებულია 13,8 ათ. მსხვილი ტყავი, რაც წლიური გეგმის 27,7 პროც. შეადგენს და 15,9 ათ. ც. წვრილი ტყავი, რაც წლიური გეგმის 26,4 პროცენტს შეადგენს.

თივის დამზადება

თივის დამზადება ორი მესამედით შემცირდა. სულ დამზადებულია საანგარიშო თვეში 50 ათ. ფ. თივა. 1-ლ ოქტომბრიდან დამზადებ. 400.000 ფ., რაც წლიური ანგარიშის 40 პროცენტს შეადგენს. შარშან ამ დროს დამზადებული იყო 360.000 ფ..

ამრიგად საანგარიშო თვეში, უმთავრესად სეზონური პირობების გამო, გარდა დაფნის ფოთლისა და წვრილი ტყავისა, ყველა დასახელებული ნაწარმოების დამზადება შემცირებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობისათვის

ლენინგრადელ კომკავშირელების ხმა

მოსკოვი, 27 იანვ. საკავშირო კომპარტიის ცეკას გენერალურ მდივანის სტალინის სახელზე მიღებულია შემდეგი დეპეშა ლენინგრადიდან:

ახალგ. კომკავშირის ლენინგრადის ორგანიზაციის ქალაქის რაიონის საზოგადო კრება, რომელსაც 1275 კაცი დაესწრო, თქვენი სახით კომკავშირულ სალამს უძღვნის საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. გთხოვთ გადასცეთ პარტიის ცეკას, რომ ჩვენ მიერ წინად გამოტანილი გადაწყვეტილებანი, რომელიც მხარს უჭერდა ლენინგრადის დელეგაციის ოპოზიციას მე-14 პარტყრილობაზე, გამოწვეული იყო არასწორი ინფორმაციით და ხელმძღვანელების მიერ აქტივის მომზადებით.

ვგმობთ ოპოზიციის მოქმედებას ყრილობაზე და, განსაკუთრებით მის შემდეგ, და ვაცხადებთ, რომ პარტიის და კომკავშირის ცეკას ხელმძღვანელობით, ძველებურად განვამტკიცებთ და გავაფართოვებთ ჩვენს მუშაობას.

ფოთის ორგანიზაცია მთლიანობის მომხრეა

18 იანვარს, საღამოს, თეატრ „კომეტაში" შესდგა კომპარტიის ფოთის ორგანიზაციის საერთო კრება, რომელსაც დაესწრო 400 პარტიის წევრი, კანდიდატები და ახალგაზრდა კომკავშირის აქტივისტები.

დღის წესრიგში იდგა საკითხი საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-14 ყრილობის მუშაობის და შედეგების შესახებ. მოხსენება წაიკითხა ამხ. მიხა კახიანმა.

მოხსენების ირგვლივ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

ს. კ. პ. (ბ) ფოთის ორგანიზაციის საერთო კრებამ მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება სრულიად საკავშირო კომუნისტური (ბ) პარტიის მეთოთხმეტე ყრილობის შედეგების შესახებ, სთვლის ყრილობის დადგენილებებს სრულიად სწორად და მიზანშეწონილად ჩვენი მდგომარეობასთან შეფარდებით.

მეთოთხმეტე ყრილობამ სრულიად გარკვეულად და სწორად აღნიშნა თავის დადგენილებებში ჩვენი საშინაო და საგარეო მდგომარეობა და მოგვცა გარკვეული ხაზი შემდეგი ბრძოლისათვის და სოციალისტური აღმშენებლობის გაშლისათვის.

ყრილობამ გვაჩვენა გზა შემდეგი ბრძოლისა საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციისათვის. კრება უერთდება ყრილობის დადგენილებებს და მოუწოდებს ყველა პარტიის წევრებს და კანდიდატებს, უყოყმანოდ შეუდგნენ ყრილობის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას, საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას ხელმძღვანელობის ქვეშ.

კრება სიამოვნებით აღნიშნავს ყრილობის ღონისძიებას, რომელმაც უზრუნველჰყო ჩვენი პარტიის მთლიანობა.

ლენინგრადის ორგანიზაციის დელეგაციის მიერ თანამოხსენებით გამოსვლა ყრილობაზე კრებას მიაჩნია დიდ შეცდომად და დაუშვებლად პარტიის მთლიანობისათვის. კრებას სწამს, რომ ყრილობის დადგენილების შემდეგ ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო, ლენინგრადის ორგანიზაცია კვლავ დადგება ლენინიზმის გზაზე და გაასწორებს იმ შეცდომებს, რომელიც მან ჩაიდინა ხელმძღვანელების მეოხებით, და დაგმობს ლენინგრადის დელეგაციის მოქმედებას ყრილობაზე.

კრებას სწამს, რომ ყრილობის მიერ არჩეული ცეკა სწორად გაუძღვება საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს და ურყევად დაიცავს პარტიის მთლიანობას.

გაუმარჯოს სრულიად საკავშირო კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს მის მთლიანობას!

გაუმარჯოს ლენინურ ცეკას!

თემში წინად მოისუსტებდა, ამ გარემოებას დღიდან არსებობისა მიაქცია თემკომმა ჯეროვანი ყურადღება და საქმეს გამოცოცხლება დაეტყო. ასე რომ ყველგან სჩანს ადგილობრივი ორგანიზაციის თვალი.

აღსანიშნავია აგრეთვე ამ თემში ქალთა შორის მუშაობა. მე პირადათ მომიხდა მგზავრობა ამ თემის სოფ. თლუღში, შუაგულ სოფელში სკოლის შენობაში შევკრებილიყვენ გლეხი-ქალები, მთელი შენობა სავსე იყო. კრება ისმენდა სხვადასხვა მოხსენებებს, მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც ქალებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს. სწორედ გასახარელი იყო მათი გაბედული გამოსვლა და ლაპარაკი.

როგორც იქვე გამოვარკვიე, ასეთი კრებები და მოხსენებები ამ სოფელში სისტემატიურად იმართება.

„ხნივი"

ჩვენც ვმუშაობთ

(მაღალ-ჯუმათის თემი, გურია)

სულ რამდენიმე თვეა, რაც ეს თემი ჩამოსცილდა სუფსის რაიონს და დაარსდა ცალკე თემკომი.

თემკომის დაარსების შემდეგ მუშაობას ყველა დარგში გამოცოცხლება დაეტყო. თემკომი აერთიანებს 7 კომუჯრედს 80-მდი წევრით და 40-მდი კანდიდატით.

აქ ჯერ კიდევ არალეგალურ დროს იყო უჯრედები. უჯრედებში პოლიტიკური მეცადინეობა მიმდინარეობდა კარგათ.

უჯრედი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სოფლის კულტურულ და აღმშენებლობითი საკითხების მოგვარებაში.

თემში არსებობს მოძრავი პოლიტ-სკოლა. უჯრედებს გამოწერილი აქვთ სხვადასხვა გაზეთები, როგორიცაა „კომუნისტი", „ახალი სოფელი", „მუშა" და სხვა.

თემკომი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კომკავშირის ბოლშევიკურად აღზრდას.

თემკომის მდივანი არც ერთ უჯრედის კრებას არ სტოვებს, რომ თვითონ არ დაესწროს და არ უხელმძღვანელოს.

ბ—დო

ლეწურწუმეს კომუჯრედი

(ზუგდ. მაზ.)

ლეწურწუმეს თემში კომუჯრედი არსებობს 1921 წლიდან. დღეს უჯრედი აერთიანებს 11 წევრს. კრებები იმართება სისტემატიურად. ირჩევა სხვადასხვა სოფლის საჭირბოროტო საკითხები, აგრეთვე იმართება თვეში ორჯერ უჯრედის ღია კრება, სადაც ესწრებიან უპარტიო გლეხები. 13 იანვარს მოხდა უჯრედის ღია კრება, სადაც დაესწრენ უპარტიო გლეხები და კომკავშირის წევრები.

გაირჩა შემდეგი საკითხები: 1) საბჭოთა არჩევნები, 2) თემაღმასკომის თავ-რის მოხსენება საბჭოს ერთი წლის მუშაობის შესახებ, 3) მომავალ საბჭოსთვის ნაკაზის შემუშავება და 4) მომავალი საბჭოს წევრ-კანდიდატების დასახელება. საბჭოთა არჩევნების შესახებ ილაპარაკა რაიკომის პ | გ. მდ. ამხ. კვარაცხელიამ. აღმასკომის თავ-რეს მოხსენება ცნობილ იქნა პირობების მიხედვით დამაკმაყოფილებლად; ნაკაზი იქნა მიღებული უცვლელად. ბოლოს მოხდა საბჭოს წევრ-კანდიდატების დასახელება, საბჭოს წევრებად გაყვანილია 14 კაცი, მათ შორის ორი ქალი. კანდიდატებათ გაყვანილია 5 კაცი.

ი. წურწუმია.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდიის მუშაობა შესუსტდა, საჭიროა ყურადღება

ჯურუყვეთის თემის ა. ლ. კ. კ. ორგანიზაცია ერთი ძველი ორგანიზაციათაგანია. წინათ თავისი პოლიტიკური და კულტურული მუშაობით თითქმის პირველი ადგილი ეჭირა გურიაში. უჯრედი გაიზარდა რიცხვობრივად, ის ეხლა აერთიანებს 90 წევრს. [illegible] გლეხები, ისე მოწინავე ხუთი კომკავშირელი მასწავლებელი. საკმაოა ქალიშვილთა რიცხვიც. ყველაზე უწინ ამ უჯრედმა შესძლო კედლის გაზეთის გამოშვება, რომელიც თავისი საუცხოვო შინაარსით ბევრ მკითხველს იზიდავდა გასულ წელს. ამ ბოლო დროს მუშაობა შესუსტდა. აღარც კედლის გაზეთი იცემა და კრებებიც აღარ ტარდება, და თუ ჩატარდა მას ესწრება ძლიერ მცირე რიცხვი.

საჭიროა აქაურმა თემკომმა გაახილოს თვალი, დაინახოს ის მასწავლებლობა, რომლის საკმაო რიცხვი მის რიგებშია, გამოუშვას გაზეთი. ამასთან მხედველობიდან ნუ გაეპარება, რომ როცა ახალი წევრებით იზრდება ორგანიზაცია, რიცხვობრივ ზრდასთან ერთად ყურადღება მიაქციოს ორგანიზაციის თვისობრივ ზრდასაც. კომპარტიის თემკომის მოვალეობაა რომ უხელმძღვანელოს მის გვერდში მდგომ ა. ლ. კ. კ. ორგანიზაციას.

მ. ჭ.

საქ. სტ. ცენტრ. სამმართვ. უჯრედი

აღნიშნული უჯრედი აერთიანებს 48-მდე წევრ-კანდიდატებს. ამ რიცხვში ქალთა რაოდენობა საკმაოა. კომკავშირის უჯრედსა და კომუჯრედს შორის მჭიდრო კავშირია. პ | გ. მდივანი ჩვენი უჯრედისა შედის კომუჯრედის ბიუროში. უმეტეს შემთხვევაში კომუჯრედის კრებები ხდება გაერთიანებულად კომკავშირელებთან, რასაც კომკავშირელთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აღმზრდელობითი მხრივ.

უჯრედს ყავს მომაგრებული პიონერთა კოლექტივი, რომელსაც უწევს საკმაო ხელმძღვანელობას. პოლიტცოდნის მიხედვით უჯრედი დაყოფილია სამ კატეგორიათ, რომლებიც მეცადინეობენ შესაფერ პოლიტსკოლებში. უჯრედის ცხოვრების სინამდვილეში აღსანიშნავი არის ერთი ფაქტი: ქალაქის რაიკომი ამ უჯრედში გზავნის ისეთ ამხანაგებს, რომელთაც მალე უხდებათ ამ უჯრედიდან გადასვლა და ამგვარად უჯრედი განიცდის წევრთა მუდმივ ცვალებადობას, ეს მოვლენა კი თავის დაღს ასვამს უჯრედის ნაყოფიერ მუშაობას.

ამას გარდა უჯრედი განიცდის პარტიული კადრის ნაკლებობას. ეს არანორმალურად უნდა ჩაითვალოს, და მიექცეს სათანადო ყურადღება, რომ პარტიული კადრი უჯრედში გაძლიერებული იქნეს.

პ.—ვანი.

ადგილობრივ ორგანიზაციებში

თემკომის საქმიანობა უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში

(ანანური, დუშეთი)

ანანურის თემკომი აერთიანებს 2 უჯრედს 15 წევრით და 6 კანდიდატით. ამ ხნის განმავლობაში თემკომის სხდომა მოხდა 12-ჯერ, სადაც 50 სხვადასხვა საკითხი გაირჩა.

უჯრედების სხდომები სისტემატიურათ იმართება. უჯრედის დახურული სხდომა ხდება თვეში ერთხელ, დანარჩენ დროს კი ეწყობა ღია კრებები, სადაც უპარტიო გლეხებიც ესწრებიან.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფ. ხეიძას კომუჯრედი სუსტათ მუშაობს, რაც იმით აიხსნება, რომ წევრები ერთმანეთზე 4—5 ვერსით არიან დაშორებული; ამიტომ უჯრედის სხდომას ვერ ესწრებიან ყოველთვის. თემკომთანაც არ აქვს ამ უჯრედს კავშირი, რადგან მასზე დაშორებულია 20—25 ვერსით, ამიტომ ხელმძღვანელობაც სუსტია.

საერთოდ ჩვენი თემკომის მუშაობის შედეგი ამ ხნის განმავლობაში შემდეგია: ქოხ-სამკითხველოს საბჭოს დაარსება, გაზეთების გავრცელების საქმის მოწყობა, კედლის გაზეთის გამოცემა; 4 ადგილას დაარსდა ლიკ-პუნქტი, დაარსდა წერკუმსის უჯრედი. რადგან გლეხკომში ადგილი ჰქონდა დაუდევრობას, გადარჩეულ იქნა გლეხკომი. თემაღმასკომთან კარგი დამოკიდებულებაა. საერთოდ ჩვენს თემში მუშაობას გამოცოცხლება ეტყობა.

პარტკორი კ. თალაკვაძე.

თემკომი კარგად მუშაობს

(ჭელიადელის თემი, რაჭა)

ორი თვე სრულდება მას შემდეგ, რაც ჭელიადელის თემში ჩამოყალიბდა თემკომი. მუშაობა თავიდავე ძალგაცილებით წინ არის.

ზე გამოცოცხლდა. უჯრედის სხდომები სისტემატიურად იმართება, ქოხ. სამკითხველოს მუშაობაც შედარებით აღმასკომის მუშაობა აღნიშნულ

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ნათესების მდგომარეობა.

თელავი, 26 იან. საზამთრო ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მავნეები არ გამოჩენილან.

მოთხოვნილება ღვინოზე და არაყზე.

თელავი, 27 იან. დიდი მოთხოვნილებაა ღვინოსა და არაყზე, რის გამო ვედრო ღვინის ფასი ავიდა 4 მან. 50 კაპ., ხოლო არაყისა 15 მანეთამდე.

ძირტკბილას გატანა ამერიკაში.

ფოთი, 27 იან. სააქციონერო საზოგადოება „ტრანსპორტ"-ის ფოთის განყოფილება მომავალ 4 თვის განმავლობაში ამერიკაში გაზავნის 2 მილ. ფუთ ძირტკბილას. უკვე იტვირთება გემზე პირველი პარტია 700 ტონის რაოდენობით.

ვაზის დამყნის კურსები.

თელავი, 27 იან. წინანდლის სახალხო მამულთან ვაზის დამყნის შესასწავლად გაიხსნა კურსები, სადაც სწავლობს 60 გლეხი, აქედან მესამედს ქალები შეადგენენ.

ასეთი კურსები კახეთში დიდი ხანია ეწყობოდა, მაგრამ გლეხი ქალები ამ კურსებზე პირველად იღებენ მონაწილეობას.

აფხაზეთი

ხანძარი.

სოხუმი, 27 იან. 26 იანვარს გათენებისას, გამოურკვეველ მიზეზების გამო, ლაიწვა საბჭოთა სავაჭრო ფლოტის საწყობი.

არაჩვეულებრივი სისწრაფით შენობა მოიცვა ცეცხლმა, რომელიც გადავიდა მახლობელ სახლზე. მიუხედავად მიღებულ ზომებისა, საწყობში არსებულ საქონლის გადარჩენა შეუძლებელი გახდა. დაახლოვებით ზარალი რამოდენიმე ასეულ ათას მანეთს უდრის.

აფხაზეთის პროფკავშირთა ყრილობა.

სოხუმი, 27 იან. აფხაზეთის პროფკავშირთა ყრილობის მეორე დღის სხდომაზე პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ სუკოიანმა წაიკითხა მოხსენება.

რიცხვობრივად კავშირები გაიზარდნენ. 1 იანვრისათვის პროფკავშირებში 7,451 კაცი ითვლებოდა, შარშან კი 6180 კაცი იყო. ორგანიზაციაში 31 სხვადასხვა ეროვნებაა, მათ შორის 45 პროც. რუსები შეადგენენ, 23 პროც.—ქართველები 5 პროც.—აფხაზები, 7 პროც.—სომხები და 6 პროც. ბერძნები.

ადგილკომების გადარჩევამ, რომელიც ინდივიდუალური არჩევნების ლოზუნგს ქვეშ ჩატარდა, კავშირები ძალიან გამოაცოცხლა. ხელმძღვანელ სამუშაოზე წამოყენებულ იქნენ მუშაკების ახალი რაზმები, რომლებიც მასებში სიყვარულით და ნდობით სარგებლობენ. პროფესიონალური მუშაობის გამოცოცხლებას მუშების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან და სამუშაო ხელფასის მომატებასთან აქვს კავშირი. სამუშაო ხელფასის საშუალო რაოდენობა 57 მანეთს აღწევს, შარშან კი 40 მანეთს უდრიდა.

აფხაზეთის პროფკავშირთა მე-6-ე ყრილობა მასების აქტივობის გადიდების ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს. პროფსაბჭოს ანგარიშის გამო 200 შეკითხვა შემოვიდა. კამათში 38 ამხანაგი იღებდა მონაწილეობას, მათ შორის მოჯამაგირეებიც იყვნენ, რომელნიც აფხაზეთში პირველად გამოდიან.

წერილები

ბაბოს ძლიერ უყვარს

ბაბო ჭკუიანი მასწავლებელია. ის ბედსაც ვერ დაემდურება. ქალაქიც შესანიშნავი შეხვდა მოღვაწეობის ასპარეზათ. ჭიათურის მაღალი მთები, მოჩუხჩუხე ყვირილა, სუფთა მთის ჰაერი. ვინ არ მოვა ასეთ ადგილას ჭამის მადაზე? მაგრამ ნათქვამია, ჭამა ქონებაზე ჰკიდიაო.

ბაბო ბარათაშვილს კი, თუმცა ის შვიდწლედის მასწავლებელი არის, ჯამაგირი იმდენად არ უწყობს ხელს, რომ საკუთარი მადაგახსნილობა დაიკმაყოფილოს. მოთხოვნილება და გემოვნება კი დიდი აქვს. რძე, კვერცხი, ყველი, ქათამი, ხანდისხან იმერული ნუნუაც.

ესე იგი სულ სახსნილო, სამარხვოს აბა როგორ იკადრებს! ეს თავისთავად ბევრი არაფერი ცოდვაა. თუ კი ბაბოს განათლებულ გვამს სურს საკუთარი პატიოსანი მუცლის ასეთი შერჩეული საჭმელებით დაპურება, კეთილ ინებოს და მიირთვას.

მაგრამ რა შუაშია აქ საწყალი შვიდწლედის მოწაფეები, რომლებიც ლობიოზე და მჭადზე გამხმარ ქერქებზე გადადიან მთელი თვეობით? ბაბო კი თავისებურად მსჯელობს. ვმასწავლებლობ, მაშასადამე ვემსახურები სახელმწიფოს. ვემსახურები ბავშვებს.

ყოველი შრომა გასამრჯელოს ითხოვს. სახელმწიფო ჯამაგირს მაძლევს. ბავშვები?.. ბავშვებმა ნატურით უნდა დასდვან პატივი ჩემს შრომას. ამნაირათ, ვინც მოიტანს ყველს, ქათამს, რძეს, კვერცხს—ისაა ჩემი ერთგული, ისაა ჩემი სატრფიალო მოწაფე. ვინც არა და ვაი, მის ტყავს, სჯობს ნურც დამენახვება, თვალებსაც ნუ გამისწორებს.

სკოლა ხომ სამოწყალო დაწესებულება არაა? გისწავლია—ამ სწავლას ფული უნდა, ფული არა გაქვს, კვერცხი ჩამოდი, კვერცხი არ გექნება—რძე მოიტანე, რძე არ არის—ყველი მოაცინცილე. აი, ბაბოს ლოღიკა.

მაგრამ ჭიათურა, არც ისე მივარდნილი ქალაქია, რომ ბაბოს: ამგვარ მომხიბლავ აზრებს მოეჯადოებინა და უსიტყვოთ ეზიდნათ მისთვის ძღვენი. რაც უნდა იყოს სამრეწველო ცენტრია, მუშათა ორგანიზაციები მოიპოვება; პიონერთა მოძრაობაც საკმაოთ ფეხმოკიდებულია.

ამიტომ ზოგიერთ მოწაფეებმა ბუნებრივათ იუცხოვეს მასწავლებლის ასეთი არაჩვეულებრივი ლტოლვა ქათმისა და ძროხის პროდუქციისადმი და იმდენად გაკადნიერდენ, რომ ბაბოს უარი უთხრეს ძღვენზე. მაგრამ ამით უფრო წააგეს. მასწავლებელმა ისინ აითვალისწუნა, და პირველ უბრალო შემთხვევისთანავე მზათ ჰქონდა მათთვის ასეთი სიტყვები:

„შე ყვითელო, გლახის შვილო; შე მათხოვრის შვილო; ვინ მისცა გლეხის შვილს სწავლის შნო? ვინც ისწავლა, არც ის არის დღეს ბედნიერი".

ასეთია ბაბოს პედაგოგიური მოღვაწეობა ჭიათურის შვიდწლედში. ქათამიც გემრიელია. ხაჭაპური კიდევ უკეთესი. თუ ზედ ღვინო გაქვს კაცს. ამას რაღა სჯობია, მაგრამ ნუ თუ ბაბო ბარათაშვილის გარდა ვერავინ მივიდა დღეს ამ სიბრძნემდი? ალბათ ბაბოს ჰგონია ქათმისა და ყველის ქამა პრასის ფოთლათ შერჩება.

საინტერესოა რას იტყვის ამაზე მაზრის განათლების განყოფილება. ჩვენ გვგონია, ყოველ შემთხვევაში, რომ იქ ბაბოს აზრს არ გაიზიარებენ.

ჭვაწარახი.

პასუხი უნდა აგონ

(ს. გუჯარეთი, (გორ. მაზრა)

ბორჯომის რაიონი იმიტომ ივსება ხოლმე მოაგარაკეებით რომ საკურორტო ადგილია. მაგრამ იგი ამ ბოლო დროს ისე ნადგურდება, რომ შეიძლება არა თუ საბჭოთა კავშირიდან მოვიდენ იქ საააგარაკოთ, არამედ იქაურებიც სადმე შიშის გამო სხვაგან გაიხიზნონ. წაღვერის აღმოსავლეთით 14 ვერსის მანძილზე არის გუჯარეთის თემი.

უწინ ამ მხარეზე გაუვალი ნაძვის და ფიჭვის ტყე ყოფილა. მაგრამ აქაურებს იმ მშვენიერ ტყისათვის ცეცხლი წაუკიდებიათ აგერ 15 წლის წინათ და დღეს ტრიალ მინდორზე მხოლოდ დამწვარი დიდრონი ძირები სჩანს. ტყე დაუწვიათ იმისათვის, რომ ახოები აეღოთ და სათიბები გაეჩინათ. რაც გადარჩენილია, იმასაც მოსდეგმიან და განადგურებას უპირებენ.

მაგ. ამ 15 დღის წინათ მე ვიყავი მოწმე ერთი მეტად ამაღლევებელი მოვლენისა. მივდიოდი და ფეხით გუჯარეთის გზაზე, მაჭარ-წყალში, რომ მივედი რაღაც ხმაურობა შემომესმა.

ტყის მცველს ბითარაშვილს გლეხისათვის ტყის უბარათოთ გაჩეხის გამო ცული ჩამოერთმია და ოქმი შეედგინა. ეს ამბავი გაეგო იქვე სოფელში კომკავშირელებს და ეფრინათ ცხენით კაცი, ტყის მცველთან მისი მოქმედების გამოსარკვევათ. ბითარაშვილისათვის კომკავშირელს, რომელსაც იარაღი ჰქონდა, წინააღმდეგობა გაეწია. ბითარაშვილს მისთვის იარაღი აეყარა. ეს რომ დანარჩენებს გაუგია ალყა შემოურტყამთ იარაღით ხელში სოფელში შემოსულ ბითარაშვილისათვის.

იყო ერთი ყვირილი და ყიჟინა. ბითარაშვილს ტყვიით დაცხრილვას უპირებდენ. დიდი ამბით და დიდი ბოდიშით იარაღებიანი დამშვიდენ.

კომკავშირელები ასე დაემუქრენ მცველს: „ერთს მშვენიერ მთვარიან ღამეს შევეხვევით ტყეს და მაშინ მობრძანდი და დაგვიშალეო" მართლაც მოსალოდნელია რომ მათ ეს ჩაიდინონ. გუჯარეთის თემის აღმასკომს ხელები გულზე დაუკრეფია და ხეირს უყურებს.

ტყე ჯიბრით და ძალადობით სულ განადგურდება.

გათავხედებულ კომკავშირელებს პასუხი უნდა მოეთხოვოს.

სიკო.

ყურით მოსკოვამდინ ფეხით კი მუკუზნამდიც ვერ მივსულვართ.

(ველისციხე, სიღნ. მ.)

ველისციხის კულტურულ წრეთა დიდიხნის საწადელი აღსრულდა! მიმდინარე თვის 16-ს საღამოს 8 საათზე უკვე იყო დადგმული სახალხო თეატრის შენობაში რადიოს მიმღები აპარატი. დამსწრეთა აღტაცებას აღარა ჰქონდა საზღვარი, როდესაც, თითქმის ჯერ კარგად მოუწყობელ აპარატის წყალობით, მოისმათ ხმა მოსკოვიდან. 4000 ვერსის მანძილიდან მთავრობის ზოგიერთი განკარგულებებისა და კონცერტში დაკრულ სკრიპკისა და პიანინოს ხმა! ნამეტნავათ მკაფიოთ მოისმა მოსკოვის საქალაქო საათის ხმა, როდესაც მან დაჰკრა 9 საათი.

ამიერიდან ველისციხელებს მოემატათ ერთი კულტურული საშუალებაც, რომლის წყალობით მათ შეეძლებათ დაატკბონ თავიანთი ყურთა სმენა თბილისში გამართულ კარგის კონცერტებით და ადგილობრივ მოისმინონ შორიდან ნაკარნახევი შინაარსიანი ლექციები და სხვადასხვა კრებებზედ წარმოთქმულ სიტყვები.

დიდი მადლობის ღირსია ახლად დანიშნული ალაზნის არხის 1 უბნის ინჟინერი ნაბოკიხ, რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო პირადი შრომით და ნივთიერი დახმარებით. მადლობის ღირსია აგრეთვე ველისციხის პატარა ინტელიგენტური წრე, რომელიც დიდ უნარს იჩენს ველისციხის მკვიდრთა კულტურულად დაწინაურების საქმეში.

მაგრამ კულტურულ წინმსვლელობასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული გზების საკითხი.

ნემეცებს და, საერთოდ, კულტურულად დაწინაურებულ ხალხს გონიერი ჩვეულება აქვთ: ვიდრე სოფლის გაშენებას დაიწყებენ, უპირველესად გზებზე და წყლებზე იფიქრებენ. ჩვენ, სამწუხაროდ, ამ ზნეს მოკლებულნი ვართ. აიღეთ ველისციხე, ეს ნივთიერად ღონიერი ადგილი, სადაც დიდი აღებმიცემობაა გაჩაღებული. რას ვხედავთ? სადგურისა და ველისციხის შემაერთებელი გზა წარმოადგენს გოხრებულ, ლაფით და ქვით სავსე ადგილს.

შუაზედ რომ არ იყოს სახალხო მამული, რომლითაც სარგებლობს აქაური ხალხი მოგზაურობის დროს, პირდაპირ წარმოუდგენელია მიმოსვლა მუკუზნისა და ველისციხის შუა. არა შეკეთება, არამედ მისი კარგად გზათ გადაქცევა სულ ადვილი საქმეა მარტო ველისციხისათვისაც კი. მაგრამ ამაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ალაზან გაღმა მდებარე სოფლებმაც, რადგან ეს გზა მათთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

მხოლოდ ცოტაოდენი ყურადღება ადმინისტრაციის მხრივ და ეს ფრიად სასარგებლო საქმეც განხორციელდება. თორემ ყურით მოსკოვს მივწვდით და ფეხით მუკუზნასაც კი ვერა.

ი. ვ.

წერილებიდან

ს. კოდი (ასურეთის რაიონი)

ხელმარდი მასწავლებელი. ჩვე ოთხწლედის მასწავლებელი მე მესხი ვერ გადაეჩვია საშუალო სა ნის სკოლის ადათ-ჩვეულებებს. თ ვინმემ რაიმე აწყენინა, მაშინვე გა ლილი აქვს ხელი სილის გასაწნავა ამას წინათ მან სცემა მოწაფე კომკა შირელს და თანაც უყვიროდა: „შენ ფეხებზე მკიდიხარ, შენი კომკავშ რიცო". დროა მოხედოთ ს. კოდი სკოლას.

ალენი.

ს. შინდისი (თბილ. მ.)

სოფელი უწყლოთ. ას ორმოცდ ათი კომლია ჩვენ სოფელში და წყ ლი კი არსად მოიპოვება ამდენ მცხო რებთათვის. გლეხები წყალს მეზ ბელ სოფლიდან ეზიდებიან. ამის გ მო შინდისში სისუფთავის დაცვა ლაპარაკი ზედმეტია. ამ ნიადაგ ადგილი აქვს მრავალგვარ ავადმყ ფობას. სოფელს თავის საშუალებ არ შეუძლია წყლის გამოყვანა. საჭ როა მაზრის დახმარება.

ე. მ.

ს. პატარა ჯიხაიში (ქუთ. მ.)

რა მოიგეს? აქ შობა ძველი სტ ლით იდღესასწაულებს. სამიკიტნოე ში მთელი დღე ხმაურობა და ღრია ცელი იყო. ბოლოს მთვრალები ერ მანეთს კეტებით დაერივნენ. ჩხუ რომ დასრულდა, ერთა სულგატეხ ბული აღმოჩნდა, სამი თავდასისხლ ნებული და რამდენიმე გემოზე დაჟ ჟილი, ადმინისტრაციამ შესაფერი ზომები მიიღო. როცა მოჩხუბრე გამოფხიზლდენ ბევრი ინანეს, მაგრ რა გაეწყობოდა? ქრისტეს შობამ ა იცის.

ს. პატარა ჯიხაიშელი.

(თიანეთი დუშ. მ.)

ჯაფა აქვთ მოვლა კი არ მილიციას და აღმასკომს ჰყავს ცხენ ბი, მაგრამ ეს საბრალო პირუტყვე გულსაკლავ მდგომარეობაში არია ჯაფა მათ საკმარისი აქვთ, მოვლა თითქმის არავითარი. თავლა სრ ლიად არ ივსება და ცხენები სიბინძ რეში ცურაობენ, საკვები გამოზ გვით ეძლევათ და ისიც უვარგი აღმასკომის თ.-რე გაიძახის ფული არის საკვები ვიყიდოო. მოხედეთ ხალხო ქონებას, ცხენები მოუვლ ლობით იღუპებიან.

ვლ. ბუკია.

ს. აფნია (ჯავახეთი)

ბავშვი სამუდამოთ დამახინჯ გლეხ ვანო მელიქიძის ოჯახში შ დეგი უბედურება მოხდა. დიას ლისმა აკვანში დასტოვა რამდენ ხნით მძინარე 8 თვის ბავშვი და ზობლისას გადავიდა. ამ დრ სახლში შემოვარდა აწყვეტ ლორი, ეტაკა ბავშვს სახეზე და ცხვ -ტუჩები მოაჭამა. ბავშვის წივილ დედა და მეზობლები მოცვივდნ მაგრამ გვიანღა იყო. ღორი მოკლ მაგრამ საბრალო ბავშვი სამუდამო დამახინჯდა. დედებო, ფრთხილ მოუარეთ აკვნიან ბავშვებს.

პიონერი ნ. მიქელაძ

ტყუილს მოკლე ფეხები აბია

„კომუნისტის" ფურცლებზე ვი „ბელინელი" უსაყვედურებდა ლე მის მაზრის პასუხისმგებელ მუშაკ თ. დოლბაიას, რომ მან უკან დააბრ ნა და თბილისში არ გაუშვა დელეგ ტათ ს. ოყურეშის გლეხი სოლ. არ ვანიძე მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვანიძეს ჭრიჭინა ფეხსაცმელები ე და ეს დოლბაიას თვალში არ დ ჯდაო.

ვაცხადებ გადაჭრით, რომ ეს როტი განზრახვით შეთხზული ჭორ სოლ. არჯევანიძე კულაკია, რომ საც მიწის რეფორმის დროს ჩამ თვა მამულები; ის არჩეული არ ფილა ოყურეშის გლეხებია მი არამედ თვითონ მოაჭახრაკა საქმე უნდოდა თბილისში წასულიყო თა შვილებთან სახელმწიფოს ხარჯზე. ამხ. დოლბაია ამ შემთხვევაში [illegible] ლიად სამართლიანად მოიქცა და მაშინ იქნებოდა საყვედურის ღირ რომ ასეთი სოფლის ბობოლა ხალ ოოლით ესეირნებინა მის პირად მეზე თბილისის ქუჩებში. ტყუ მოკლე ფეხები აქვს, მოქ. ბელინე ნუ თუ არ იცოდით, როცა სწერდ რას იქმოდით?

მაზრკომის პ. მ. მ. ჭაბუკიანი.

ვი-ან-ორ

„ვო, ჩაგუნა და ვო,
უჩონგურე, სხაპუნა და ვო"

ზღვისაკენ

„ქარიშხალი ზღვაზე". „დიდი ქარბუქი ნაპირებთან".

ჩემი გემი არასოდეს არ დაილუპება. მისი დაძირვა შეუძლებელია. ჩემი მატარებელი არასოდეს არავის და არაფერს არ დაეჯახება. გზაში არ შემემთხვევა არავითარი კატასტროფა.

ასე მჯერა ყოველთვის. ასე მწამს ეხლაც.

რა ვიცოდი თუ რკინისგზის მოძრაობის რევიზორი ქიპაშვილი ეჭვს შემატანიებდა ამ ჩემს რწმენაში. ჯარიმა, 5 მანეთის ჯარიმა მხოლოდ იმისთვის, რომ ქობულეთის ახლოს გავბედე მატარებლის მეორე კლასიდან ერთი წუთით მესამე კლასში გასვლა*).

თბილისიდან მოვდივარ ჩუმათ, წყნარად... და „სახლში" მისვლისას დამაჯარიმეს. „დედაბერმა კერიას ძირში წაიკრა ფეხი". ჰე, ქიპაშვილო, შენ ზიდე ჩემი ცოდვა!

ბათომი. ქალაქი მიჩუმებული. ზღვა მტირალი ვაჭარზე უფრო. კანტრაბანდა ქუჩაში. კაცი, გახვეული [illegible] პალიტოში. კოსტიუმი, კაშნე ჯერსი. შეგიძლია პირდაპირ მიხვიდე და ჰკითხო რა ღირს პალტო, კოსტიუმი, კაშნე. თუ შეთანხმდებით—თქვენს წინ გაიხდის. ჩაგაბარებს ყველაფერს...

10 წუთში ისევ გამოწყობილია.

ასეა ქალებიც.

„კრემ-დე-შინს" ყველა გამოუცვლია, სიაფე არაჩვეულებრივი. აქა-იქ დახურული მაღაზიები. ანაფორა გახდილი ხუცები.

ზღვაზე.

ავათმყოფთა მთელი „ქარავანი": ხველა, ოფლი, სიცხე. ცხოვრების ჭაპანს ისინი დაუცია და ეხლა მოსარჩენად მიდიან: სოხუმში—გულრიპში, ჭლექიანთა სამეფოში, სადაც პროფესორი (კოხი ბრძანებლობს და განაგებს).

ჩვენ ხარკი უნდა მიუტანოთ მას.

ზღვა ზარმაცი, ტლანქი „კოლოფით" მიაქანებს ავათმყოფებს.

ქარავანში ერთი ავათმყოფი ქალია.

თქვენ იცნობთ ამ ქალს? გთხოვთ გაიცნოთ.

— უკაცრავათ, მე ყველა ქალს ვიცნობ...

— ეხლახან გაშორდა თავის საყვარელს. ძლიერ უყვარდა. სიყვარული თაფლით ავსებული ყუთი ეგონა. როდესაც დაუწყო ამ თაფლს ჭამა—გამოირკვა, რომ თაფლი მხოლოდ ზევით ყოფილა; ქვევით კი მთხლე იყო. საყვარელს სხვა აეჩინა, ახალი სიყვარული მოენახა. ქალისათვის კი —ეს უკანასკნელი თავშესაფარი იყო. განვლილი წამების შემდეგ—ეს „უკანასკნელი" გატაცება იყო. ვერ გაუძლო, დაავათმყოფდა, ჭლექი სჭირს. აი, შეხედეთ, როგორ ახველებს, ჩახვეული.

რა გაეწყობა, ასეთი ყოფილა მისი ბედი: ქალები ყოველთვის ეთაყვანებიან უკანასკნელს, ჩვენ, პირიქით, გვიყვარს პირველი. ეხლა ის მიდის მზისაკენ: შეიძლება მზემ მას დაუბრუნოს ჯანი—სიყვარული. მწარი და ტლანქია სიცოცხლე და საძაგელია სიკვდილი.

ზედა-პირი ყოველთვის უფრო ბინძურია, ვიდრე ძირი. ზღვა ღელავს. მის ზედა-პირს ჰფარავს უამრავი უწმინდურება—ვინ იცის საიდან მოტანილი. მის ძირში ბინადრობენ. ალბად უამრავი ავანტიურისტები, რომლებიც მხოლოდ მიტომ არ ამოდიან ზევით, რომ საკმარისათ მიაჩნიათ ამ ქვეყნათ დატოვებული გაიძვერათა ხროვა.

ჩვენი გემი მიექანება თვალუხილავ არეში და ყურსაც არ იბერტყავს ზღვის ხმაურობაზე.

ზღვა იყო თავხედი და უტიფარი როგორც კერზონის ულტიმატუმი.

დელფინების სიხარულს ხომ საზღვარი არ ჰქონდა. ალბათ, მათ გემზე შეამჩნიეს „აფდელფინის" თავმჯდომარე ამხ. მიშა თუმანოვი. ტყუილა კი არ აურჩევიათ ის „აფხაზეთის დელფინების" თავმჯდომარეთ: ის ჯერ-ჯერობით იწონის 14 ფუთს! ე. ი. იმდენს, რამდენს 5-6 დელფინი ერთად.

ვი-ან-ორ.

დაღამდა. ელექტრონით განათებული სოხუმი დაკარგულ ვარსკვლავივით მოსჩანს რეიდზე. გემი ნავთსადგურიდან ერთი ვერსის დაშორებით ჩერდება, ეტყობა სოხუმს შეშინებია რომ სილამაზე არავინ წაართვას და გემებს ახლოს ვერ ღებულობს. სრული ზაფხულია; გიკვირს, ნუ თუ მართლაც მზის მთელ სხივებს აქ მოუყრიათ თავი და ათბობს აქაურებს. რომლებიც თავს ირთობენ კამათლების გაგორებით.

ქალაქი ყვავილებში. შარშანდელ სუსხიან ზამთარს, ეტყობა, საგრძნობლათ მოუჩინჩლავს კიპარისის და პალმის ქოჩორი. ბევრი კი მაინცადამაინც ვერაფერი დაუკლია.

არსად არ შეიძლება იმოდენა წინააღმდეგობას ჰქონდის ერთად ადგილი, რამდენიც სოხუმში. აი სასახლე, ვეებერთელა „მარმარილოს ქვიდან" გამოთლილი, თვალწარმტაცი სილამაზის. მის გვერდში დამპალი, დაცვენილი ქოხი, რომელსაც მხოლოდ პატიოსანი სიტყვა აჩერებს ფეხზე. ერთ ეზოში სასახლე და ქოხი. ქალაქი ტერასებზე. ყვავილები, პალმები, კიპარისები და... საშინელი ტალახიანი ქუჩები.

მივდივარ ადგილობრივ გაზეთის რედაქციაში. საშინელი შმორის სუნი: ეზოს არ ჰქონებია ნაგვის ყუთი და მის ადგილს ჩინებულათ ასრულებს რედაქ. შესასვლელი კიბის ერთი კუთხე. რედაქციის დერეფანში ვილაც ხმელ-ხმელი ბერძენი ქაფშიას წვავს. თანამშრომელი ყოფილა. დავბრუნდი უკან. ენა არ დამიძრავს. კიდევ კარგი რომ არ შევედი: რედაქცის მდივანმა ამხ. ლოგინოვმა გადმომცა, რომ მას და ამხ. კუდრიავცევს (რედაქტორია) სულ ერთი სკამი ჰქონიათ რედაქციაში. იმედია ეს ამხანაგები არ დამემდურებიან ამ „მეგობრული შარჟისათვის".

სასტუმრო „სან-რემო". საკურორტო სამმართველოს ტერიტორია—სისუფთავე, სილამაზე, ყურადღება. სამმართველოს სათავეში სდგას ამხ. ანჩაბაძე, ენერგიული, მუყაითი მუშაკი, მცოდნე და მოსიყვარულე თავისი საქმის. მისი სახელი? ე—ან—ორ, ე. ი. (სიცოცხლე ოქროში) რომ იცოდეს რა კარგი სახელი აქვს. არ ვიცი —მისი სიცოცხლე ოქროა თუ არა. ვიცი, რომ სახელი ოქროზე უფრო ძვირფასია, ლამაზია.

ვი-ან-ორ...

გულრიპში.

პროფ. კოხის სამფლობელო.

ჭლექიანს თავისი განსაკუთრებული ცხოვრება აქვს, განსაკუთრებული შეხედულება ყველაფერზე. განსაკუთრებულია გულრიპშიც.

ვეებერთელა—ლამაზი ოთხსართულიანი შენობა, სოხუმიდან 12 ვერსტით დაშორებული, პალმების ბაღით შემორტყმული, მუდამ ზღვისაკენ მაცქერალი, თითქოს იქედგან რამე შველას მოელოდეს. მის კედლებში თავს იყრიან საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ჩამოსული ამხანაგები, რომლებიც გასწირა ცხოვრებამ და ჭლექის საშინელი სენით დაავადმყოფა.

სანატორიუმის პირდაპირ მინდორში მორთულია დიდი სასაფლაო, საძაგელი, როგორც თვით სიკვდილი.

არაფერი არ არღვევს აქაურ მყუდროებას, ან კი რა არის უფრო მყუდრო და ჩუმი, ვიდრე ცოცხალი სიკვდილი. ცა აქ ხანდახან ისეთი მკრთალი და უფერულია, თითქოს ვილაცას მისგან „კრასკა" ჩამოერეცხოს. მოწყალე (მოწყალების და) ლამაზია როგორც ვაზელინი.

იგივე ლაპარაკი, ბაასი, რაც ყველა სანატორიუმში, ყველა ავათმყოფებს შორის: მე წინად ასე და ასე ვიყავი ავად, ეხლა მოვრჩი, (თუ მორჩი—აქ რა გინდა) ყველაფერმა გამიარა.

ერთი ამხანაგი—ავათმყოფი, რომელსაც ყელის ჭლექის უკანასკნელი სტადია აქვს და რომელსაც ამის გამო ჩახლეჩია ხმა, მარწმუნებდა, რომ მას სურდო სჭირს, გზაში გაციებდა და ხმას „დააკლდა".

„ნეტარ არიან მორწმუნენი"!

ისე აქ შესანიშნავი პირობებია მკურნალობისთვის. ამით ფართოთ ვისარგებლებთ.

—:—

ირგვლივ სიჩუმე. ხოლოლაც შორს, ზღვის ნაპირებთან მეგრელი მაღალი ფალცეტით მღერის:

„ვო, ჩაგუნადა ვო,
უჩონგურე, სხაპუნადა ვო"

დ. დ—ძე.

გულრიპში, იანვარი

---

*) არ უნდა გასულიყავი.

ასოთ-ამწყობ.

წითელ ჯარში

მე-2-რე ქართულ დივიზიის 1-ლ პარტკონფერენციის შედეგები

ამ დღეებში დამთავრდა მე-2-რე ქართულ დივიზიის პარტიული კონფერენცია. კონფერენციამ ჯამი გაუკეთა ჩატარებულ მუშაობას.

მე-2-რე ქართული დივიზია ტერიტორიალური დივიზიაა; მას მოუხდა პირველად ჩაეყარა საფუძველი ტერიტორიალურ სისტემისათვის საქართველოში. ეს სისტემა ჩვენში ახალია და, როგორც ყოველი ახალი საქმე, მოითხოვდა დიდ ენერგიას და ყოველმხრივ დაკვირვებას, რომ შესაძლო გამხდარიყო მშრომელი მასის წინაშე მოვალეობის შესრულება.

თავიდან უმთავრესი იყო—გაგვეცნო მოსახლეობისათვის ტერიტორიალური სისტემის მნიშვნელობა და დანიშნულება. რაც უკვე შევასრულეთ. საერთო ტერშეკრება საქართველოს ყოველ კუთხეში დიდის წარმატებით ჩატარდა. ამ შეკრებამ საფუძვლიანად განამტკიცა მოსახლეობის თვალში წითელი არმიის აღმშენებლობის ახალი პრინციპები და მეტად დაუახლოვა მოსახლეობა წითელ არმიას. ეს დიდი მიღწევაა.

ტერიტორიალურ სისტემის ცხოვრებაში გატარებისათვის არ არის საკმარისი მარტო სამხედრო ორგანიზაციების ძალები, თუ არ იქნება დახმარება მოსახლეობის ფართო მასის და სამოქალაქო ორგანიზაციების მხრივ. ამიტომ დივიზიამ თავიდანვე მიაქცია ყურადღება ტერსისტემის პოპულიარიზაციას როგორც მოსახლეობაში, ისე სამოქალაქო ორგანიზაციებში.

განათლების მუშაკთა პროფესიონალური კავშირი და პოლიტგანები დიდ ინტერესს იჩენენ წითელარმიელთა რიგებში კულტურულ განმანათლებელ მუშაობის წარმოებაში. ამ ორგანოების და ზოგ სამაზრო პარტორგანიზაციების მაგალითს უნდა მიბაძონ ყველა ორგანიზაციებმა. ამას ჩვენ მივაღწევთ, ასეთი იყო პარტკონფერენციის დასკვნა ამ საკითხში.

ტერიტორიალურ მშენებლობის შესავალ საფეხურს წარმოადგენს წვევამდელთა მომზადება. ეს საქმე რთულდება სხვადასხვა მიზეზებით, მთავარ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ახალგაზრდა კომკავშირის ორგანიზაციების გულგრილობა ამ საქმისადმი. პარტიული ორგანიზაციები უკვე დაინტერესდენ ტერიტორიალურ სისტემის ცხოვრებაში გატარებით. საერთო ტერიტორიალური შეკრება დამამტკიცებელი იყო ადგილობრივ პარტორგანიზაციების ამ საქმით დაინტერესების. რა თქმა უნდა, ზოგი პარტორგანიზაციები მოიკოჭლებდენ, როგორც ზევით აღვნიშნეთ. რაც შეეხება წვევამდელთა მომზადებას და კომკავშირის დამოკიდებულებას ამ საქმისადმი, უნდა აღინიშნოს, რომ აქ კომკავშირი მოისუსტებს, საჭიროა პარტიამ მთელი თავისი გავლენით მიაქციოს კომკავშირის ყურადღება ამ საქმეს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ავანგარდი, კომუნისტური კავშირი, მიბაძავს პარტიის და შესძლებს ეს ამოცანაც ბრწყინვალეთ გადაჭრას.

ს—ძე.

საბინაო აღმშენებლობა

„საბინაო კავშირი"-ს დაარსება

19 იანვარს შესდგა საქართველოს საბინაო კოოპერატივთა კავშირის „საბინაო კავშირი"-ს დამფუძნებელთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრენ: 4 წარმომადგენელი საბინაო-საამშენებლო და 3 საბინაო საიჯარო ამხანაგობებიდან. კრებაზე მიღებულ იქნა კავშირის ნორმალური წესდება, რომელიც წარედგინა დასამტკიცებლად საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

ამ კრებაზე არჩეულ იქნა „საბინაო კავშირის" გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: როხლინი (თავმჯდომარე), პრეობრაჟენსკი (მოადგილე), ნუიკინი, გარიშვილი და ოდილავაძე.

სარევიზიო კომისია:—ჭელიძე, ნინოკაშვილი და ბერკოვი.

არჩეულ იქნა აგრეთვე საბჭოც—11 წევრის შემადგენლობით. საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ამხ. ელბაქიანი.

ამ ჟამად კავშირის გამგეობა იბარებს „ცენტრამშენი"-ს და მუშათა საბინაო კოოპერაციის ქონ ბებს.

გამომუშავებულია საორგანიზაციო მუშაობის გეგმა.

ეხლა იწყება წინასწარი საანკეტ აღმოკვლევა საბინაო-საამშენებლ და საიჯარო ამხანაგობებისა. მო ყობა საუბნო კრებები, რომლე ზედაც გაკეთებული იქნება მოხ ნებები საბინაო კოოპერაციის თ ნამედროვე მდგომარეობაზე და „ს ბინაო კავშირი"-ს ამოცანების შ სახებ. „საბინაო კავშირი"-ში წევრა შესვლისათვის კრებამ დააწესა ას თი პირობები: საამშენებლო ამხ ნაგობებმა უნდა შეიტანონ 1 პროც. თავის საპაიო თანხისა საიჯარო ამხანაგობებმა კი-15 პრო

საბინაო აღმშენებლობის დარგ კავშირი ამ ჟამად იმუშავებს 192 წლის საამშენებლო პროგრამ მინიმუმს, რომლის მიხედვით გ ზრახულია მუშებისათვის 100 ო სამ ოთახიანი ბინის აშენება.

ავიაქიმში

ამხ. ფრუნზეს სახელობის სტიპენდიები

ამხ. ფრუნზეს ხსოვნის უკვდავსაყოფად, საბჭოთა კავშირის „ავიაქიმ"-მა დაადგინა დაარსოს მისი სახელობის 12 სტიპენდია საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების უმაღლეს სასწავლებლებში. ამ სტიპენდიების კანდიდატების არჩევა მინდობილი აქვს „ავიაქიმ"-ს. სტიპენდიანტები ამორჩეული უნდა იქნენ საზოგადოების აქტიურ წევრთა შორის.

სროლის სპორტი

მუშათა ფართო მასებში სროლ სპორტის გასავრცელებლად და ს საძლიერებლად, „ავიაქიმ"-მა გამ უშვა გასასყიდათ „ვეკო"-ს სის მის ვინტოვკები.

ერევანი—თბილისი

ა | ქ. ცეკის მე-2 სესიის მუშ ბის განმავლობაში, თბილისსა ერევანს შორის დაფრინავს აერ პლანი „იუნკერს"

საფოსტო კავშირი

საფოსტო ამანათების სასწრაფოდ ჩასაბარებლად

უკანასკნელ დრომდე მატარებლებზე ფოსტით ჩაბარებას და მიღებას აწარმოებდა ერთი მოსამსახური. ამ გარემოების გამო დაზღვეულ ბარათების ცენტრალურ საფოსტო სადგურზე მოტანას და განაწილებას 2 საათით აგვიანდებოდა. ამჟამად მიღებულია სათანადო ზომები, რომ დაზღვეული კორესპონდენციები ჩამოსული მატარებლიდან დაუყოვნებლივ იქნეს ჩაბარებული და გადაგზავნილი მთავარ ფოსტაში და მეორე გარემოება, რომელიც იწვევს კორესპონდენციების თავის დროზე ჩაუბარებლობას და ჩაბარების დაგვიანებას, არის თვით საფოსტო კავშირის უკანასკნელ დრომდე არსებული წესები, რომლის მიხედვით ფოსტას 46 დამტარებელი ორი საათით უფრო გვიან გამოდიოდენ სამუშაოზე, ვიდრე შესაძლებელი იყო, რაც კორესპონდენციების ჩაბარებას საგრძნობლად აგვიანებდა. ამერიდან ფოსტის მიღებისთანავე წერილებით სავსე ჩანთები დაუყოვნებლივ გადაეცემათ კანტორაში მისატანად განსაკუთრებულ თანამშრომელს.

ფულის მისაღები უწყებების დასატარებლად დანიშნული არიან არა უბრალო წერილების დამტარებელნი, არამედ სასწრაფო ფოსტის ფოსტალიონები. გარდა ამისა, დაწესებულია სახლებში მავალ დამტარებელთა ორი რიგი. ფოსტალიონების პირველი წყება გამოვა არა უადრეს დილის 11 საათისა, მეორე წყება ნაშუადღევს 2 საათზე.

განათლების ფრონტზე

რამდენი დაამთავრებს წელს 7 და 9 წლედს.

განათლების სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა თბ. ალმასკომის განათლების ინსპექციას, წარუდგინოს კომისარიატს ცნობები იმის შესახებ, თუ წელს რამდენი მოწაფე დაამთავრებს დაახლოებით 9 წლედს და 7 წლედს.

მოხსენებები კომკავშირის კონფერენციებზე.

განათლების კომისარიატის დადგენილებით დაევალა განათლების ინსპექტორებს, რომ მათ გააკეთონ ვრცელი მოხსენებანი განათლების საქმის შესახებ ადგილებზე, იმ ახალგაზრდათა კომკავშირელების კონფერენციებზე, რომლებიც ამჟამად იმართება მაზრებში.

საბავშვო ბაღები.

ამჟამად თბილისში არსებობს 25 საბავშვო ბაღი, რომლებშიაც ირიცხება სულ 1910 ბავშვი. ამავე ბაღებში ირიცხება 123 აღმზრდელი.

1-ლი საფეხურის სკოლები.

თბილისში ამჟამად არსებობს 28 პირველი საფეხურის სკოლა, მათ შორის 10 ქართული, 6 სომხური, 7 რუსული, 2 თურქული და დანარჩენი ეროვნების—3. აღნიშნულ ყველა სკოლაში ირიცხება 6165 მოწაფე. მათ შორის ქართველი 2214, სომეხი—2413, რუსი—873. ბერძენი—21, დანარჩენი სხვა ეროვნების.

სკოლების მდგომარეობა რაჭაში.

ამჟამად რაჭის მაზრაში არსებობს 3 საბავშვო ბაღი 130 ბავშვით, 63 პირველ საფეხურის სკოლა 9508 მოწაფით. 9 შვიდწლედი 900 მოწაფით, 1 ცხრაწლედი 200 მოწაფით, 2 გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა 108 მოწაფით.

პლაკატების გამოფენა

გუშინ, 27 იანვარს, ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის სახლის შენობაში (ყოფილი სამხედრო ტაძარი, რუსთაველის პროსპექტზე) გაიხსნა პლაკატების, წიგნაკების, ჟურნალ-გაზეთების ყდების დიდი სამხატვრო გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ყველა ის პლაკატები, წიგნების და ჟურნალების ყდები, რომელიც კი გამოსულა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში, 1917 წლიდან დაწყებული უკანასკნელ დრომდე.

გამოფენაზე არის აგრეთვე უცხოეთის სავაჭრო პლაკატების განყოფილება.

პლაკატების, რიცხვი რამოდენიმე ათასს აღწევს. უხვად არის აგრეთვე ჟურნალები და წიგნები.

ამ სამხატვრო გამოფენის მიზანი არის, მისცეს მშრომელთა ფართო მასებს მხატვრული წარმოდგენა იმ დიდ გაცხოველებულ მუშაობაზე, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის დღიდან სწარმოებს საზოგადოებრივ და სამეურნეო ცხოვრების გარდასაქმნელად.

ტექნიკურად გამოფენა მშვენივრად არის მოწყობილი.

ორგანიზატორებს მშვენივრად აქვთ დალაგებული ექსპონატები.

ძნელია თქმა, თუ რამდენად სრული და უნაკლოა გამოფენა ამ 8 წლის განმავლობაში გამოცემული პლაკატების და ჟურნალების შევსების მხრივ; მაგრამ, ცხადია, რომ ორგანიზატორებს ენერგია და დრო არ დაუზოგავთ, რომ გამოფენას მოეცა ჩვენი სამეურნეო და საზოგადოებრივი ცხოვრების მხატვრული სურათი პლაკატების და ჟურნალების გარეგნული კანის საშუალებით.

გამოფენა გაგრძელდება ორ კვირას—10 თებერვლამდე. გამოფენის დათვალიერება უფასოა.

ნ.

რკინის გზეზე

მატარებლის დამტვრევა სად. ლიაკში.

გუშინ, დილის 6 საათზე და 30 წუთზე, სადგ. ლიაკში (აზერბეიჯანის ხაზზე) დაიმტვრა მე-3 ხაზზე მიღებული მატარებელი № 366. როგორც ირკვევა მოძრაობის დარგის რევიზორის დეპეშიდან, დამტვრევა მოხდა იმის გამო, რომ მემანქანემ წარმოიდგინა თითქო სადგ. ლიაკი მის მატარებელს იღებდა უკვე დაკავებულ ხაზზე და ამიტომ, მოუხედავათ იმისა, რომ მატარებელი ჩქარა მიდიოდა, მოინდომა ორთქლმავლის გაჩერება. ორთქლმავალი [illegible] ბორბლებით ასცდა ლიანდაგს და დაიმტვრა 19 რონოდა, რომელთაგან 1 დახურული რონოდა იყო დატვირთული შაქრით, 4—სხვადასხვაგვარი ტვირთებით და 14 ღია რონოდა კი დატვირთული იყო ხე-ტყით და მანქანების ნაწილებით. დაუზიანებელი 36 რონოდა წაყვანილი იქნა სადგ. ელიკენტში.

დამტვრეულ რონოდებიდან საქონლის წასაღებათ სადგ. ლიაკში გაგზავნეს ცარიელი რონოდები. ევლახიდან და განჯიდან ლიაკში მივიდა აგრეთვე დამხმარე მატარებელი.

ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

კიდევ სამი შემთხვევა

— 26 იანვარს განჯიდან გაგზავნილ სახალხო-საბარგო მატარებელს № 22-ს მე-463 ვერსზე მოუვიდა მარცხი—დაეჯახა „ვაგონეტკას“.

— 27 იანვარს შავ ქალაქში ლიანდაგს ასცდა ერთი დატვირთული რონოდა.

— ამავე დღეს ბაქოდან გაგზავნილი მატარებლის № 9679-ს ორი ცალი რონოდა ასცდა ლიანდაგს, ისრის დაზიანების გამო.

მეწყერი ქიათურის ხაზზე

27 იანვარს დაახლოებით 5 საათზე ქიათურის ხაზზე, მეოცდათერთმეტე ვერსზე მოსწყდა მეწყერი, ლიანდაგზე უზარმაზარი ლოდი ჩამოვარდა. მოძრაობა შესწყდა. როგორც სალიანდაგო დარგის რევიზორის დეპეშიდან სჩანს, მეწყერი გრძელდება. მიღებულია ზომები ლიანდაგის გასაწმენდათ.

ბრძოლა საბინაო კრიზისთან

საბინაო კრიზისის მოსაგვარებლად, ა. | კ. რკ. გზ. მმართველობამ დაადგინა გაამართვოს ასაშენებელ სახლების აგების გეგმა იმ ანგარიშით, რომ მიღებულ იქნეს მეტი საცხოვრებელი არე.

საბჭოთა სასამართლო

სამი მამა

— მე ცოლშვილიანი კაცი ვარ, და არა ვინმე მოხეტიალე. ეს ქალი არც კი ვიცი ვინ არის; ესე იგი, მე მას ვიცნობ, მაგრამ შორიდან, მხოლოთ სალამით. მაგრამ ბავშვი? რის ბავშვი, მე მაგისი ბავშვის მამა? საიდან სადაო... მიჰქარავს!

გიორგი ბაიანდუროვი ცხარობს, ხტის, იქნევს ხელებს წალმა-უკულმა, როგორც უნიჭო მსახიობი.

— მე ვსტყუი?—ყვირის გრძნობიდან გამოსული თამარა მარტინოვა.

— დიახ! თქვენ სტყუით! სტყუით!

ბაიანდუროვის სახეზე გამოკრთის ირონიული ღიმილი.

— რა სალაპარაკოა, მოქალაქე მოსამართლენო, დაეკითხეთ მოწმე ბიკოვს, ან რცხილაძეს, მათ ჩემზე უკეთ იციან, ვინ არის ეს ქალი.

მოწმე ბიკოვი იღებს მედიდურ გამომეტყველებას და სათანადო პოზით ლაპარაკობს:

— სიცრუის ლაპარაკი მე არ მჩვევია. მართალი გითხრათ, ეს ქალი ჩემთან ცხოვრობდა.

მოწმე რცხილაძე უხეშად შეუბღვერს მომჩივანს და აცხადებს:

— მარტინოვა? როგორ არ ვიცნობ, ის ჩემი საყვარელი იყო.

სასამართლო მიდის სათათბიროდ.

ბაიანდუროვი ამაყად გადახედავს მარტინოვას.

ბიკოვი და რცხილაძე მხიარულად გამოესაუბრებიან ერთმანეთს.

განაჩენი გამოტანილია.

მდივანი აცხადებს: „საქმე გადაიდოს და მოწმეები ბიკოვი და რცხილაძე პასუხისგებაში იქნენ მიცემული, როგორც ბავშვის შესაძლებელი მამები“.

— ვაჰ!

— ეს როგორ იქნება!

მოწმეები გაშეშებული დგანან.

— თქვენ შეგიძლიათ წაბრძანდეთ.

„შესაძლებელი მამები“—ბიკოვი და რცხილაძე—დინჯად პირდაპირ [illegible] სდგანან.

ნ—ძე.

მუშათა ცხოვრება

მუხრუჯის კარგი გვაქვს

(მუშის შენიშვნა)

— რატომ წიგნები ასე გაძვირდა? ეკითხება ერთი მუშა მეორეს.

— მიტომ, ჩემო კარგო, რომ მადა გაძვირდა და რაკი მადა გაძვირდა, წიგნებიც გაძვირდა.....

— მე შენი არაფერი მესმის, რასა ჰქვიან მადის გაძვირება?.

— მადის გაძვირება იმას ჰქვიან, რომ როდესაც ვინმე რაიმე წიგნს ბეჭდავს, ის ჰფიქრობს, რომ მეტი ფული მოიგოს. აი, მე ვიცი ასეთი მაგალითი: პოლიგრაფ-სკოლის სტამბაში დაიბეჭდა ერთი წიგნი, რომლის აწყობა-დაბეჭდვა დაჯდა 90 კაპეიკი. ერთი მანეთის რომ ქაღალდი ვიანგარიშოთ, გამოდის 1 მან. და 90 კაპ., გამომცემლობამ კი ამ წიგნს ფასი დაადო 5 მან. და 50 კაპ. არის თუ არა ეს მადის გაძვირება?...

— ახლა კი მესმის... მე ვურჩევდი გამომცემელთ, რომ ფასი შედარებით უფრო მცირე დაადონ და გაცილებით მეტ ეკზემპლიარებად დაბეჭდონ, ცოტა თავის მადასაც მოუჭირონ და წიგნის შეძენა გაადვილონ მშრომელთა ფართე მასსისთვის, თორემ სადა აქვს მუშა-კაცს 5 მანეთი რომ წიგნში მისცეს...

— მართალია, ჩემო კარგო, ცოტა უნდა მოუჭირონ თავის მადას წიგნების გამომცემლებმა...

— მაშ, მე ამის შესახებ ერთ წერილს დავწერ და სათაურად დავარქმევ „მოუჭი მადას წიგნის გამომცემელო“.

— მერე, როგორ გგონია, მოუჭერენ, ვითომ?

— რა ვიცი, მე დავწერ და თუ მოუჭირეს, კარგია, და თვითონ არ მოუჭირეს, კარგია, და თვითონ თუ არ შათა ხელისუფლების მაკრატელი კარგადა სჭრის ხოლმე.

— მუხრუჯებიც კარგი გვაქვს—გაუმაძღრებისათვის,—დაუმატა ივანემ.

მუშა ნიკო **ახლ—ლი.**

ჩვენი კულტ-მიღწევები

თბილ. საქონლის სადგურის ადგილკომთან არსებულ კულტ-კომისიის სამი თვის მუშაობის ანგარიშში, 1-ლ ოქტომბრიდან 1925 წ. 1926 წ. 1-ლ იანვრამდე, ხსენებულ კომისიას აღნიშნულ დროს განმავლობაში ქონდა სულ 5 სხდომა. გარჩეულია 15 საკითხი: 4 ორგანიზაციული, 1 ეკონომიური და 10 კულტურული. ყველა საკითხები მოგვარებულია, გარდა ერთისა (მუშა-მოსამსახურეთათვის ლექციების ჩატარება). კულტკომისიის მიერ ამ ხნის განმავლობაში მოგვარებულია შემდეგი კულტურული საქმეები: მოხდა აღრიცხვა წერა-კითხვის მცირე მცოდნე და არა მცოდნეებისა. მივლინებულია წერა-კითხვის უცოდინართა სკოლაში—11 კაცი, რომელნიც სისტემატიურად ესწრებიან მეცადინეობაზე. სტიპენდიით გაგზავნილია 1.

არსებობს შემდეგი წრეები: დრამწრე, რომელიც აერთიანებს 15 კაცს, პროფ-წრე, გურულ მომღერალთა გუნდი—10 კაცით; ქართლ-კახური გუნდი—15 კაცით; გურული გუნდის მეორე ჯგუფი—18 კაცით; პიონერთა კოლექტივი, პოლიტ-წრე.

გამოდის კედლის შემდეგი გაზეთები: „მტვირთველ ახალგაზრდობის ხმა“ (ორკვირეული)—ახალგაზრდა პიონერთა კოლექტივის ორკვირეული ორგანო: „ნორჩი პიონერი“ და მუშა-მოსამსახურეთა ორკვირეული ორგანო „წითელი შოლტი“, თანამშრომლობს 18 კედლკორი.

მუშა ხიდისთაველი

აი რა გვინდა

(ძღვნად თამბაქოს ტრესტს)

თუთუნის ქარხნიდან სახლისაკენ მიეშურება ორი მუშა და ერთი მეორეს ეკითხება:

— სასადილო ააშენეს? უკვე მორჩნენ?

— ამბობენ მალე მორჩებიანო;

— ეგ წადილიც ხომ აგისრულდათ. სხვა რაღა გინდათ?!

— ურიგო არ იქნებოდა შემდეგი ნატვრაც აუსრულდეთ მუშებს.

— შემდეგი რაღაა?

— ეს ის არის, რომ როცა ახალი სასადილო დასრულდება, ამხ. პევცოვმა 600 მანეთიც ჩვენთვის გადასდოს, რომ ერთი ღამე მაინც იქეიფონ მუშებმა და ერთხელ მაინც გაძღნენ ტრესტის ხარჯზე.

— ეს სწორედ კარგი იქნება: წარსულ წელს ტრესტს ხომ კარგი მოგება ჰქონდა ეს მას შეუძლიან.

— კანტორის ვალებს რაღა უშველება? მუშებს ჯამაგირებს ნაწილნაწილად გვაძლევენ, ხომ იცი, ჩემო მეგობარო!

— აი კიდევ რა გვინდა. ნეტავი, ჩვენი დირექცია ისეთ ხასიათზე დასდგებოდეს, რომ 3—4-ჯერ აღარ გვათხოვნინებდეს მუშებს ავანსად ფულს, როცა მათ უჭირთ.

— კიდევ რაღა გინდათ?

— გვინდა ის, რომ კვირაში ერთხელ მაინც რძის ნაცვლად კარაქი მოგვცენ, როგორც მეოთხე და მესამე ქარხანაშია მიღებული ეს წესი.

— კიდევ გაქვს რაიმე სათქმელი?

— გვინდა აგრეთვე ის, რომ ერთი ისეთი დღე გვაჩვენონ, როცა ვაჭარ პეტრე კახიანის ნისია არ გვაწუხებდეს.

— კიდევ რაღას იტყვი?

— გვინდა აგრეთვე, რომ ყოველ კვირა ჩვენს ნამუშევარს გვაძლევდნენ, რომ დირექციას ყოველთვის გლახასავით ავანსს არა ვთხოვდეთ.

— კიდევ გინდათ რამე?

— გვინდა ისიც, რომ ჩვენი ახალი მანქანები უმოქმედოდ არ ეყვნენ გაჩერებული და ბნელ სარდაფში არ განისვენებდნენ და არ ფუჭდებოდნენ.

— კარგი. ყველა ეს ნატვრანი რომ შეგისრულდეთ, კმაყოფილი იქნებით მუშები თუ არა.

— ჯერ-ჯერობით, რასაკვირველია; შემდეგში კი ენახავთ ცხოვრების პირობები ცვალებადია; ყველა დროს თავისი მოთხოვნილება აქვს ხომ იცი, ჩემო სიკო!

მუშკორი **ამბალი.**

მოქალაქე გვინახავს, მაგრამ ასეთი კი—იშვიათია

(ალმასკომის საყურადღებოდ)

1922 წლიდან ვცხოვრობთ მისაკის (ყოფ. დავიდოვის) ქუჩაზე, სახლი № 27-ში, რომელიც ქალაქის ალმასკომის ორდერით გვქონდა აღებული. ამა წლის 23 იანვარს ჩვენთან სტუმრად მოვიდა მოქ. ილია ყრუაშვილი თავის ცოლით. ჩვენ გვეგონა, რომ ის რამოდენიმე საათის შემდეგ წავიდოდა ჩვენი ოთახიდან, მაგრამ მან კატეგორიულად გამოგვიცხადა, რომ ის არსად წავიდოდა: თქვენ გადით ოთახიდანო,—შემოგვიყვირა მან. არავითარმა ხვეწნამ მასზე არ იმოქმედა და ბოლოს კიდევ [illegible] დაგვემუქრა. ამჟამად ორ სტუდენტს მოგვყვება ქუჩაში ყოფნა, წაგვერთვა მეცადინეობისა.

ვთხოვთ ალმასკომს დაგვიცვას ამ თავხედურ ძალმომრეობისაგან.

ფ. ლოხნაძე და მ. კანდელაკი.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **45 მუშა უმუშევრად რჩება.** განზრახულია ამ დღეებში დაიკეტოს სასტუმრო „ორიანტი“. იგი უნდა შეკეთდეს საფუძვლიანად. აქ მუშაობს 45 მუშა, ცოლშვილით დატვირთულნი, მათ ზამთრისათვის არ გააჩნიათ არც ფული, შეშა და არც სხვა რამის მარაგი. ეს მუშები ვერა დროს ვერ იღებდენ ხელფასს თავის დროზე სასტუმროს მოიჯარადრის ბ-ნ—აბაშიძის წყალობით. ეხლა კი მათ სრულიად ითხოვენ სამსახურიდან, რაც მუშებს გამოუვალ მდგომარეობაში აგდებს. სურთ სასტუმროს გალამაზება და მასთან ერთად ავიწყდებათ იგი, თუ რა გვარი გაუბედურება მოაქვს მუშისათვის ამ „გალამაზებას“.

უფრო მეტ ადამიანობას გამოიჩენდა იგი, ვინც ამ „გალამაზებას“ დასტოვებდა ზაფხულისათვის.

მუშკორი **ციცერინა.**

— **აქ უნდა მოსპოთ თამბაქოს მოწევა.** გოგირდის აბანო № 7-ში მექისეები მოურიდებლად ეწევიან თამბაქოს, რაც ისედაც ცუდ ჰაერს საშინლად სწამლავს. მობანავეთა თხოვნაზე და შენიშვნაზე ისინი თავხედურად უპასუხებენ: თუ არ შეგიძლიან ნუ მოდიხართ საბანაოდო!.

ასეთი მდგომარეობა მიუღებელია. აბანოებში თამბაქოს წევა უნდა აიკრძალოს.

მუშკორი **ხ. შენგელია.**

— **განებივრებულ მსახიობს ჭკუა უნდა ასწავლოთ.** პეტროვსკის ქუჩაზე № 29 სცხოვრობს ვინმე ოპერის მსახიობი ლორთქიფანიძე, რომელიც ითვლება რაბისის კავშირ. წევრად. მოქ. ლორთქიფანიძე არ დაკმაყოფილდა „უბრალო ცხოვრებით“ და ფუფუნებაში ცხოვრების მიზნით იყიდა ეს სახლი, სახლის მდგურები თითქმის ყველა მუშა-მოსამსახურენი არიან. სამწუხაროდ ამ მდგმურებს ეს მსახიობი მეტად უხეშად ექცევა და საშინლად ავიწროებს. აქ დიდი ხნიდან ცხოვრობდა უკიდურეს სიღარიბეში ჩავარდნილი მკერავი ქალი მელიხოვა, რომელიც თავისი ხელობით ირჩენდა თავს. ამ ლორთქიფანიძემ ნიშანი ამოიღო და აითვალისწინა ეს უპატრონო ქალი, რაკი დაინახა, რომ ამ ქალს არავინა ჰყავს პატრონი გადაისწყვიტა ამ ქალის ქუჩაში გაგდება. მისი არყოფნის დროს ამ ლორთქიფანიძემ იმდენი „სიგმირე“ გამოიჩინა, რომ საწყალ ქალს ოთახის კედლები შეუნგრია, ქალმა ამის შესახებ უკვე აცნობა 1-ლ უბნის კომისარიატს, მაგრამ ჯერ-ჯერობით კომისარიატიდან არავითარი ზომები არ ყოფილა მიღებული.

ნუ თუ დასაშვებია კავშირის წევრისათვის ასეთი უხეში მოქმედება-საქციელი?

მუშის მოკეთე.

აქაც გამოიჩინეთ ადამიანობა

მართალია, ლენინის უბანში ბევრი რამ გაკეთდა ალმასკომის მომწყობ განყოფილების მიერ, მაგრამ ჩვენ რაღა დაგვაშავეთ. ინგრევა და იკეტება წყალსადენში მისასვლელი ქუჩა, ბუფერის შესახვევი. ამათი შეკეთება კი არ მოითხოვს მაინც და მაინც დიდ ხარჯებს მისი შეკეთება წყალსადენისთვის ადვილია, იქ იგი ადვილად მიიტანს ყველაფერს და ამ უბნის მცხოვრებლებიც მოისვენებენ.

მუშა **მექვაბე.**

მუშათა ქრონიკა

— **ციხეებში.** დიდიხანია, შრომის დაცვის კომისიამ დაადგინა, რომ ადმინისტრაციას სპეც-ტანისამოსების დაცვის მიზნით ციხეებში დაედგა შკაფები, მაგრამ დღემდის არ შეუსრულებია მას ეს დადგენილება.

— **უნდა დაიდგას ფეჩი.** ვინაიდან ძალიან ცივა, ტყავ-ტრესტის ტყავის ბალან-გასაცლელ განყოფილებაში, შრომის დაცვის კომისიამ დაადგინა აქ დაიდგას ფეჩი.

— **საბავშვო ბაღი.** რადგანაც საბავშვო ბაღისთვის ორთაჭალის რაიონში ვერ გამოინახა ბინა, ტყავ-ტრესტის ქარხკომმა სთხოვა სახ. განათლების განყოფილებას გააფართოვოს სურფ-სარქისის ქ. არსებული სარაიონო საბავშვო ბაღი და მიიღოს იქ ტყავ-ტრესტის ქარხნის მუშა-მოსამსახურეების შვილები.

— **პირველი რიგი.** ტყავ-ტრესტის ქარხკომმა დაადგინა, რომ მუშა-მოსამსახურეების მიღების დროს პირველი რიგი დაეთმოს წითელ ჯარიდან განთავისუფლებულ წითელ-არმიელებს.

— **მუშა-ხელის დაქირავებისათვის.** ტყავ-ტრესტის ქარხკომმა დაადგინა, რომ თვალყური ადევნონ ადმინისტრაციას მუშა-მოსამსახურეების მიღების დროს, რათა მიღება სწარმოებდეს წესიერად.

მეორე თამბაქოს ქარხანა „პროლეტარი“-ში

— **კვირაობით მუშაობა.** ვინაიდან მეორე თამბაქოს ქარხნის მუშა-მოსამსახურეების დასასვენებელი სახლი მოსათავებელია. და თანხა მოაკლდა, საერთო მუშათა კრებამ დაადგინა გაიმართოს კვირაობით მუშაობა და ხელფასი გადაიდოს დასასვენებელი სახლის დასამთავრებლად.

— **შტატის შემცირება.** მეორე თამბაქოს ქარხნის ადმინისტრაციამ მოითხოვა მუშების შტატის შემცირება. მისთვის ფაბრკომმა უნდა გამოიკვლიოს, თუ რამდენად საჭიროა შტატის შემცირება.

— **სამი თვის სამუშაო გეგმა.** მეორე თამბაქოს ქარხკომმა დაამტკიცა ქარხკომის შემუშავებული სამითვის სამუშაო გეგმა.

— **არჩევნები.** მეორე თამბაქოს ქარხანაში მოხდა ქარხკომის შემადგენლობის არჩევნები. თავმჯდომარედ არჩეული იქნა ამხ. ოგანოვი, მდივნად კარაპეტოვა. საქმის მწარმოებლად დანიშნულია კარაპეტოვი.

რკ. გზის უბ-კავშირში

— **საწევრო გადასახადის შესახებ.** რკ. გზის უბ-კავშირის ორგ. თათბირმა დაადგინა შემუშავდეს მოვალეობა პროფ-კავშირის საწევრო გადასახადების ამკრეფებისთვის და დაიბეჭდოს ცალკე ბარათებზე.

— **წრის დაარსება.** რკ. გზის უბ-კავშირის ორგ. თათბირმა დაადგინა კლუბებთან დაარსდეს სოციალურ დაზღვევის შესასწავლი წრე.

— **პროფწრე.** რკ. გზის უბ-კავშირის ორგ. თათბირმა დაადგინა პლეხანოვის სახელობის კლუბთან დაარსდეს ახალგაზრდების პროფწრე.

— **ადგილკომის გადარჩევა.** 18 იანვარს მოხდა მე-6-ე უბ. ლიანდაგის ადგილკომის გადარჩევა.

— **ზედ-მეტი მუშაობისთვის.** რკ. გზის საუბნო კომიტეტმა მისცა წინადადება ფ. ჩ.-3 რომ საჩქაროდ დააკმაყოფილოს ნავთ-სადგურის მუშების სტიქიურ შემთხვევაში ნამუშევარი ზედ-მეტი შრომის ხელფასის ჯილდოთი.

ქრონიკა

ალმასკომში

— **პოლიტგანათლება.** თბ. ალმასკომის განათლების განყოფილებამ დაამტკიცა პოლიტგანათლების წლიური მუშაობის გეგმა თბ. მაზრაში.

— **შრომის კოლექტივების** გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა თბ. ალმასკომის წინაშე საზოგადო სამრეცხველოს [illegible] განყოფილებისათვის შესაფერ შენობის დათმობის შესახებ.

— **ტრამვაის შენობების** შესაკეთებლად თბ. ალმასკომმა გადასდო 8 ათასი მანეთი.

— **ტრამვაის ახალი ლიანდაგის** დასაგებათ ტრამვაის სამმართველო წელს დამატებით მიიღებს 10 ათას ფუთ რელსს.

— ქ. სასაკლაოზე 1921 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 112 პროც. გაიზარდა.

— **საბავშვო ახალშენებისათვის** დუშეთის ყაზარმების გადასაკეთებლად თბ. ალმასკომმა გადასდო 24,190 მანეთი.

ელექტრო-ტრესტში

— **ელექტრო-ტრესტი** ახლო ხანში შეუდგება ხაშმში (გარე-კახეთი) ჰიდრო ელსადგურის აგებას, რომელიც დაჯდება 9820 მან.

— **ახალციხის ალმასკომმა** შეუკვეთა ელექტროტრესტს ახალციხეში 75 ცხენისძალიან ელსადგურის აგება. სადგურის ასაგებათ ალმასკომს გადადებული აქვს 15.393 მან.

კრებები და მოხსენებები

— **იურიდიულ საზოგადოებაში** ხუთშაბათს, 28 იანვარს, საღამოს 8 საათზე იქნება კამათი იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილების კონსულტანტის ამხ. ს. ხანკალამოვის მიერ წაკითხულ მოხსენების გამო შემდეგი სათაურით: „საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის პროექტი“.

— **სკოლის გარეშე განათლების** მუშაკთა სახლში პარასკევს, 29 იანვარს შესდგება თბილისის ბიბლიოთეკარების მორიგი კრება. დასაწყისი დილის 9 საათზე.

— **ინჟ.-ტექ. კლუბის გამგეობა** ხუთშაბათს, 28 იანვ., საღ. 7 საათზე, ინჟ.-ტექ. მუშაკებისათვის მართავს ამხ. ელზაქიანის მოხსენებას „საბინაო კოოპერატიულ მშენებლობის შესახებ“.

— პარასკევს, 29 იანვ. ინჟ. გ. გელოვანიშვილი წაიკითხავს მოხსენებას „ჩაიხის თუჯის შესახებ“.

ორივე მოხსენება გაიმართება ს. პ. კ. ს. წითელ დარბაზში.

სოც. დაზღვევა

— **სოც. დაზღვევის სამმართველომ** დაადგინა სახალხო მეურნეობაში მომუშავე სასეზონო მუშებზე გაავრცელოს დაზღვევა დასახიჩრებისა და საექიმო დახმარების დარგში.

— **იმ უმუშევრებს,** რომლებსაც აქვთ წიგნაკი № 7001 ზევით, 28 იანვარს მიეცემათ დამხმარე სალაროდან იანვრის თვის დახმარება.

სატყეო ტრესტში

— **ჯიშიან ხეების დაცვა.** სატყეო ტრესტმა აკრძალა კახეთის რაიონში ძვირფასი ჯიშის ხე-ტყის—ნეკერჩხალის და კაკლის ხეების მოჭრა.

— **შეშის დამზადება.** ქუთაისის სატყეო რაიონში მიმდინარე სამეურნეო წელში დამზადებული იქნება 1000 კ. ფუტი შეშა.

მიწათმოქ. კომისარიატში.

— **ტყის მუშაკთა მომზადება.** მიწათ-მოქ. კომისარიატის სატყეო განყოფილებას განზრახული აქვს გაზაფხულზე მოაწყოს ტყის გამგეთა და მათი თანაშემწეთა მოსამზადებელი კურსები.

— **საქონლის ჭირი.** მიწათმოქ. კომისარიატის სავეტ. განყოფილება მაზრებში გზავნის 300 ლიტრ საქონლის საწინააღმდეგო შრატს.

სხვადასხვა.

— **გადასახადი.** აღმოსავლეთ საქართველოში დღევანდლამდე აკრეფილია 600 ათას. მანეთი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

— **აფხაზეთის კოოპერატიული** კავშირი ძირითად კოოპერატივების საშუალებით ამ ჟამად ამზადებს კვერცხს და მელის ტყავეულობას.

— **სახელმწიფო ვაჭრობის** კომისარიატი შეუდგა აჭარისტანში ძვირფას ბეწვეულობის დამზადებას.

— **რენტგენის კაბინეტი.** ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატი ამ დღეებში საზღვარგარეთიდან მიიღებს რენტგენის კაბინეტის მოსაწყობ მასალებს.

შემთხვევები

— **მორგებული გასაღების** საშუალებით 26 იანვარს პლეხ. პრ. № 65 გაქურდეს სეფიაშვილის ბინა. წაღებულია 300 მან. ნივთები. ეჭვით შეპყრობილია მეზობელი მამედოვი.

— ამავე დღეს გაქურდეს [illegible] ბეროშვილის ბინა.

— 24 იანვარს პლეხ. პრ. № 109 გაქურდეს კელე ხუხუნელის ბინა.

— ამავე დღეს ხაბეოს ქ. 9 გაიპარა [illegible].

ხელოვნება

სიმფონიური კონცერტი ოპერის თეატრში

კონცერტში პიანისტ ჰეინრიხ ნეიჰაუსის მონაწილეობამ დიდძალი ხალხი მიიზიდა თეატრში. ნეიჰაუსმა შეასრულა ორი საფორტეპიანო კონცერტი (მე-5-ე ბეთჰოვენის და მე-2-ე ლისტის) ორკესტრის აკომპანემენტით. ყველას ახსოვს ბეთჰოვენის მე-5-ე კონცერტის მხატვრული შესრულება ეგონ პეტრის მიერ. უნებლიეთ ეგრიდება პარალელის გავლება ამ ორ შემსრულებელს შორის. რასაკვირველია, ეგონ პეტრის შესრულება ეს მაქსიმუმი იყო იმისი, რაც კი მსახიობს შეეძლო მოეცეს ამა თუ იმ ნაწარმოების მხატვრულად გადმოცემაში და ამიტომ ნეიჰაუსის შესრულებამ აუდიტორიაში უფრო მკრთალი შთაბეჭდილება დატოვა. მაგრამ არ შეიძლება შესრულებას აქ [illegible]. ნეიჰაუზი უსათუოდ დიდი მუსიკოსია, განვითარებული და მგრძნობიარე და მას არ შეეძლო ცუდათ შეესრულებია ბეთჰოვენის ასეთი კლასიკური ნაწარმოები. არის მხოლოდ წმინდა ინდივიდუალური მხარე შესრულებისა და ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ამაზე.

შესრულების პირველი ნაწილი ტექნიკურად ვერ იყო უნაკლოთ შესრულებული, რაც უნდა აეხსნათ ახალგაზრდა არტისტის ნერვიულობით და ნაწილობრივ ორკესტრთან შეუთანხმებლობით,—მაგრამ აქაც მშვენიერი ფრაზირება, ნიუანსები, განსაკუთრებული მუსიკალობა. მეორე ნაწილი შესრულებული იყო აჩქარებულად, რას აჭნებს მელოდიას და სტილს. მესამე ნაწილი კი უფრო ცოცხლად უნდა იქნეს შესრულებული. საფორტეპიანო ლიტერატურის ამ საუკეთესო ნიმუშის შესრულებაში ნეიჰაუზმა გამოიჩინა უფრო მეტი მუსიკოსობა, ვინემ ვირტუოზობა.

მაგრამ ლისტის კონცერტი, რომელიც ვგონებ პირველად სრულდება თბილისში, მართლაც საუცხოოდ იყო შესრულებული როგორც ლირიულ ადგილებში, ისე იქ, სადაც სჭირობა მეტი ტემპერამენტი. არტისტმა ამ კონცერტში თავი ისახელა მრავალფეროვანი ტეხნიკით და მუსიკალობით.

ბეთჰოვენის მე-5-ე სიმფონია სიმბოლიურად გამოხატავს ბედის გავლენის აუცილებლობას ადამიანის ცხოვრებაზე და არ გვესმის, რატომ სტოლერმანი ასე წელა ასრულებს პირველ მუსიკალურ ფრაზას. შემდეგ, ჩვენის აზრით, სტოლერმანი შემცდარად იყენებს ნიუანსებს და კონტრასტებს ბგერებში. მეორე ნაწილი ძალიან ჩქარა იყო შესრულებული. ეს არღვევს მის მხატვრულ სურათს. კარგად იყო შესრულებული საზეიმო ფინალი (ადამიანის გენიის გამარჯვება ბედის კარნახზე). სოლისტების კაპელნიცკის, ნეიმანის და სხ. მონაწილეობა ორკესტრში უსათუოდ ხელს უწყობდა კარგი შთაბეჭდილების შექმნას.

პ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

— **პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.** შაბათს, 30 იანვარს, საღამოს 8 საათზე ხელოვნების სასახლეში მოხდება ჩვეულებრივი ლიტერატურული შაბათობა. ამხ. სერგო ამაღლობელი წაიკითხავს მოხსენებას თეატრის შესახებ. იქვე მიიღება ახალი ჟურნალ „მნათობის“ თებერვლის ნომრისათვის.

— **შოთა რუსთაველის ახალი სურათი.** ძმ. ჯაფარიძეებმა დახატეს შოთა რუსთაველის ახალი სურათი, რომლის რეპროდუქცია დაიბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გასასყიდათ.

— **ოპერის თეატრში.** დღეს წარმოდგენილი იქნება ოპერა „დუბროვსკი“.

— **კორპორაცია „დურუჯი“-ს** 3 წლის თავზე ხვალ რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება გრიგოლ რობაქიძის ახალი პიესა „ლამარა“.

— **ფოთის სახელმწიფო თეატრში** თებერვლის შუა რიცხვებში გაიმართება მსახიობ შ. ჯაფარიძის და ვ. ჩხიკვაძის ბენეფისი.

— **„ვიდრე ხვალ“** ახლო ხანში ფოთში ა. ზარდალიშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება სუნდუკიანის „ვიდრე ხვალ“. პიესისათვის იხატება ახალი კოსტიუმები.

— **მწერალთა პორტრეტები.** ძმ. ჯაფარიძეებმა დახატეს ნ. ბარათაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის და აკაკი წერეთლის პორტრეტები.

— **„ოტელლო“.** ხვალ ოპერის თეატრში პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება „ოტელლო“ სანდრო ინაშვილის მონაწილეობით.

— **კონსერვატორიის დარბაზში** 6 თებერვალს გაიმართება ვიოლონჩელ დამკვრელის ილიკო აბაშიძის კონცერტი.

— **საბავშვო თეატრი.** სახელმწიფო ოპერის ბაღში განზრახულია მოეწყოს საბავშვო საოპერო თეატრი.

— **მომღერალ ე. მ. პოპოვას** 15 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად კვირას ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ლაკმე“ და მე-2 მოქ. „დაისი“-დან.

— **ა. პაულის საღამო.** 1 თებერვალს ცირკში გაიმართება ადმინისტრატორ ა. პაულის საღამო საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

— **მიხ. ჯავახიშვილმა** დასწერა მოთხრობა „თეთრი საყელო“, რომელიც „მნათობის“ იანვრის ნომერში იბეჭდება.

დღეს კინოებში

— აპოლო
— არფაჰატი } „ვინ არის დამნაშავე?“
— ხოლეი
— მინიონი „ლეთის სახლით“
— ლაზისი [illegible]

ბიბლიოგრაფია

მიხ. აბრამიშვილი—ძველი ქართული თეატრი

(ისტორიული მიმოხილვა).

გამოცემა „მეცნიერება საქართველოში“ გვ. 41×25. 1926 წ. ქ. ქუთაისი.

ჩვენს წინაშე ძევს ახლად გამოცემული მიხ. აბრამიშვილის „ძველი ქართული თეატრის ისტორიული მიმოხილვა“, რომლის გამოსვლასაც სიხარულით ველოდით, რადგანაც გვრწამდა, რომ ძველი ქართული თეატრი უფრო კარგად იქნებოდა განხილული და ზოგიერთი პრობლემატიური საკითხები, როგორც სპეციალური მეცნიერული ნაშრომი, სათანადო არგუმენტებით იქნებოდა გაშუქებული. მაგრამ ის, რაც მ. აბრამიშვილს აქვს თავისი წიგნში, ცოტაოდენი ვარიაციით უკვე აღნიშნული და გაშუქებული ჰქონდა პროფ. კორნ. კეკელიძეს, საიდანაც ავტორს ეტყობა უხვად უსარგებლია (თუმცა ზოგ ადგილას ამას ის არ აღნიშნავს).

კარგად აქვს ავტორს გადმოცემული შესავალი, აგრეთვე ბერიკაობა, ყეენობა, ზარი, რომელიც უსათუოდ წინამორბედია ქართული თეატრისა, მაგრამ არ შეგვიძლია ავტორს დავეთანხმოთ ზოგიერთ ისტორიულ დებულებებში. წიგნი 28 გვ. ავტორი ამბობს, თითქოს რომში ქართული სტამბა 1630 წელს დაარსებულიყოს დაბეჭდილა პირველი ქართული გრამატიკა და იტალიანური ქართული ლექსიკონიო. ეს სიმართლეს არ შეეფერება.

ქართული სტამბა რომში კათოლიკე მისიონერთა მეცადინეობით უფრო ადრეა დაარსებული, სახელდობრ 1625 წელს, სადაც პირველად დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი ლოცვანი, ხოლო ქართული ანბანი და ქართულ-იტალიური (და არა იტალიურ-ქართული, როგორც ფიქრობს მ. აბრამიშვილი) ლექსიკონი დაიბეჭდა 1629 წელს. პირველი ქართული გრამატიკა კი დაიბეჭდა 1643 წ. და მეორედ გამოიცა 1670 წელს. (იხილეთ ამის შესახებ მიხ. თამარაშვილის, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის გვ. 95, პროფ. კორნ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია 1 ტ. გვ. 75) ამის შესახებ ჩვენ უტყუარი ისტორიული საბუთი მოგვეპოვება და საკვირველია თუ რად მოუვიდა ავტორს ასეთი შეცდომა. შეიძლება მათ ყალბათ მიაჩნია ჩვენ მიერ აღნიშნული, მაგრამ საამისოთ საჭირო იყო წინასწარ მისი სიყალბის დამტკიცება და შემდეგ ორიგინალური დებულებების წამოყენება.

აგრეთვე წიგნში ბევრია ისეთი ადგილები, სადაც ავტორი ახალ დებულებას აყენებს და საამისო არგუმენტებს არ ასახელებს.

მაგ. 41 გვერდზე ავტორი გადმოგვცემს, რომ ტრაგედია „ჰერაკლე“-ს ავტორი არის კორნელი; საკვირველია თუ საიდან ამოიღო ავტორმა ეს ცნობა. საკვირველია იმ მხრივ, რომ ჩვენამდის ტრაგედია „ჰერაკლეს“ არ მოუღწევია სრულად, არამედ ერთი მოქმედებაა 5 გამოცხადებით და როგორც პროფ. კორნ. კეკელიძე გადმოგვცემს (იხ. მისი ლიტ. ისტ. ტ. 2 გვ. 501) თარგმნიდან არა სჩანს თუ ვინ არის ამის ავტორი. აგრეთვე არ მოგვეპოვება ჯერ კიდევ ისეთი დამაჯერებელი საბუთი, რომ „ჰერაკლეს“ ავტორად კორნელი ვაღიაროთ.

საერთოდ წიგნი ვერ იძლევა საკმაო სურათს ძველ ქართული თეატრის ისტორიისას, საამისოდ საჭირო იყო ისტორიული დოკუმენტების სიფრთხილით აწონ-დაწონვა და გაღრმავება, რაც ზემოხსენებულ წიგნს არ ახასიათებს. ვსურვებთ ავტორს მომავალში ამ ნაკლის გამოსწორებას.

სოლ. ყუბანეიშვილი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

შემენახება თუ არა სამსახური და ხელფასი

კითხვა

თანახმად სამხედრო კომისარიატის დადგენილებისა, სახელმწიფო უნივერსიტეტის 1904—1905 წ. დაბადებული სტუდენტები გაწვევამდე სამხედრო მომზადების ჩატარებისათვის მიწერილი იქნებიან ამავე უნივერსიტეტთან მოწყობილ პუნქტზე.

გეკითხებით:

რა პირობები ექნებათ სტუდენტებს. აღნიშნულ წლებში დაბადებულთ, რომლებიც მსახურობენ ან მუშაობენ რომელიმე სახ. დაწესებულებებში: ისინი განთავისუფლებულნი იქნებიან თუ არა სამუშაოდან მომზადების პერიოდში ჯამაგირის და ადგილის შენახვით.

სტუდენტი **ქიმიკი.**

პასუხი

იმ მუშა მოსამსახურეთა, რომელნიც გაწვეული არიან გაწვევამდე სამხედრო მომზადებისათვის, მთელი სამხედრო სწავლების დროს განმავლობაში ენახებათ თავიანთი თანამდებობა სამსახურის ადგილზე და შრომის ხელფასი საშუალო რაოდენობით. სწავლების დროს განმავლობაში ისინი განთავისუფლებულნი უნდა იქნენ სამსახურიდან.

(იხ. სამხედრო მსახურების კანონ. კოდექსი მუხ. 97).

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

ვცხოვრობ ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ვინმე ბარნაბა მარუხის სახლში. მიჭირავს ერთი ოთახი სივრცით 35 კვადრ. არშინი ქვედა სართულში. არც აივანი აქვს და არც სამზარეულო. 11 თვის განმავლობაში ვიხდიდი თვეში ათ მანეთს; ჯამაგირს ვიღებულობ მე-7-ე ხარისხით 60 მან. ვარ რკინის გზის მოსამსახურე, პროფკავშირის წევრი (წიგნაკი № 25.033.) სარჩენი მყავს სამი სული.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას თუ რამდენი უნდა ვიხადო ბინის ქირა თვეში და შემიძლია თუ არა გადახდილი ბინის ქირიდან გამოუზარო სახლის პატრონს აწინდელი ბინის ქირა, თუ მან არ მიიღო. სად უნდა შევიტანო ბინის ქირა.

გერმანე კორსავა.

პასუხი

თვითეულ კვადრ. არშინზე ბინის ქირად იხდით ხუთ ნახევარ (5,5) კ. თუ აღნიშნულ კანონიერ ქირას სახლის პატრონი არ მიიღებს, შეიტანეთ იგი იუსტიციის სახკომატის დეპოზიტში.

უკვე გაცემული ბინის ქირიდან რაიმე თანხის გამობრა-დაჭერა უნდა მოხდეს მხოლოდ სასამართლოს წესით. თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სათანადო განცხადებით ამის შესახებ საბინაო სასამართლოს.

ვის მივმართო პენსიის მისაღებათ

კითხვა

მე ვარ ქვრივი, ხუთი მცირე წლოვანი ობლების პატრონი; საცხოვრებელი წყარო არაფერი არა მაქვს; ქმარი ჩემი მსახურობდა 22 წელიწადი ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე—სადგურ ნავთლუღში მატარებლების გადამბმელ-შემადგენლად. იგი გარდაიცვალა 1922 წელში. ამჟამად განვიცდით დიდ გაჭირვებას. მე ვარ სოფლელი და არა მაქვს გამოცდილება, რომ აღვადგინო ჩემი უფლებები პენსიის მისაღებათ.

გთხოვთ მომცეთ ახსნა-განმარტება, თუ ვის მივმართო ჩემი უფლებების აღსადგენად. ვცხოვრობ სიღნაღის მაზრაში სოფ. ბოლქვიში.

ქვრივი სონა ქელესრაევისა.

პასუხი

თანახმად ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის 1924 წ. 17 ივნისის № 119 ცირკულიარის მუხ. 7-ისა, თვენ გირჩევთ სათანადო განცხადებით პენსიის დანიშვნის შესახებ მიმართოთ ამ.-კავკ. რკინის გზ. დამზღვევ სალაროს ან და რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის სამმართველოს, რომელთაც აქვთ უფლება გამონაკლის შემთხვევებში და საპატიო მიზეზების მიხედვით, არ გამოიყენონ ზემოაღნიშნული ცირკულიარის სხვა მუხლები, სადაც არის ნათქვამი, რომ ყველა ისინი, ვინც არ აღძრავს პენსიის დანიშვნის შესახებ შუამდგომლობას მარჩენალის სიკვდილიდან ორი წლის განმავლობაში, ჰკარგავენ პენსიის მიღების უფლებას სოციალურ უზრუნველყოფის სახით.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

პარასკევს, 29 იანვარს, ნაშუადღევს 1 საათზე, საქ. კომპარტიის ბინაში ამხ. მუქიშვილის ოთახში, მოწვეულია

რევიზიის საქ. ცეკას პრეზიდიუმის წევრთა მორიგი სხდომა.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: ჩოდრიშვილი, ჯიჯაძე, ძოწიშვილი, არ. რუხაძე, ატაბეკოვი-ტუმასი, ბელიაევი, ჯაიანი, ზაქს, კელიძე, ბაგდატიევა, ნუცუბიძე (ფ. ჯარიდან), კიზირია და ქუთათელაძე.

რწმ. საქ. ცეკას საქმეთა მმართველი: ვ. წულეისკირი.

დღეს, 28 იანვარს, დილის 10 საათზე, თბილისის კომიტეტის სამდივნოში მოწვეულია

ს. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.

თ. კ. პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

თ. კ. მდივანი მიხ. კახიანი.

ხუთშაბათს, 28 იანვარს, დილის 10 საათზე, თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: სურხატიანი, პოლოსიანი, ჩიხლაძე, ბუაჩიძე, ივანიკოვი, გავრილოვი, პიტოევი (ც. პ. შ.) და ხაჭაპურიძე (ც. პ. შ.).

— საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება იტყობინება, რომ ხუთშაბათს, 28 იანვარს, დღის 2 საათზე, საქ. ახალ. ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტის შენობაში (რუსთაველის პრ. № 20) შესდგება თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.

აღნიშნულ დროზე უნდა გამოცხადდეს ყველა ამხანაგი, რომელთა ანკეტები დამტკიცებული უნდა იქნენ.

კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე: ხალუსქვაძე.

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ივანე წყალობის ძე ბეროშვილს გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში 28, 29, 30 და 31 იანვარს.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი დედა მატრონე და ძმა დათიკო აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს დაუვიწყარ

ნესტორ ვარდენის ძე დუმბაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან (ყოფილი მიხეილის) სადგურზე 28 იანვარს, ნაშუადღევს სრულ 4 საათზე. დაკრძალვა სოფელ შემოქმედში კვირას, 31 იანვარს.

ქ. სოხუმში

გაზეთ „კომუნისტზე“

ხელისმოწერა

და

განცხადებების მიღება

სწარმოებს „კომუნისტი“-ს კანტორაში (ოქტომბრის რევოლიუციის ქ. № 75) ამხ. აროგელიძესთან.

3—2 გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

1926 წ.

გამოვა

განათლ. სახ. კომისარ. სოც. აღზრდ. მთავარმართველ. და ახ. კომ. კავშ. ცენტრ. კომიტეტის ყოველთვიური საყმაწვილო დასურათებული ჟურნალები გავშვებისათვის

მცირეწლოვ. „ნაკადული“ მე-XXII წ.

მოზრდილ. „წითელი სხივი“ წელ. მე-III

ხელის მოწერა მიიღება წლით და ნახევარი წლით

გადაგზავნით:
- „ნაკადული“-ერთი წლით 3 მ. 50 კ. ნახევარი წლით—2 მან.
- „წითელი სხივი“-ერთი წლით 5 მ. ნახევარი წლით—3 მან.

ცალკე ნომერი:
- „ნაკადული“ 30 კაპ.
- „წითელი სხივი“ 45 კაპ.

მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი, განათლების სახალხო კომისარიატი, „ნაკადულისა“ და „წითელი სხივის“ რედაქცია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ნ. 566 6—6

თანახმად საქ. ს. ს. რ. სოც. უზრ. სახალხო კომისარიატის დადგენილებისა, დაარსებულია დახახიჩრებულთა სავაჭრო-საწარმოო ნადის „იმედი“-ს საქმეების

სალიკვიდაციო კომისია

ვალა პრეტენზიების მიღებისა: საქ. ს. ს. რ. საზღვრებში 1926 წ. 11 თებერვლამდე, ხოლო მის გარეშე—1926 წ. 26 თებერვლამდე. მისამართი: თბილისი, ძნელაძის ქ. № 30 ნადი „იმედი“-ს სალიკვიდაციო კომისიას, დეპეშებისათვის: თბილისი, ძნელაძის 30 იმედის სალიკვიდაციო კომისიას.

თავმჯდომარე—ლ. კობიაშვილი.

მდივანი—ა. ჯიბლაძე.

ნ. 3—2

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს

ტყავის ტრესტი

ამით აცხადებს, რომ ა|წ. 30 იანვარს, დღის 12 საათზე ის

ნიშნავს

საჯარო ვაჭრობას

რომლითაც იჯარით გაიცემა სამუშაოები ტრესტის ტყავის ქარხნისათვის № 1 წყალის მიწოდების მოსაწყობად

ის პირები და დაწესებულებები, რომელთაც სურთ იკისრონ აღნიშნულ სამუშაოების შესრულება, აძლევენ წერილობით განცხადებებს დახურულ კონვერტებში სამუშაოების გამცემ კომისიის თავმჯდომარის სახელზე: „ა|წ. 30 იანვრის საჯარო ვაჭრობისათვის“.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეაქვთ ტყავის ტრესტის სალაროში გირაო 500 მანეთის რაოდენობით, რომელიც საჯარო ვაჭრობის დამთავრების შემდეგ უბრუნდება იმას, ვინც არ აიღებს სამუშაოებს.

პირობების გაგება და ნახაზების ნახვა შეიძლება ტყავის ტრესტის მთავარ კანტორაში, კომუნალურ ქ. № 82, დილის 10 საათიდან საღამოს 4 საათამდე, ყოველდღე.

ტრესტის გამგეობა

1—1 ნ. 675

განათლების მუშაკთა კავშირის ც. გ. საორგანიზაციო განყოფილება აცხადებს,

რომ იანვრის 28-ს, საღამოს 5 საათზე განათლების მუშაკთა სახლში დანიშნულია განათლების მუშაკთა კავშირის უმუშევარ წევრთა და ერთეულების კრება

საორგ. განყ. გამგე ფანცულაია.

ნ. 676. 1—1.

თბილისის უანის რკ. გზის სოც. დამზღვევი სალარო

აცხადებს ალმასკომის კომუნალურ განყოფილების, ტრესტების და კოოპერატივების საყურადღებოთ, რომ ყველა რკინისგზელ მუშა-მოსამსახურეთ, დაზღვეულთ რკინისგზის სალაროში, აქვთ პირადობის მოწმობა, გაცემული რკინისგზის სათანადო დაწესებულების მიერ ფოტოგრაფიული სურათით და იგივე მოწმობა იმავე დროს ითვლება მათთვის დაზღვევა წიგნაკათ.

თბ. უბ. სოც. დამზღ. სალაროს თავმჯდომარე ლაშქარაშვილი.

1270 3—3

პირველი 5 დღის განმავლობაში სურათი

აპოლლო

ართისტო

სოლეი

„ვინ არის დამნაშავე?“

ნახა 25,630 კაცმა

სურათის ჩვენება გრძელდება მეორე კვირისათვისაც

სალარო ღიაა 4 საათ. 30 წუთიდან

პირველი ხეანსი იწყება 5 საათზე და 45 წუთზე.

ანონსი: მალე ხაუკეთესო სურათი „ნიბელუნგები“.

0—9 ნ. 609

ხელისმომწერლებმა ა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პროსპექტი № 24

ტელეფონი № 10—49

რუსთაველის თეატრი: პარასკევს, 29 იანვ.

კორპორაციის დღე პრემიერა

ლამარა

გრ. რობაქიძის

ნ. 663 4—1

სახელმწიფო ოპერა | დღეს, 28 იანვარს

დუბროვსკი

პარასკევს, 29 იანვარს

პირველად ამ სეზონში

ოტელო

3-1 ნ.666 კიპარენკო-დამანსკის, ინაშვილის და სხ. მონაწ.

მხატვრული კინო-თეატრი

„ოდეონ“

პლეხანოვის პრ. № 103. სასტუმრო „ნოე“

თეატრი თბება

გაიხსნება 28 იანვარს

არაჩვეულებრივი ხანაზაობა, პირველად საბჭოთა კავშირში სტელოსკოპიური კინემატოგრაფი, რომელსაც არ ესაჭიროება ტილოს ეკრანი, ა. ბ. შტეკელმანის გამოგონება, პატენტი № 77114.

თეატრი ახლად მოწყობილია უკრაინ. ორკესტრი ნ. შილუცკოვსკის ხელმძღვანელობით. დარჩენილი ბილეთები 28 იანვრიდან 7 თებერვლამდე იყიდება თეატრის სალაროში დილის 10-დან 1 საათამდე და საღამოს 5-დან 10 საათამდე.

2—2 ნ. 668 დირექციის აშეფები

Судебный исполнитель нарсуда 4 района г. Тифлиса К. Потемковский сим об'являет, что 5 февраля 1926 года, в 12 ч. дня, во дворе дома № 4 по Тургеневской ул., (здание нарсуда 4 р. г. Тифлиса) им будет продаваться со 2-го публичного торга имущество Ильи Чечелашвили, оцененное для продажи в 207 руб. 45 к. и заключающееся: в полотне на полотенца, скатерти, простыни и кальсоны—124 аршин, в кусках, материи на летние рубахи 17 с пол. арш. и пр.

1—1 1317

ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ „СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ“

АЛКОГОЛЬНАЯ
ВЫТЯЖКА
из
СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ
ЖИВОТНЫХ
ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКИЙ ОТДЕЛ
ЛАБОРАТОРИИ
„ГАЛЕН-МОСКВА“
в МОСКВЕ

ავადმყოფთა წამლობა

პროფესორ ბრაუნ სექარის [illegible]

„გამონაწური სათესლე ჯირკვლებიდან“.

„გალენ-მოსკოვის“ კოოპერატივის ორგანოტერაპევტიულ ლაბორატორიისა, ნებადართულია ჯანმრთ. სახკომისარიატის მიერ № 8362 დამტკიცებული პროფესორ ბიუხნერის საშუალების მიხედვით ახალ სათესლე ჯირკვლებიდან.

გამონაწური სათესლე ჯირკვლებიდან ძალიან შველის: ნერვების აშლილობას, ყოველი სახის ნევრასტენიას, სქესის მოდუნებას, ხანგრძლივ დაავადებას, სისუსტეს ავადმყოფობის შემდეგ როგორიც მაგალითად: ტიფი, ინფლუენცა, ათაშანგი, მშობიარობის შემდეგ ავადმყოფობა, არტერიოსკლეროზულ მიღების ცვლილება, პოდაგრა, სქესობრივი უძლურების ყოველგვარი სახე. კონსტიტუციონალური დაავადებანი: სისხლის ნაკლებობა, ბლედი, შაქრის ავადმყოფობა. ხერხემლის ავადობა და სხ. მრავალი, წამალს ადვილად ითვისებს სხეული და არაფერს ვნებს პირდაპირი ავადმყოფობის გარეშე.

АЛКОГОЛЬНАЯ
ВЫТЯЖКА
из
СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ
ЖИВОТНЫХ
LIQUOR TESTICULARUM SPIRITUOS
ЛАБОРАТОРИИ
„ГАЛЕН-МОСКВА“
в МОСКВЕ

ხეკარის ხიოზე იყიდება სააფთიაქო სამმართველოს სახელმწ. მეძღ. სავაჭროს და წითელი ჯვრის ყველა აფთიაქ. და მაღაზიებში. ფლაკონის ფასი 2 მ. 50 კ., ვინც 4 ფლაკონს და მეტს გამოიწერს, მას გადასაგზავნი ფული არ გადახდება, ფოსტით გაიგზავნება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება 25 პროც. კორესპონდენცია, და შეკვეთა უნდა გაიგზავნოს მისამართით: კოოპერატივ „გალენის“ ა.-კ. წარმომადგენლობა, თბილისი, თავისუფლების მოედ. № 2. адресъ: Зак. представит. коопер. „Гален“ Тифлис площадь своб. № 2 Караван-Сарай Тамамшева, вход напротив быв. гостиниц. „Кавказ“. Гл. Скл. для СССР. торг. отд. Кооператива „Гален-Москва“ Москва ул. Герцена № 5 отд. 3. Б. 425 0—13.

ბალანსი

საქართველოს ს. მ. უ. ს. სპირტის და კონიაკის ტრესტის 1924 წ. ოქტომბრის 1-ს

აქტივი

I. ქონება: *)			
1. შენობები და ნაგებობანი	28,2	330.957—17	
2. ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი	17,3	202.650—78	
3. ახლად შეძენილი	1,4	16.784—56	550.392—51
II. დაუმთავრებელი შენობები და კაპიტ. რემონტი	3,1		36.113—73
III. მასალები:			
1. ძირითადი	0,7	8.314—77	
2. დამხმარე	5,1	59.489—17	67.803—94
IV. დაუმთავრებელი ნამზადი, ნახევარ ნაწარმი	21,3		249.897—10
V. საქონელი და მზა ნაწარმი:			
1. საწყობებში და მაღაზიებში	9,1		106.859—42
VI. ფულადი სალარი და ფასიანი ქაღალდები:			
1. სალარო და მიმდინარე ან—ში	1,0	12.003—75	
2. ფასიანი ქაღალდები	0,1	750—	12.753—75
VII. ანგარიშსავალდებულო თანხები:	0,4		5.365—46
VIII. მიღებული ვალდებულებანი და დოკუმენტები			
1. მიღებული თამასუქები	0,7		8.447—52
IX. დებიტორები:			
1. მუშა-მოსამსახურენი	0,2	2.922—92	
2. მყიდველები	11,1	130.294—15	
3. ს.მ.უ.ს. განყოფილებები და ტრესტები	0,3	3.075—34	136.292—41
ბალანსი . . .	100,0		1.173.925—84

პასივი

I. კაპიტალები:			
1. საწესდებო:			
ა) ძირითადი	45,4	533.607—95	
ბ) საბრუნავი	19,3	226.289—62	759.897—57
2. საამორტიზაციო	7,0		81.742—48
II. კრედიტორები:			
1. მუშა-მოსამსახურენი	0,1	905—71	
2. მყიდველ-მიმწოდებელნი და თოხარდენი	1,8	21.567—84	
3. განყოფილებები და ტრესტები	18,3	214.848—36	237.321—91
III. მოგება:			
1. საანგარიშო წლის	8,1		95.013—88
ბალანსი . . .	100,0		1.173.925—84

ბალანსის გარე მუხლები:

ა) მიწის ნაკვეთები: 60.884 კვ. საჟ.—46.980 მანეთი

ტრესტის მმართველი **კიკნაძე.**

მთავარი ბუხჰალტერი **ბალუსტოვი**

*) საქართ. ეკონომიურ საბჭოს 1925 წლის ოქტომბრის 21, № 27 დადგენილების თანახმად, ნაციონალიზაციის წესით მიღებული ქონება ნაჩვენებია ომის წინადროინდელ მანეთებში.

მოგების განაწილება:

მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად	10%	9.501—39
საშემოსავლო გადასახადი	10 „	9.501—39
სათადარიგო ფონდში	20 „	19.002—77
ხაზინის სასარგებლოდ	35 „	33.254—86
საბრუნავი თანხის გასაძლიერებლად	25 „	23.753—47
სულ	100	95.013—88

ეს ბალანსი განხილულია ს.მ.უ.ს. მთავარ ბუხჰალტერიაში, დამტკიცებულია სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო საწარმოთა ბალანსების განმხილველ საუწყებათაშორისო კომისიის მიერ და ა.-კ. სახკომსაბჭოს 1925 წლის აპრილის 2, № 18 დადგენილების მე-7 მუხლის თანახმად, ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

საქ. ს.მ.უ.ს. მთავარი ბუხჰალტერი

პ. ა. ჯანელიძე

ზარალ-მოგების ან-ში

№ რიგზე	დებეტი. ანგარიშთა დასახელება	თანხა		№ რიგზე	კრედიტი. ანგარიშთა დასახელება	თანხა	
1	სავაჭრო ხარჯები	63.979	—	1	მოგება საქონლისა და მასალების გაყიდვისაგან	195.417	84
2	საერთო საადმინისტრაციო ხარჯები	32.426	—	2	სხვადასხვა შემოსავალი	4.444	89
3	გადახდილი პროცენტები	2.634	—				
4	ვალიუტის კურსის განსხვავება	5.809	85				
5	ნაშთი (მოგება)	95.013	88				
	ბალანსი . . .	199.862	73		ბალანსი . . .	199.862	73

მთავარი ბუხჰალტერი: ბალუსტოვი

ნ. 674 1—1

ელექტრობით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით [illegible]

მიხეილ მედევანიშვილის

ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფებისათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყაზლაშოვის ქ. № 20.

პროფესორ

გრ. მუხაძე

დასასვენებლად გაემგზავრა ქ. სოხუმში. თბილისში დაბრუნდება თებერვლის მეორე ნახევარში.

25—1

დოქტორი **გ. მესხიშვილი**

ფილტვების, გულის და ციების წამლობა ხელოვნური მთის მზით სპექტროფოტოკსით და ტუბერკულინზით, რენტგენის, და სინათლის-ელექტრონის სამკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

ექ. **ე. მ. მძინარიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. დღედ 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან), 25—1

ექიმი **გ. ა. ლუკოვეცკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე. ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. ზევით.

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი.

25—1

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).

25—1

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**

კანისა და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—9 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაბლის ზემოთ აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

ბელინსკის ქუჩა (ყოფილი ნაკაშიძის.) № 33, იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისისა და ვენერიული (შარდის და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობის ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა).

ავადმყოფების მიღებას

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

აწარმოებს დილის 9 ს-დან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. კვირა დღეს არც ავადმყოფებს იღებს და არც რაიმე განმარტებით რჩევებს აძლევს. ყოფ. ელისაბედის ქ. № 7, ხიდის მახლობლად ტელეფ. 14—56

989 25—1

ექიმი

დ. ა. მედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს ხელით ავადმყოფებს.

დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს.

ძნელაძის ქუჩა (ყოფილი საპიორნა) № 32.

25—1

ექიმი **ჯალალოვი**

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.

შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5-დან 9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამოს.

მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად.

25—1

ექიმი **გ. ნ. მამაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 33.

ექიმი **თ. დ. ლაბაძე**

ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ბუშტები, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, შამაკაცის სქესობრივი უძლურება,—და სხვ.).

ცისტოსკოპია, ურეტროსკოპია, პიელოგრაფია.

საღამოს 4—6 საათამდე

ბელინის ქუჩა № 1.

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისათვის ცალკე შესავალი.

სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

დ. აბაშა

კბილის ექიმმა

ა. ნადარეიშვილმა

გაახსნა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სატექნიკო ლაბორატორია, სადაც მზადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები.

25—1 № 1306

კბილის ექიმი

ვ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—8 საათ. ბარიატინსკის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 114, სამხედრო რეგისტრაციის ბარათი № 95—ალექსი ამყარაძის როსტომოვის სახელზე ჩ. გ. 1318 1—1

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 3097—ვანო დიმიტრისძე ნადირაშვილის სახელზე ჩ. გ. 1311 1—1

დაიკარგა დამზღვევი წიგნაკი № 3976 ალიოშა ფასურის სახელზე. ჩ. გ. 1—1

დაიკარგა ლომბარდის ქვითრები № № 11053, 10283—მარიამ პავლიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1254 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 302894 და კავშირის წიგნაკი № 2393—ივანე გამგებელის სახელზე. ჩ. გ. 1316 1—1

დაიკარგა საპენსიო წიგნაკი № 838 | 578 და პირადობის მოწმობა № 689 - მარიამ ივანეს ასული თამაზაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1319 1—1

დაიკარგა მეტრიკული, აბონემენტი და მისარების ბარათი 1) 300 მანეთიანი და 2) 100 მანეთიანი, მიღებული მნძილაძის სახელზე. ჩ. გ. 1320 1—1

დაიკარგა პირადი წიგნაკი ფორმა № 4 სერაპიონ კაპანაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1321 1—1

დაიკარგა სამხედრო პირადი წიგნაკი № 793 არსენ ქურიაზაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1321 1—1

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 46 თინა ჩიქვაიძის სახელზე. ჩ. გ. 1321 1—1

დაიკარგა ა|კ. წიგნაკი № 977, სამხედრო სააღრიცხვო ფურცელი, ს. ი. ლ. კ. დროებითი მოწმობა და სოც. მდგომ. მოწმობა პეტრე ბ. საყვარელიძის სახელზე ჩ. გ. 1322 1—1

დაიკარგა სააღრიცხვო ბარათი—ვალერიან კაციტაძის სახელზე. ჩ. გ. 1324 1—1

დაიკარგა ლომბარდის ქვითარი № 20148—მაშოკო ოსიფის ძე მანუკიანცის სახელზე. ჩ. გ. 1325 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სახელმწ. უნივერს. და სააღრიცხვო ბარათი ფორმა № 4—ილია ლევანის ძე ფირალიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1323 1—1